ლიბერალი

№ 72 / 18 – 24 აპრილი / 2011

ბელარუსი: აფეთქებული რეალობა გვ. 10

ანგარიში 2011: ინტერვიუ ჯონ ბასთან გვ. 20

საქართველოს ლობისტური პოლიტიკა გვ. 22

ბათუმის პიაცა: როგორ დავკარგოთ 7 მილიონი გვ. 30

გუდიაშვილის მოედნის გაურკვეველი მომავალი გვ. 32

უხილავნი ჩვენს შორის გვ. 36

ძალადობა ქალიშვილებზე, მართლმადიდებლობა და სექსი გვ. 44

კულტურა: ზიარება სიცარიელეში გვ. 46

რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ ყველანი! გვ. 52

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528

9 771987 752008

სოციალური პასუხისმგებლობა ქართულად

გვ. 24

UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
PRAHA
MASKVA
LENINGRADAS
VARŠUVA
KIJEVAS
OSLO
BERLYNAS
ALMA ATA
TAŠKENTAS
MASKVA
LENINGRADAS
BELGRADAS
BRIUSELIS
JEREVANAS
KIJEVAS
ROSTOVAS
FRUNZE
TBILISI
BRNO
BUKAREŠTAS
STOKHOLMAS
VILNIUS
VIENA
LVOVAS
ROMA
HILVERSUMAS
MURMANSKAS
RYGA
BRIUSELIS
SOFIJA
ČELIABINSKAS
SIMFEROPOLIS
HELSINKIS
LONDONAS
VARŠUVA
ATĖNAI
PRAHA
MASKVA
TEHERANAS
MASKVA II
STALINO
VIGRA
BUDAPEŠTAS
IB
VB
TBII
TBI
UTB

ლიბერალი

№ 72 / 18 – 24 აპრილი / 2011

ფოტო: ირაკლი ძნელაძე

ბათუმის პიაცა, 2011

ნომერში:

02 ლიბერალის ვებგვერდიდან
04 მოკლედ
06 **ორი აზრი**
აუცილებელია თუ არა ქალისთვის ქორწინება?
ნანა აღაპიშვილი VS თეო ხატიაშვილი
მსოფლიო
08 გბაგბოს დასასრული
10 **ბელარუსი**
აფეთქებული რეალობა
12 **რუსეთი**
სოჭის ოლიმპიადა – ტესტი რუსული სპეცსამსახურებისთვის
20 **ინტერვიუ**
ანგარიში 2011
ჯონ ბასი
22 **ინტერვიუ**
საქართველოს ლობისტური პოლიტიკა
მატიას ჰუტერი
მთავარი თემა
24 სოციალური პასუხისმგებლობა ქართულად
საზოგადოება
30 როგორ დავკარგოთ 7 მილიონი
ურბანისტიკა
32 ისტორიული მოედნის გაურკვეველი მომავალი
ჯანდაცვა
36 უხილავნი ჩვენს შორის
თვალსაზრისი
40 სუბსიდირება იაფად!
ანდრო ხეთერელი
42 ანტი – მულტი - კულტი
გიორგი ცხადაია
44 ძალადობა ქალიშვილებზე, მართლმადიდებლობა და ბრუტალური სექსი
ლაშა ბუღაძე
კულტურა
46 ზიარება სიცარიელეში
47 დაბადებულები საქართველოში, კურთხეულები „ამირანში“
რევიუ
48 Gracias A La Vida
50 **ტექნოლოგიები**
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
52 რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ ყველანი!

გარეკანზე:
სოციალური პასუხისმგებლობა ქართულად

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად,, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

წეხილი პატიპარაკს

ნინია კაკაბაძის ბლოგი

მახსოვს, პატარა რომ ვიყავი, საღვთისმეტყველო ადამიანები ეკლესიაში რომ არ წასულიყვნენ, ტელევიზიით გვიან ღამე ყველაზე პოპულარულ ფილმებს უშვებდნენ. „ლედი კარატე“ სწორედ აღდგომის ღამეს ვნახე. მერე, ოდნავ რომ წამოვიზარდე, იმის ნახვა მომინდა, რის გამოც „ლედი კარატე“ მაჩვენა საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ და მისდამი დაქვემდებარებულმა სახელმწიფო არხმა.

ლიტანიობა უფრო საინტერესო მომეჩვენა, ვიდრე სააღდგომო ფილმები და მაშინ გამიჩნდა ეკლესიის უფრო ახლოს გაცნობის სურვილიც. 11-12 წლის ასაკში მარხვის შენახვაც დავიწყე. მაშინ ბევრი არ ვიცოდი ვინც მარხულობდა, არც სამარხვო კატლეტები და ნამცხვრები მზადდებოდა და იმ ასაკისათვის ჩვეული, გამორჩეულობა მსიამოვნებდა.

ჩემი სკოლა მაშინ ოპერის უკან, ბროსეს ქუჩაზე იყო და სახლისკენ მიმავალ გზაზე ხშირად შევდიოდი ქაშუეთის ეკლესიაში. მჯეროდა, რომ ახლად გარდაცვლილი მამისთვის დანთებული სანთელი, მას იმქვეყნად დაეხმარებოდა. ყველაზე მეტად კი ეკლესიის სიჩუმეში ჯდომა და ფიქრი მსიამოვნებდა, ვიდრე ბრაზიანი ქალები და მამაკაცები მომადგებოდნენ და მეტყოდნენ: „თავსაბურავი რატომ არ გახურავს?!“ „არ იცი, რომ შარვლით ტაძარში შემოსვლა არ შეიძლება?!“ „ფეხი ფეხზე ნუ გაქვს გადადებული!“ და ა.შ. თანაც, ისინი არა კეთილისმსურველი ინტონაციით, არამედ სკოლის ბრაზიანი და ბოროტი დირექტორებივით მელაპარაკებოდნენ (ჩემი სკოლის დირექტორი არასდროს ყოფილა არც ბრაზიანი და არც ბოროტი, ეს მაგალითი სტერეოტიპულია).

მაშინ დავკარგე სიმშვიდე ეკლესიაში და ერთგვარი პროტესტიც გამიჩნდა. არ მესმოდა, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს თავსაბურავს, შარვალს თუ ფეხს, რომელიც მეორე ფეხზეა გადადებული?! ქაშუეთის მაშინდელი მოძღვარიც, რომელთან გასაუბრებაც არაერთხელ ვცადე, სულ ჭკუას მარიგებდა და სხვადასხვა დოგმების მიმართ დამორჩილებას მთხოვდა. ამ დოგმებს კი არაფერი ჰქონდა საერთო სახარებასთან, რომელსაც ბავშვობაში ხშირად ვკითხულობდი. ერთი სიტყვით, რაც დრო გადიოდა, ეკლესია მით უფრო ივსებოდა ბრაზიანი ქალებით, რომელიც შიგნით წესრიგს ამყარებდნენ და დოგმატიკოსი მღვდლებით, რომელნიც მათდამი დამორჩილებას ცდილობდნენ და არა სიყვარულის და სიკეთის მორჩილებას. ბუნებრივია, ახალგაზრდა ადამიანი რწმენაშიც და სიყვარულშიც თავისუფლებას ეძებს და არა იმ აკრ-

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდაშვილი** /აღმასრულებელი რედაქტორი **სოფო ჭაავა** / კავკასია და კონფლიქტები **სოფო ბუკია** / საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / ახალი ამბები **ნანა საჯაია** / ვებგვერდის რედაქტორი **ნინო ჯაფიაშვილი**
ჟურნალისტები: მაია წიკლაური, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი
კონტრიბუცია: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიაშვილი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდავა, ლექსო ჩქარეული, დიანა ჩაჩუა, ნათია ახალაშვილი, ნინო ბექიშვილი, დანიელ ნიჩი, ნიკო ნერგაძე
რედაქცია: ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **პაატა შამუგია** / კორექტორი **თამარ ღონღაძე**
გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითიძე** / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი **ნათია რუსაძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია**
გამომცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სხვა გამოცემები: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
www.liberali.ge
ISSN 1987-7528

ძალვებს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ღმერთის რწმენასთან.

ბავშვობაში ამ იმედგაცრუების შემდეგ, ღვთის ე.წ. მსახურები ჩემში მხოლოდ აპათიას იწვევენ. ადამიანები, რომელნიც, ძირითადად, ფორმებს აკრიტიკებენ და საკუთარი უცოდინრობის გამო სიძულვილსა და შუღლს ქადაგებენ (საბედნიეროდ, რამდენიმე გამონაკლისიც არის). სამწუხაროდ, დღეს ეკლესიაში შესვლის გარეშეც შეიძლება მათი მოსმენა. ტექნიკურმა პროგრესმა კომპიუტერი და ინტერნეტი შექმნა, რომელიც, მათი თქმით, ეშმაკისეულია, მაგრამ ამ ეშმაკის მანქანას ძალიან წარმატებულად იყენებენ საკუთარი „ქრისტიანული“ მოსაზრების გასავრცელებლად.

მაშინ, როდესაც დავით ისაკაძე საკუთარ სიბნელესა და, რაც ყველაზე სამწუხაროა, აგრესიას ასე ხშირად და ღიად აფიშირებს (მისნაირები მრავლად არიან ეკლესიაში), ეკლესიის უფლებადამცველთა მხრიდან მთავარი არგუმენტი ის გახლავთ, რომ არ შეიძლება პატრიარქი პასუხს აგებდეს თითოეულ მღვდელთმსახურზე. ეს არგუმენტი ყოველთვის ტიპურ ასოციაციებს იწვევს. „არ იცის ედუარდ შევარდნაძემ/სააკაშვილმა/მჟავანაძემ... ყველა იმ ბოროტების შესახებ, რაც მის მთავრობაში ხდება“. სამწუხაროდ, თქვენ იცით და მას სწორედ ამ სიბნელის ტირაჟირებისათვის აჯილდოებთ. „დავით ისაკაძე, რომელიც მოღვაწეობს ჩვენი ერისა და ეკლესიის საკეთილდღეოდ, დაჯილდოებულია გამშვენებული ჯვრით და მიტრის ტარების უფლებით“ – ეს თქვენი სიტყვებია, საქართველოს პატრიარქო. სწორედ ამიტომაც, ვფიქრობ, რომ ყველა ჩვენგანმა, ვისაც სურს რომ ეკლესია სიყვარულისა და თავისუფლების მქადაგებელი იყოს, ასეთ დროს თქვენ უნდა მოგმართოთ და არა დეკანოზ ისაკაძეს, რომელიც ხშირად ძალადობრივი ფორმითაც იბრძვის „მართლმადიდებლური იდეების“ დასაცავად. ის რაც ადრე იყო, ამაზე ბევრი თქმულა და აღარ გავიმეორებ.

ვაგრძელებ თხრობას. მას შემდეგ, რაც ბავშვობაში მართლმადიდებლურმა ეკლესიამ დოგმებისა და მის მიერვე მოგონებული წესების დაცვა მომთხოვა და ეკლესიისგან გამაუცხოვა, როგორც ჩვეულებრივმა ახალგაზრდამ, სხვაგან დავიწყე სიყვარულისა და თავისუფლების ძიება. ბევრი მასწავლებელი მყავდა, როგორც ოჯახში, ისე სკოლაში თუ უნივერსიტეტში და, უბრალოდ, მეგობრებში. ბუნებრივია, მათგან მხოლოდ რამდენიმემ მოახდინა გავლენა ჩემს განვითარებაზე და მხოლოდ რამდენიმემ გასცა პასუხი იმ კითხვებს, რომელიც მოზარდ ადამიანს აწუხებს. მათგან ერთ-ერთი ჩემი პედაგოგი და ახლა უკვე მეგობარი – გოგი გვახარიაა. თქვენს მიერ გადაცემული ჯილდოთი წაქეზებული დავით ისაკაძე ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში მას პედოფილს უწოდებს და ბრალს დებს ახალგაზრდა თაობის გარყვნაში. გოგი გვახარიამ მე კინოს ისტორიის გარდა, მასწავლა, რომ ადამიანური საწყისი კეთილია, რომ თავისუფლება სიყვარულშია. სწორხაზოვნება ადამიანის ყველაზე დიდი მტერია. ადამიანი, ვიდრე ცოცხალია, სიყვარულს უნდა ეძებდეს. მან მასწავლა თანაგანცდა ყველაზე დიდი დამნაშავისაც კი. მან მითხრა, რომ ყველაზე დიდი თავისუფლება სიყვარულშია. რომ ყველაზე დიდი მტრის გაგებაც უნდა სცადო, რადგან უმიზეზო მტრობა არ არსებობს, არც ბოროტება ჩნდება მიზეზის გარეშე. გვახარიამ მითხრა, რომ მე – მისი სტუდენტი – ყოველთვის მართალი ვარ და დღეს ის ჯერ ისევ სწავლობს ჩვენგან. არასდროს გვახვევდა თავს საკუთარ მოსაზრებებს პედაგოგიური დიდაქტიკით და ამით გვასწავლიდა დამოუკიდებელ აზროვნებას. საქართველოს პატრიარქო, ჩემმა პედაგოგმა და მეგობარმა მასწავლა ერთგულებაც, სიყვარულიც და სამყაროსა და მისი ბინადრების სიღრმისეული და განზოგადებული აღქმაც. გვახარიასთვის სიძულვილი, აგრესია და ბოროტება ისეთივე უცხოა, როგორც დავით ისაკაძისთვის სიყვარული და მისი რწმენა.

ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ, მოსთხოვოთ თქვენი ეკლესიის მსახურს – დეკანოზ დავით ისაკაძეს – საჯარო ბოდიში მის საჯაროდ გამოთქმულ სიტყვებზე: „ამ ბოლო დროს წარმოჩინდა ერთი პედოფილი პიროვნება, გვარად გვახარია. პედოფილია, დიახ, მე ხაზს ვუსვამ ამას, რადგანაც ადამიანი რომელიც ბავშვებში სექსუალურ აღზრდას ქადაგებს, ის ადამიანი არის პედოფილი და მას სჭირდება განცალკევება საზოგადოებისაგან“. ის, რომ ბატონმა ისაკაძემ არ იცის, რას ნიშნავს სექსუალური აღზრდა ბავშვებში და ეს მისთვის პედოფილიას ნიშნავს, ესეც ეკლესიის პრობლემაა, რადგან ამგვარი გაუნათლებელი და გონებაშეზღუდული ადამიანები ჰყავს შიგნით. განათლების პრობლემას ვერ გავექცევით, რადგან სწორედ ის არის იმ აგრესიის, ბოროტებისა და ძალადობის საწყისი, რომელიც ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურებისგან მოდის. უცოდინრობა და გაუნათლებლობა არის ჩვენი საზოგადოების მთავარი მტერი. მე გული მწყდება და მტკივა იმის გამო, რომ ისაკაძეს ბევრი უსმენს და, ვფიქრობ, ჩემზე მეტად სწორედ თქვენ უნდა გაშფოთებდეთ ეს საკითხი, საქართველოს პატრიარქო.

კიდევ ერთხელ უმორჩილესად გთხოვთ, მოსთხოვოთ საჯარო ბოდიში დავით ისაკაძეს აი, ამ სიტყვებისთვის, რომელსაც ის მისი მრევლის წინაშე ქადაგებს. ამით თქვენ ნაწილობრივ მაინც აღკვეთავთ უსამართლობას და სიბნელის გამოვლინებებს მართლმადიდებლურ ეკლესიაში, რომელიც ცალსახად ძალადობას და აგრესიას შობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ბრალდებისთვის, რომლის მიზეზი მხოლოდ უცოდინრობა და გაუნათლებლობაა, ჩვენ, ამ საზოგადოების წევრებს, მოგვიწევს კანონის გზით დავუპირისპირდეთ მას და მოვთხოვოთ პასუხი ამ უმძიმეს ბრალდებაზე.

ვიტოვებ იმედს, რომ ჩემი, ამ ქვეყნის ერთ-ერთი რიგითი მოქალაქის ხმა თქვენამდე მოაღწევს და გულგრილს არ დაგტოვებთ.



კოალიცია "მედიის ადვოკატირებისათვის"

გასულ კვირას ახალი კოალიცია „მედია ადვოკატირებისთვის“ დაფუძნდა, რომელიც მიზნად მედიაგარემოს გაუმჯობესებას და ჟურნალისტთა ინტერესების დაცვას ისახავს. კოალიცია 11 მედია და საზოგადოებრივ ორგანიზაციას აერთიანებს, მათ შორისაა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა“, „რეგიონული მაუწყებლების ქსელი“, „ჟურნალისტთა ეთიკის ქარტია“, „მედიაკლუბი“ და ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“.

კოალიციის კოორდინატორის, თამარ კორძაიას თქმით, მედია-გარემოს გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია ამ ორგანიზაციების ერთობლივი საქმიანობა:

„კოალიციის მიზანია, ხელი შეუწყოს მედია-გარემოს გაუმჯობესებას, მედია-მფლობელებისა და ჟურნალისტების ინტერესების დაცვა და მედიის როლის გაძლიერება დემოკრატიის განვითარებაში“.

ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მედია-პროგრამის მენეჯერი ხატია ჯინჯიხაძე ამბობს, რომ გაერთიანებით იმ ნაწილის კოორდინირება ხდება, რომელიც მედიის ადვოკატირების თემებზე მუშაობს.

პრეზენტაციაზე, კოალიციის წევრები გამოეხმაურნენ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დაკვეთილი კვლევის სანდოობის საკითხს.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძე ამბობს, რომ კოალიციის პირველი აქტივობა დაემთხვა ისეთ მნიშვნელოვან საადვოკატო თემას, როგორიც კომუნიკაციების კომისიის კვლევაა:

„ძალიან მნიშვნელოვანია გამჭვირვალე გავხადოთ ყველა პროცესი, რომელიც ამ კომისიაში მიდის, როგორიცაა ტენდერების გამოცხადება, კონურსების ჩატარება და შედეგების მონიტორინგი. ამას კოალიცია აპირებს“.

პრესკონფერენციის დასასრულს, კოალიციის დამფუძნებლებმა ხელი მოაწერეს თანამშრომლობის მემორანდუმს:

„საჯაროდ ვაცხადებთ, რომ მივმართავთ ყველა ძალისხმევას, რათა გაუმჯობესდეს მედიის მარეგულირებელი კანონმდებლობა, განხორციელდეს მუდმივი კონტროლი კანონის შესრულებაზე და დაცული იყოს ჟურნალისტთა უფლებები და მედიის ფინანსური დამოუკიდებლობა.

გვჯერა, რომ ჩვენი ერთიანობა გახდება ჩვენივე მიზნების განხორციელების საწინდარი. კოალიცია ღიაა ნებისმიერი ორგანიზაციისთვის, რომელიც იზიარებს კოალიციის მიზნებს და მზადაა ითანამშრომლოს მასთან“, – ნათქვამია კოალიციის მემორანდუმში.

სტატუს-ნეიტრალური დოკუმენტი

საქართველოს მთავრობა სტატუს-ნეიტრალურ დოკუმენტზე მუშაობს. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, ეკა ტყეშელაშვილის განცხადებით, საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მცხოვრებთათვის დოკუმენტები შესაძლოა წლის ბოლომდე გახდეს ხელმისაწვდომი. ნეიტრალური პირადობის მოწმობა შესაძლებლობას მისცემს სეპარატისტული რეგიონების მოსახლეობას იმოგზაურონ საზღვარგარეთ და ასევე ისარგებლონ საქართველოში არსებული სოციალური მომსახურებით.

ტყეშელაშვილის თქმით, სამოქმედო გეგმის „ყველაზე მომცველობითი“ და „ზრდადი“ მიმართულებაა ჯანდაცვის სფერო, რადგან სულ უფრო ხშირია სეპარატისტული რეგიონებიდან ჩამოსვლისა და მკურნალობის შემთხვევები.

მეტი ხეფოხმა 2011-ში

„წლევანდელი წელი გადამწყვეტი იქნება მეტი დემოკრატიული რეფორმის განხორციელების მხრივ და ჩვენ ამ კუთხით პროგრესს ველით,“ – განაცხადა „ნატოს“ გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა ბერლინში, „ნატოს“ ორდღიანი შეხვედრების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე. გენერალური მდივნის თქმით, „ნატო“ მიესალმება საქართველოში თავდაცვის სისტემის რეფორმირებას.

გამოსაშვები გამოცდების გენერალური რეპეტიციის ჩატარება

საჯარო სკოლებში გამოსაშვები გამოცდების გენერალური რეპეტიცია გაიმართა. განათლების სამინისტროს ცნობით, „რეპეტიციაში“ მონაწილეობა 14 ათასზე მეტმა მეთორმეტეკლასელმა მიიღო.
ოთხი დღის განმავლობაში საქართველოს 326 სკოლაში სპეციალურად მოწყობილ პორტატულ კომპიუტერებზე მოსწავლეებს რვავე საგამოცდო საგნის ტესტების გავლა შეეძლოთ.
გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მაია მიმინოშვილის თქმით, წინასწარი გამოცდები „კარგი საშუალებაა ტესტების ნიმუშების დასახვეწად“.
გამოცდებიდან გამოსული მოსწავლეები ამბობდნენ, რომ ტესტებში სხვადასხვა დონის კითხვები შეხვდათ და მარტივ დავალებებთან ერთად ისეთებიც იყო, რომლებიც დიდი ხნის წინ ნასწავლი თეორიული მასალის დეტალურად გახსენებას მოითხოვდა.
საატესტატო გამოცდები 2011 წლის მაისში გაიმართება.

ჯოენის საქმე

13 აპრილს საქალაქო სასამართლოში სამი თვის წინ მოკლული საფრანგეთის მოქალაქის, სტეფან კოენის საქმის განხილვა დაიწყო.
სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ კოენის მკვლელობაში ბრალდებულის მიმართ პროკურატურამ საქმე სამი მუხლით: განზრახ მკვლელობის, ქურდობისა და იარაღის ტარებისთვის აღძრა.
სხდომებზე სასტუმროს თანამშრომლები, ბრალდებულის მასწავლებლები და მისი მეგობარი დაკითხეს.
ბრალდებული არასრულწლოვანია, ამიტომაც, სასამართლოს პროცესი დახურულია და მას მხოლოდ არასრულწლოვანის მშობლები ესწრებიან.
საქმის განხილვა 20 აპრილს გაგრძელდება.

სასამართლომ ხოდორჩოვსკის და ლებედევის საქმეებზე გადაწყვეტილება შეცვალა

რუსეთის უზენაესმა სასამართლომ „იუკოს“-ის ყოფილი მფლობელის მიხაილ ხოდორკოვსკის და „მენატეპ“-ის ყოფილი ხელმძღვანელის, პლატონ ლებედევის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილება, პატიმრობის გაგრძელების შესახებ შეცვალა.
ამ გადაწყვეტილებით უზენაესმა სასამართლომ ხადარკოვსკის და ლებედევის გასული წლის 17 აგვისტოდან-17 ნოემბრამდე პატიმრობა უკანონოდ სცნო.

ხადარკოვსკის და ლებედევის ადვოკატის განცხადებით, სასამართლოს მიერ პარასკევს მიღებული გადაწყვეტილება სენსაციური არ არის და ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ უზენაესი სასამართლო სოლიდარობას არ უცხადებს მოსკოვის სასამართლოში გამეფებულ უწესრიგობას.

ჩიფრები

94
ქართველი სამხედრო გაემგზავრა ავღანეთში.

88 061 000
აშშ დოლარი შეადგინა საქართველოში მარტში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობამ.

6 180 000
აშშ დოლარი გადაიგზავნა საქართველოდან საზღვარგარეთ.

ციტატები

„დიქტატორის წინააღმდეგ ოპოზიციური ძალების გაერთიანება აუცილებელია“.
სოზარ სუბარი
ოპოზიციის გაერთიანების აუცილებლობაზე

„როცა იქნება, მაინც მოხდება, მაგრამ მოხდება ისე საშინლად, როგორც ლიბიაში“.
ნინო ბურჯანაძე
მოსალოდნელ რევოლუციაზე

„ყველამ დაიმახსოვროს, უჩვენოდ მაგ რეჟიმს ვერავინ შეცვლის“.
ირაკლი ოქრუაშვილი
მთავრობის შეცვლაზე

„აშშ იზიარებს საქართველოს პოზიციას რუსეთის ქმედებებთან დაკავშირებით.“
ჰილარი კლინტონი ბერლინში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან გრიგოლ ვაშაძესთან შეხვედრისას

კი
ნანა აღაპიშვილი
ფსიქოლოგი

აუსილებელი ქალისთვის

ქორწინებას სარგებელი მოაქვს როგორც პიროვნებისთვის, ასევე საზოგადოებისთვის და ქვეყნისთვისაც. ინდივიდუალური სარგებელი, პირველ რიგში, არის ახალი სიცოცხლის გაჩენა, რაც, ამავდროულად, საზოგადოებრივი სარგებელიცაა.

ჩვენს კულტურაში ოჯახის გარეშე შვილის გაჩენას პრობლემები ახლავს თან, გამრავლება კი ადამიანის უპირობო ინსტინქტია. მან უნდა შექმნას ოჯახი და გამრავლდეს.

გარდა ამისა, ოჯახს მეორე მნიშვნელოვანი პოზიტიური დატვირთვა აქვს – სათავეს ვაძლევ ახალ სიცოცხლეს, ამით ჩემი ცხოვრების გზას განვსაზღვრავ. ჩნდება ახალი კონსტრუქცია, ახალ სისტემას ვქმნი და შემდეგ უკვე ვცხოვრობ და ვმუშაობ ამ სისტემაში. ვდებ ჩემს ძალას, ენერგიას და დროს იმისათვის, რომ ეს ოჯახი კარგად განვითარდეს, იყოს თბილი, ჰარმონიული, მატერიალურად შეძლებული. ვცდილობ, ამ ოჯახში ის ღირებულებები გავატარო, რა ღირებულებების მატარებელიც მე ვარ. ჩვენს იდეოლოგიას და ღირებულებებს ვამყარებთ ამ ოჯახით და გადავცემთ შვილებს.

პიროვნებისთვის ეს არის თვითრეალიზების კიდევ ერთი ფორმა. ოჯახში მე ვრეალიზდები იმიტომ, რომ უამრავი დატვირთვა მაქვს, ბავშვები უნდა გავზარდო, განვანათლო. ჩემი ოჯახის მიერ გაკეთებული საქმეები საზოგადოებისთვისაც შეიძლება სამაგალითო იყოს.

ქორწინების გარეშე, მარტო ცხოვრება რთულია. შეიძლება, კარგი პროფესიული კარიერა გქონდეს, მუშაობდე, მაგრამ დგება დრო, როცა შენი პროფესიული საქმიანობის გაგრძელება ასაკის გამო აღარ შეგეძლება. ბოლოს მაინც გრჩება ოჯახი ან ახლობელთა წრე, სადაც თვითრეალიზებას ახდენ და ისე არ გაგიჭირდება, როგორც მარტოობის შემთხვევაში.

როცა ქალები იმ შესაძლებლობებს იხსენებენ ხოლმე, რომლებზედაც უარი თქვეს, მათ სინანულის განცდა ეუფლებათ და ამბობენ, ნეტა ეს გადაწყვეტილება მიმეღო, გავთხოვილიყავი, შვილები მაინც მეყოლებოდაო.

ქორწინების გარეშე, მარტო ცხოვრება რთულია. შეიძლება, კარგი პროფესიული კარიერა გქონდეს, მუშაობდე, მაგრამ დგება დრო, როცა შენი პროფესიული საქმიანობის გაგრძელება ასაკის გამო აღარ შეგეძლება. ბოლოს მაინც გრჩება ოჯახი ან ახლობელთა წრე, სადაც თვითრეალიზებას ახდენ.

ია თუ არა ორწინება?

არცერთ ადამიანს ამ მხრივ არანაირი ვალდებულება არც საზოგადოების და არც სახელმწიფოს მიმართ არ გააჩნია.

ქორწინება არის აბსოლუტურად პრივატული სფერო, ადამიანმა, ყოველგვარი მორალური შეფასებების გარეშე, თვითონ უნდა გადაწყვიტოს, რა და როგორ უნდა.

არა

თეო ხატიაშვილი
ხელოვნებათმცოდნე

კითხვას ასე დავსვამდი: რამდენად აუცილებელია საერთოდ ადამიანისთვის, როგორც ქალისთვის, ასევე მამაკაცისთვის, ქორწინება. ეს არის პიროვნული გადაწყვეტილება და ეს არ უნდა განსაზღვროს არც საზოგადოებამ და არც ოჯახმა; არამედ ადამიანმა დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს, მას სურს ოჯახის შექმნა თუ არა.

ტრადიციულ კულტურებში, რომელშიც ჯერ კიდევ მოიაზრება საქართველო, ოჯახის შექმნის აუცილებლობა, ცხადია, ვრცელდება ქალზეც და კაცზეც, მაგრამ განსაკუთრებული „ზრუნვისა“ და „შფოთვის“ საგანი მაინც ქალია, რაც უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება მის რეპროდუქტიულობას და მემკვიდრეობის „კვლავწარმოების“ გარანტიებს. ტრადიციული კულტურა ნეგატიურად აფასებს ქორწინების გარეშე ქალის მიერ შვილის ყოლას, ამიტომ ოჯახის შექმნის ვალდებულებას ქალს უფრო აკისრებს.

ტრადიციულ საზოგადოებაში მკაცრად კონტროლდება ქალის სექსუალური ცხოვრება და ქორწინების აუცილებლობაც ამით არის განპირობებული. მას მხოლოდ ქორწინების შემდეგ შეუძლია სქესობრივი ურთიერთობა, რაც მამაკაცზე არ ვრცელდება.

საზოგადოებაში ქორწინებაში არმყოფი ქალის მიმართ ფარული ან აშკარა ნეგატიური განწყობებია. ერთი მხრივ, თუ ქალი დამოუკიდებლად ცხოვრობს, მის მიმართ გამძაფრებულია „მორალისტური თვალთვალი“, ეჭვები მის ზნეობაზე და თუ ქალი არც მალავს თავის თავისუფალ სექსუალურ ცხოვრებას, უმეტესად ის ნეგატიურად ფასდება. ამას გარდა, თუ ქალი არ არის გათხოვილი, ის განიხილება როგორც სოციალურად არასრულფასოვანი, იმის მიუხედავად, არის თუ არა რეალიზებული, აქვს თუ არა საქმე, არის თუ არა წარმატებული; მის მთავარ ფუნქციად მაინც ოჯახი მიიჩნევა – ანუ უნდა იყოს ცოლი, დედა.

საქართველოში, ამ თვალსაზრისით, ადამიანი იურიდიულად არ იზღუდება, მაგრამ საზოგადოებრივი მორალია ძალადობრივი, რომელიც ქმნის ნორმებს, კლიშეებს და სოციუმის თითოეულ წევრს ავალდებულებს ამ ნორმების გაზიარებას.

არცერთ ადამიანს ამ მხრივ არანაირი ვალდებულება არც საზოგადოების და არც სახელმწიფოს მიმართ არ გააჩნია. ქორწინება არის აბსოლუტურად პრივატული სფერო, ადამიანმა, ყოველგვარი მორალური შეფასებების გარეშე, თვითონ უნდა გადაწყვიტოს, რა და როგორ უნდა.

კოტ დ'ივუარი

გბაგბოს დასასრული

აფრიკაში კიდევ ერთი დიქტატორული რეჟიმი დამარცხდა.

ვასო კუჭუხიძე

11 აპრილს საფრანგეთის სამხედრო ძალებმა აბიჯანში საკუთარი რეზიდენციის ბუნკერში დააპატიმრეს კოტ დ'ივუარის უკვე ყოფილი პრეზიდენტი ლორენ გბაგბო.

თავდაპირველად ის Golf Hotel-ში გადაიყვანეს, სადაც, დაახლოებით, ექვსი თვეა, გამარჯვებული ოპოზიციონერი ლიდერის ალასან უატარას შტაბ-ბინაა მოწყობილი. სასტუმროში მიყვანიდან რამდენიმე საათში ყოფილი პრეზიდენტი გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს და უკანასკნელ წუთამდე უცნობია მისი ამჟამინდელი ადგილსამყოფელი.

ნიუ-იორკში გამართულ პრესკონფერენციაზე გაეროს წარმომადგენელმა ფარჰან ჰაქმა განაცხადა, რომ გბაგბო მეუღლესთან ერთად გაეროს ძალებმა უსაფრთხო ადგილას გადაიყვანეს და ახლა მის დაცვაზე პასუხისმგებლები ისინი არიან. უატარას განცხადებით, გბაგბოსა და მისი ოჯახის უსაფრთხოება ქვეყნის ღირსების საკითხია, ჩადენილ დანაშაულებებზე ყოფილმა პრეზიდენტმა საერთაშორისო სასამართლოს წინაშე მოგვიანებით უნდა აგოს პასუხი.

პროფესიით ისტორიის მასწავლებელი ლორან გბაგბო კოტ დ'ივუარს 2000 წლიდან მართავდა. 2010 წლის 28 ნოემბერს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გბაგბო ალასან უატარასთან დამარცხდა, თუმცა ქვეყნის იმ 9 რეგიონში, რომელშიც მოწინააღმდეგე ლიდერობდა, სასამართლომ არჩევნების შედეგები გააუქმა და გამარჯვებულად გბაგბო გამოაცხადა.

უცხოელი დამკვირვებლების ანგარიშებზე დაყრდნობით, საერთაშორისო საზოგადოებამ გამარჯვებულად უატარა აღიარა და გბაგბოს უზურპირებული თანამდებობის დატოვებისკენ მოუწოდა. დამარცხებული პრეზიდენტი დასავლეთის მოწოდებას არ დათანხმდა. შედეგი ვერც საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა გამოიღო. გბაგბო ძალისმიერი მეთოდებით ცდილობდა თანამდებობის ლეგიტიმაციას. კოტ დ'ივუარი პოლიტიკურმა კრიზისმა მოიცვა.

ორხელისუფლებიანობა შეიარაღებულ კონფლიქტში მალე გადაიზარდა, რამაც 5 თვის განმავლობაში ორივე მხარის მომხრეთა შორის უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

კოტ დ'ივუარის შესახებ

სამხრეთ აფრიკის ამ რესპუბლიკის დედაქალაქია იამუსუკრო, უდიდესი ქალაქი კი საპორტო აბიჯანი.

ქვეყნის მოსახლეობამ უკანასკნელი დეკადის განმავლობაში თითქმის ხუთი მილიონით იკლო და ამჟამად 15,3 მილიონს შეადგენს.

ოფიციალური ენა ფრანგულია, თუმცა ასევე გავრცელებულია ათამდე ადგილობრივი ენა.

კოტ დ'ივუარი აფრიკის ექვს ქვეყანას – ლიბერიას, გვინეას, მალის, ბურკინა ფასოს და განას ესაზღვრება.

1843-44 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით კოტ დ'ივუარი საფრანგეთის „პროტექტორატის" ქვეშ აღმოჩნდა, 1893 წელს კი საფრანგეთის კოლონია გახდა.

1960 წლის 7 აგვისტოს კოტ დ'ივუარმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, მას შემდეგ ქვეყანა ინარჩუნებდა ახლო პოლიტიკურ ურთიერთობებს დასავლეთ აფრიკის სხვა ქვეყნებთან ისევე, როგორც დასავლეთთან, განსაკუთრებით კი საფრანგეთთან.

1960-იან წლებიდან ქვეყნის ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ყავის და კაკაოს წარმოებაა.

ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომისგან ქვეყანას გაეროს კორპუსი იცავდა, სწორედ მას აფარებდა თავს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად აღიარებული უატარაც.

გბაგბომ გაეროს მისია ქვეყანაში გაუქმებულად გამოაცხადა და ტერიტორიის დატოვებისკენ მოუწოდა. აფრიკის კავშირის მიერ ინიცირებული დიპლომატიური გზებით მოგვარების ყველა მცდელობა მარცხით დასრულდა. აუცილებელი გახდა სხვა, უფრო ქმედითი ზომების გატარება. ეს მისია საკუთარ თავზე საფრანგეთმა იტვირთა.

აპრილის დასაწყისში ფრანგულმა შეიარაღებულმა ძალებმა გაეროს მანდატის საფუძველზე უატარას თანამებრძოლების დახმარება დაიწყეს. ფრანგული ავიაციის მიერ სამთავრობო ძალების კარგად გამაგრებული პოზიციების რამდენიმედღიანი დაბომბვის შემდეგ ოპოზიციურმა ფორმირებებმა პრეზიდენტის რეზიდენციას ალყა შემოარტყეს. სამთავრობო ძალების მეთაურმა ფილიპ მანგუმ საკუთარ მებრძოლებს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდა, რის შემდეგაც მათი ნაწილი ოპოზიციის მხარესაც კი გადავიდა. გბაგბოს განუდგა საგარეო საქმეთა მინისტრი ალსიდ ჯეჯეც, რომელიც საფრანგეთის ელჩს ეწვია და უსაფრთხოების გარანტიები ითხოვა.

ამის შემდეგ უკვე ნათელი გახდა, რომ გბაგბოს მმართველობის დღეები დათვლილი იყო. 11 აპრილს რეზიდენციის შტურმის დროს გბაგბო ფრანგმა სამხედროებმა აიყვანეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მან დაპატიმრებიდან ცოტა ხანში თანამებრძოლებს ცეცხლის შეწყვეტისა და იარაღის დაყრისკენ მოუწოდა, თუმცა მისი მომხრეების რამდენიმე ჯგუფი კვლავ განაგრძობს ბრძოლას.

უკვე გადაწყვეტილია, რომ კოტ დ'ივუარის პრეზიდენტის სავარძელს ალასან უატარა დაიკავებს, რადგან მან ეს თანამდებობა არჩევნებით მოიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი მას დიდ დახმარებას ჰპირდება და მალე მის ქვეყანას ეკონომიკურ სანქციებსაც მოუხსნის, უატარა დიდი პრობლემების წინაშე დგას. მან უნდა მოახერხოს ქვეყნის შიგნით ორად გაყოფილი საზოგადოების კონსოლიდაცია. ქვეყნის მდიდარ სამხრეთის პროვინციებში გბაგბო ჯერაც დიდი მხარდაჭერით სარგებლობს და ახალმა პრეზიდენტმა მათი შემორიგება დროულად უნდა შეძლოს.

საუბარია იმაზეც, რომ უატარას მხარეს მებრძოლი 2 ძირითადი შენაერთი FRCI (კოტ დ'ივუარის რესპუბლიკური ძალები) და „უჩინარი ძალები", ახალ პრეზიდენტს ბოლომდე არ ემორჩილება, ამიტომაც სამხედრო გადატრიალების თავიდან აცილების მიზნით, საფრანგეთს კიდევ რამდენიმე თვე მოუწევს კოტ დ'ივუარის სტაბილურობაზე ზრუნვა.

ბელარუსი

აფეთქებული ჰაერობა

ბელარუსები შოკში არიან: გასულ კვირას მინსკში მომხდარმა ტერაქტმა 11 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, დაახლოებით, 200-მდე ადამიანი დაშავდა. სახელმწიფო, რომელიც საკუთარ თავს სტაბილურობისა და უსაფრთხოების კუნძულად მიიჩნევდა, მნიშვნელოვნად შეირყა.

მარინა რახლეი, მინსკიდან

მიუხედავად იმისა, რომ უკვე 13 აპრილს, გლოვის დღეს, ხელისუფლებამ ტერაქტის შემსრულებლების დაკავების შესახებ განაცხადა, ბელარუსები ტერორისტების შესაძლო მოტივების განხილვას კვლავ განაგრძობენ. „გაერო, ნატო და ღმერთო, უშველე ბელარუსს!“, – წერენ შეშფოთებული ბელარუსები ინტერნეტ-ფორუმებზე.

რადიომართული ბომბი პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან ახლოს, ყველაზე ხალხმრავალ მეტროსადგურზე, პიკის საათის დროს, დაახლოებით, 17:55-ზე აფეთქდა. ეს ახალი ამბავი დაუჯერებლად ჟღერდა: ბელარუსში არ არის რელიგიური ან ეთნიკური კონფლიქტები, არ არის არც ექსტრემალური დაჯგუფები ან ისლამისტები. მაშ, ვინ ჩაიდინა ეს სისასტიკე და რატომ?

ტრაგედიიდან რამდენიმე საათის შემდეგ შემთხვევის ადგილს პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო თავისი 6 წლის შვილ ნიკოლოზთან ერთად ეწვია. ორი დღის შემდეგ მან ხალხს აცნობა, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა ოპერაცია წარმატებით ჩაატარეს და ექვმიტანილები დააკავეს. ორივე დაკავებული ბელარუსია, დაახლოებით, 30 წლამდე ასაკის. ლუკაშენკოს თქმით, მათი მოტივები ჯერ უცნობია. მათ ასევე აღიარეს, რომ 2005 წელს ვიტებსკში და 2008 წელს მინსკში, დამოუკიდებლობის დღეს მომხდარი აფეთქებების ავტორებიც იყვნენ.

ეს აფეთქებები დღემდე გაუხსნელი იყო. 2005 წლის 14 და 22 სექტემბერს ვიტებსკში ორი თვითნაკეთი მოწყობილობა აფეთქდა – როცა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებაზე ლითონის საგნებით გავსებული ლუდის ქილა აფეთქდა, არავინ დაშავებულა; დისკოთეკაზე მომხდარი აფეთქების შედეგად კი, დაახლოებით, 50 ადამიანი დაშავდა.

2008 წლის 3 ივლისს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ზეიმისას მინსკში ხილის წვენის შეფუთვაში დამალული, თვითნაკეთი მოწყობილობა აფეთქდა. 55 ადამიანი დაშავდა. აფეთქების შემდეგ ბელარუსის მოსახლეობის მამრობითი სქესის თითქმის ყველა წარმომადგენელს თითის ანაბეჭდები აუღეს, მაგრამ დამნაშავეებს მაინც ვერ მიაკვლიეს.

ტერაქტის შემდეგ ლუკაშენკომ სამართალდამცავ ორგანოებს გაძლიერებულ რეჟიმზე გადასვლა უბრძანა:

„ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოვეშვათ. წმენდა ყველა მიმართულებით უნდა ჩატარდეს. კიდევ ერთი მთავარი გაკვეთილი – ეს იმ გარემოს შედეგია, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. უყაირათობა, უსაქმურობა, არაორგანიზებულობა დაუშვებელია. ამ ყბედობას „დემოკრატიაზე“ და „დემოკრატიზაციაზე“, რომელსაც ჩვენ გარედან გვახვევენ თავს, არაფერი საერთო არ აქვს იმ ჭეშმარიტ დემოკრატიასთან და ხალხის ძალაუფლებასთან, რომელიც უნდა იყოს და არის ჩვენს ქვეყანაში,“ – განაცხადა ბელარუსის პრეზიდენტმა.

ლუკაშენკომ „ქვეყნის ამოყირავების“ დამკვეთებისა და თანამოაზრეების მოძებნის ბრძანება გასცა. მან ასევე ოპოზიციის წარმომადგენლების დაკითხვა მოითხოვა,

„ყოველგვარი დემოკრატიისა და უცხოელი გულშემატკივრების წივილ-კივილის მიუხედავად“. პარალელურად, მან ყოველგვარი პანიკის, მათ შორის, სავალუტო და სასურსათო პანიკის აღკვეთა ბრძანა.

ტერაქტი ქვეყანაში გამეფებული რთული ეკონომიკური სიტუაციის ფონზე მოხდა. მინსკი მოსკოვისათვის 3 მილიარდი დოლარის კრედიტის მოთხოვნაზე პასუხს ელოდება. 20-30%-იანი დევალვაციის და შემდგომი ინფლაციის შიშით, ბელარუსები შაქარს, ზეთსა და წიწიბურას იმარაგებენ. ბოლო

ტერაქტი მინსკში, 11 აპრილი 2011

რამდენიმე კვირაა, ვალუტის გადამცვლელ ჯიხურებში რიგები დგას, სიები რამდენიმე დღით ადრე დგება: ევროსა და დოლარის შესყიდვა დღემდე გართულებულია. ამასობაში, ხელისუფლება სავალუტო ბაზარზე პრობლემებს უარყოფს და მიუთითებს იმაზე, რომ საკვები არ გაძვირებულა.

სიტუაციას რთული პოლიტიკური ვითარება და დასავლეთთან გაციებული ურთიერთობებიც ამძიმებს. 2010 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როცა გაყალბების წინააღმდეგ გამართული მიტინგის მონაწილეები სასტიკად დაარბიეს, ბელარუსს ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების დაკავებების ტალღამ გადაუარა.

არჩევნების შემდეგ საღამოს 600-ზე მეტი ადამიანი დააკავეს. დღეისათვის 40 ადამიანი მასობრივი არეულობის მოწყობის გამო ეჭვმიტანილის სტატუსით სისხლის სამართლებრივ დევნაში იმყოფება. თუმცა, ბოლო კვირების განმავლობაში, ათის მიმართ ბრალდება მნიშვნელოვნად შერბილდა (ახალი მუხლით, მათ არა 15, არამედ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ), რამდენიმე კი ქვეყნიდან გაუსვლელობის ხელწერილის ქვეშ გაათავისუფლეს.

მინსკის ტერაქტი ბელარუსის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების შესაძლო შემოღების შესახებ ევროკავშირის სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის დაწყების წინა დღეს მოხდა.

ტრაგედიის სერიოზულობიდან გამომდინარე, ბელარუსი ექსპერტები დამნაშავეთა შესაძლო მიზნების შესახებ საუბრისას ფრთხილობენ. შესაძლოა, ტერაქტი დესტაბილიზაციის მიზნით დასავლეთის სახელმწიფოებმა მოამზადეს; ან ხელისუფლებისადმი მოსახლეობის ნდობის შემცირების მიზნით – რუსეთის სპეცსამსახურებმა.

ტერაქტის მოწყობა ბელარუსის ხელისუფლებასაც აწყობს – საერთო-სახალხო გლოვას ეკონომიკური პრობლემებიდან ყურადღება გადააქვს, დასავლეთს სანქციების შემოღების მორალურ უფლებას უკარგავს და ტერორისტებთან ბრძოლის ნებისმიერ მეთოდს ამართლებს.

მაგრამ როგორია იმის დაჯერება, რომ პოლიტიკოსებს, ჩინოვნიკებს და სპეცსამსახურებს მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ მსგავსი დანაშაულის ჩადენა შეუძლიათ?

ლუკაშენკოს მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ აფეთქება „დასავლეთის საჩუქარია“, სახელმწიფო მედია საშუალებები არჩევნების შემდგომ მღელვარებას, მეტროში მომხდარ ტერაქტს და ოპოზიციის მოღვაწეობას – რომლის მიზანი „სტაბილური და მშვიდი ბელარუსის ლიბიად გადაქცევაა“, – ერთმანეთთან აკავშირებენ. თავის მხრივ, ოპოზიციას, რომლის ლიდერები ციხეში ან შინა პატიმრობაში იმყოფებიან, დაკითხვებისა და დაკავებების ახალი ტალღის ეშინია.

13 აპრილს გვიან საღამოს „გაეროს“ უშიშროების საბჭომ ეს „შესაძლო ტერაქტი“ მკაცრად დაგმო და დაღუპულთა და დაჭრილთა ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადა. როგორც AFP იუწყება, ერთი აზრი, თუ ვინ დგას ამ ტერაქტების უკან, არ ყოფილა. დასავლეთის სახელმწიფოები, რომლებსაც მინსკი მონაწილეობაში ადანაშაულებს, ამბობენ, რომ ბელარუსიდან მომდინარე სიგნალების თანახმად, ტერაქტის უკან ხელისუფლება დგას.

ამასობაში, ბელარუსის საზოგადოებისთვის ამ საშინელი დანაშაულის მიუკერძოებლად გამოძიების საკითხი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ბელარუსი ევროპის ერთადერთი სახელმწიფოა, სადაც სიკვდილით დასჯა ჯერ კიდევ გამოიყენება. საფუძვლიანი ეჭვის ქვეშაა ბელარუსის თემიდის დამოუკიდებლობაც. ჯერ კიდევ არავინ საუბრობს იმაზე, თუ ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ ტერაქტის აღკვეთა ვერ მოხდა. შეინიშნება მხოლოდ სიამაყე მომხდარის სწრაფად გამოძიების გამო.

შეიტყობენ კი ბელარუსები, სინამდვილეში ვინ დგას 11 აპრილის ტერაქტის უკან? ამ დღემ ქვეყანა უკვე შეცვალა, რადგან ნათელი გახდა, რომ ბელარუსის ტრაგედიებს სახელმწიფოს „ამოყირავების“ საფრთხეც დაემატება.

რუსეთი

სოჭის ოლიმპიადა - ტესტი ჩუსული სპეცსამსახურებისთვის

განახორციელებენ თუ არა ჩრდილო კავკასიელი ბოევიკები ტერორისტულ თავდასხმებს ოლიმპიადის ინფრასტრუქტურაზე, დიდწილად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება მათი დღის წესრიგი და ტექნიკური შესაძლებლობები 2014 წელს.

ემილ სულემაინოვი

სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების კომპლექსის სქემა

რუსეთის ხელისუფლების განცხადებით, სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის დროს კრასნოდარის მხარეში მდებარე ამ 350 ათასიან საპორტო ქალაქში სხვადასხვა პროფესიის 70 ათასამდე ადამიანი იმუშავებს. მათ შორის იქნებიან რუსეთის სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული ახალგაზრდა მოხალისეებიც. ამ დროისთვის კრასნოდარის მხარე რუსეთის ფედერაციის ცენტრი გახდება და ამავდროულად, ბოლო დროს მნიშვნელოვნად გააქტიურებული თვითაღიარებული კავკასიის საამიროს დასავლური ფრთის ინტერესსაც გამოიწვევს.

პუტინ-მედვედევის ტანდემისათვის სოჭის ოლიმპიადის ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩატარება ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა. შესაბამისად, ისინი ოლიმპიური ინფრასტრუქტურის მშენებლობაში მილიარდობით დოლარს აბანდებენ. თუმცა, არის ერთი ჯგუფი, რომელსაც ეს ოლიმპიური თამაშები გულზე დიდად არ ეხატება, ისინი ჩრდილოკავკასიელი შეიარაღებული მეამბოხეები არიან.

რუსეთისთვის ომის გამოცხადების შემდეგ მეამბოხეები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განურჩევლად ყველას ესხმიან თავს, რაც სამოქალაქო მოსახლეობაში დიდ მსხვერპლს იწვევს. 2010 წლის მარტ-

ში მოსკოვის მეტროსა და 2011 წლის იანვარში დომოდედოვოს აეროპორტში ტერაქტებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჩრდილოკავკასიელ მეამბოხეებს ერთი შეხედვით საკმაოდ დაცულ ტერიტორიებზეც კი სრულმასშტაბიანი ოპერაციის ჩატარება შეუძლიათ.

ნათელია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ოლიმპიური თამაშების დროს მოსალოდნელი ტერორისტული თავდასხმების მაღალი ალბათობის შესახებ კარგად უწყის და ამ რისკის მინიმუმამდე დაყვანისათვის ყველაფერს გააკეთებს. სოჭის მიდამოებში სამშენებლო სამუშაოების ჩატარების უფლების მოსაპოვებლად ტენდერებში მონაწილეობა ჩრდილო კავკასიურ კომპანიებს არაოფიციალურად აუკრძალეს. მეტიც, ჩრდილო კავკასიის ეთნიკური ავტონომიების მოსახლეობა ოლიმპიური ობიექტების სამშენებელო სამუშაოებზე არ დაიშვება, რამაც რეგიონში სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის გარკვეული დაპირისპირება უკვე გამოიწვია. მოხალისეების დაქირავების ზუსტი კრიტერიუმები ცნობილი არ არის, რადგან, ოფიციალურად, ეს პროცესი მხოლოდ 2012 წელს დაიწყება. მაგრამ, სავარაუდოდ, დისკრიმინაციას აქაც ექნება ადგილი. ხელისუფლება შეეცდება ჩრდილო კავკასიის ავტონომიების პოტენციურად არასანდო წარმომადგენლები ოლიმპიური ინფრასტრუქტურებთან ახლოსაც არ გააკაროს.

სავარაუდოდ, ოლიმპიადის დროს მთელ კრასნოდარის მხარეში საგანგებო რეჟიმი გამოცხადდება, რომელსაც ამ რეგიონში გადატყორცნილი ფედერალური უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფს. ფედერალურ სპეცსამსახურებში ბოლო ხანებში შემდეგმა ტენდენციამ იჩინა თავი: ისინი ადგილობრივი უსაფრთხოების სამსახურებს არ ენდობიან და საკუთარი ნება-სურვილით მოქმედებენ, ისე, რომ ადგილობრივ სამსახურებს მომავალი მნიშვნელოვანი ანტიტერორისტული ოპერაციის შესახებ ინფორმაციასაც კი არ აწვდიან. ასე მოხდა ამა წლის მარტში, ინგუშეთში გამართული მასობრივი ანტიტერორისტული წმენდის დროს.

რუსეთის სპეცსამსახურების პირველი ნომერი ამოცანა დღეს კავკასიის საამიროს სოჭის ოლიმპიადის დაწყებამდე განადგურებაა. თუმცა, თუ რუსული სპეცსამსახურების მუშაობის ხარისხსა და ჩრდილო კავკასიის ისლამური აჯანყების ორგანიზებულობას გავითვალისწინებთ, ამ ამოცანის შესრულება თითქმის შეუძლებელია.

განახორციელებენ თუ არა ჩრდილო კავკასიელი ბოევიკები ტერორისტულ თავდასხმებს ოლიმპიადის ინფრასტრუქტურაზე, თუნდაც საერთაშორისო საზოგადოების გადამტერების ხარჯზე, დიდწილად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება მათი დღის წესრიგი და ტექნიკური შესაძლებლობები 2014 წელს.

უკანასკნელ წლებში ისლამური დაჯგუფებების განსაკუთრებული რადიკალიზაციისა და ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე პროცესებისადმი დასავლეთის სრული უყურადღებობის გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თავდასხმები ფართომასშტაბიანი და განურჩეველი იქნება.

რუსეთის ხელისუფლებამ მოსალოდნელი ტერორისტული თავდასხმების მაღალი ალბათობის შესახებ კარგად უწყის და ამ რისკის მინიმუმამდე დაყვანისათვის ყველაფერს გააკეთებს.

ბოლოს და ბოლოს, ჩრდილოეთ კავკასიის სიახლოვეს მასშტაბური ტერორისტული ღონისძიების ჩატარება უნიკალური შანსია, რომელიც ისლამისტებს აძლევს შესაძლებლობას, მთელ მსოფლიოს გააცნონ საკუთარი თავი და პოლიტიკური მისწრაფებები — და ეს ყველაფერი იმ მიწაზე, რომელიც მათ თავის საკუთრებად მიაჩნიათ.

2014 წლის ოლიმპიადა ერთგვარი გამოცდა იქნება ფედერალური უსაფრთხოების სამსახურისათვის, თუ რამდენად შეძლებენ ისინი სხვადასხვა უწყებაში თავმოყრილი ათი ათასობით ადამიანის კოორდინირებას.

ტრადიციულად, კოორდინაცია მათი სუსტი მხარეა, რაც მასშტაბური ანტიტერორისტული რეიდების დროს არაერთხელ დადასტურდა. სამართალდამცავ სტრუქტურებში უკიდეგანოდ ფეხმოკიდებული კორუფცია ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება. ნაკლებად სავარაუდოა, რომ კორუფციის აღმოფხვრა რუსეთის ამ ყველაზე კორუმპირებულ რეგიონში ოლიმპიადამდე დარჩენილ დროში მოესწროს. ვინაიდან ისლამისტი ბოევიკები მასობრივი ტერორისტული თავდასხმების განხორციელებისას, ძირითადად, თვითმკვლელებს იყენებენ, მათი „მიმალვის გზებზე“ ფიქრი არ უწევთ. ეს კი მეტად ართულებს ხელისუფლების დავალებას, აკონტროლოს ასი ათასობით სტუმარი დიდ ტერიტორიაზე ისე, რომ არცერთი ბომბი არ აფეთქდეს.

რუსეთის ხელისუფლების სურვილი, შეამციროს ტერორიზმის საფრთხე ჩრდილო კავკასიელების ოლიმპიადის ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე არდაშვების გზით, ასევე საეჭვოა. ჩრდილოკავკასიელთა წინააღმდეგ დისკრიმინაციული ღონისძიებების გატარება ეროვნული თვითმყოფადობისათვის მებრძოლ ადგილობრივ ჩრდილოკავკასიელებსა და ადგილობრივ რუსებს შორის ისედაც დაძაბულ ურთიერთობას კიდევ უფრო დაძაბავს. შედეგად, განაწყენებულ ჩრდილოკავკასიელებს, შესაძლოა, ისლამისტი ბოევიკების მხარდაჭერის სურვილი გაუმძაფრდეთ. ამ განწყობის ეფექტიანად გამოყენებას კი მხოლოდ ბოევიკები შეძლებენ.

სოჭის ოლიმპიადა მთელ რიგ საფრთხეებს შეიცავს. სავარაუდოდ, კავკასიის საამირო 2014 წლის ოლიმპიადას გლობალური აღიარების მოსაპოვებლად უნიკალურ ისტორიულ შესაძლებლობად განიხილავს. და ბოლოს, სოჭის მიდამოებზე მეტისმეტი ყურადღების გადატანის გამო, რუსული სპეცსამსახურები შეიძლება „ზურგის“ გარეშე დარჩნენ, რაც ბოევიკებს მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, ან ჩრდილო კავკასიისა თუ რუსეთის სხვა რეგიონში ტერორისტული თავდასხმის მოწყობას გაუადვილებს.

Hermes 450-ის ტიპის უპილოტო თვითმფრინავი

ისრაელი და საქართველო

დავა მილიონებისთვის თუ პოლიტიკური დემარში

იარაღის მიმწოდებელი ისრაელური კომპანია, რომელიც აგვისტოს ომამდე ქართველ სამხედროებს წვრთნიდა, ახლა აფხაზეთისთვის სამხედრო სფეროში დახმარების საკითხს განიხილავს; იარაღის მიმწოდებელი მეორე ისრაელური კომპანია საქართველოს ხელისუფლებას ბრიტანეთის უზენაეს სასამართლოში უჩივის.

ოლესია ვართანიანი, „რადიო თავისუფლება“, სპეციალურად „ლიბერალისთვის“

გასული კვირის ბოლოს აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში მოსკოვში იმყოფებოდა, სადაც ისრაელური კომპანიის Global CST-ის ხელმძღვანელობას შეხვდა. ეს კომპანია სამხედრო ტექნიკის გაყიდვებითაა დაკავებული. როგორც რუსული და ისრაელური პრესა იტყობინება, მოსკოვის შეხვედრაზე აფხაზეთისთვის სამხედრო სფეროში დახმარების, კონკრეტულად კი თავდაცვითი იარაღის მიწოდების საკითხი განიხილებოდა.

მოსკოვის შეხვედრიდან მეორე დღეს Global CST-ის ხელმძღვანელი ისრაელ ზივი აფხაზეთში გაემგზავრა, რათა ადგილზე გაცნობოდა სიტუაციას, მათ შორის, აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან ვითარებასაც.

საგულისხმოა, რომ ისრაელის კანონმდებლობის თანახმად, კერძო ისრაელურ კომპანიას, რომელიც უცხო ქვეყნისთვის ნებისმიერი ტიპის იარაღის მიყიდვას გადაწყვეტს, ამისთვის ისრაელის ხელისუფლების სპეციალური ნებართვა სჭირდება.

თუმცა, ისრაელის ელჩი საქართველოში იცხაკ გერბერგი სააგენტო „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში უარყოფს ისრაელის ხელისუფლების კავშირს აფხაზეთთან სამხედრო თანამშრომლობაში: „ისრაელის პოლიტიკა აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში ნათელია. ჩვენ არ ვაღიარებთ მათ დამოუკიდებლობას და არ ვაპირებთ მათთვის რაიმე იარაღის მიყიდვას. შესაძლოა, რომელიმე კერძო ბიზნესმენი ჩავიდა იქ, მაგრამ მათ არ შეუძლიათ, მთავრობის სახელით ილაპარაკონ. ვიმეორებ, აფხაზებისთვის იარაღის მიყიდვას არ ვაპირებთ“.

სულ რაღაც სამი წლის წინ იგივე Global CST და მისი ხელმძღვანელი ისრაელ ზივი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან რამდენიმე კილომეტრში ქართული ანტიტერორისტული ჯგუფის მომზადებით იყო დაკავებული. ზივის რამდენიმე სპეციალისტმა, ისრაელში საკმაოდ ცნობილი ახალგაზრდა მეთაურის გალ ხირშის ხელმძღვანელობით, ქართველ სამხედროებს სპეციალური კურსი ჩაუტარა. ამ მომზადების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა ქართველ სამხედროებს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მიეცათ.

საქართველოსთან თანამშრომლობის ფაქტს ეს კომპანია არასოდეს მალავდა. youtube.com-ზე შეიძლება Global CST-ის ხუთწუთიანი სარეკლამო რგოლის ნახვა, სადაც ქართველი ჯარისკაცების საველე წვრთნების კადრებიცაა გამოყენებული. ერთ-ერთ კადრზე ქართველი სამხედრო ისრაელელ ტრენერს ხელს ართმევს და ამბობს: „გაუმარჯოს საქართველოსა და ისრაელის მეგობრობას!“

ვიდეორგოლში ჩანს, რომ Global CST-ის ხელმძღვანელი და დამფუძნებელი ისრაელ ზივი ქართველ სამხედროებს სპეციალური კურსის გავლის დამადასტურებელ სერტიფიკატებს გადასცემს. გასულ კვირას კი იგივე ისრაელ ზივი უკვე აფხაზ ჩინოვნიკებსა და სამხედროებს ართმევდა ხელს.

„არის მსგავსება ებრაელ და აფხაზ ხალხს შორის. თქვენც ჩვენსავით პატარა ერი და პატარა სახელმწიფო ხართ, რომელსაც პრობლემები აქვს მეზობელთან“ – განაცხადა ისრაელ ზივმა სოხუმში ერთ-ერთ შეხვედრაზე.

ELBYT SYSTEMS -ი საქართველოში

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ყოფილი პარტნიორი „მტრის“ სამსახურში გადასვლას გეგმავს ზუსტად ერთ კვირაში გავრცელდა მას შემდეგ, რაც საქართველოს კიდევ ერთმა პარტნიორმა – ისრაელურმა კომპანიამ Elbit Systems-მა განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრიტანეთის უზენაეს სასამართლოში იჩივლებს. Elbit Systems-ი საქართველოს ხელისუფლებას 2007 წლის კონტრაქტის თანახმად, 100 მილიონ დოლარს ედავება.

საქართველოს ხელისუფლება ამ ფაქტებთან დაკავშირებით ჯერჯერობით დუმს. გარეშე დამკვირვებლებს კი ეს უცნაური დამთხვევები ისრაელის მხრიდან კოორდინირებული დემარშის შთაბეჭდილებას უტოვებს.

საქართველოს და ისრაელური კომპანიის Elbit Systems-ის თანამშრომლობა ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. ეს კომპანია მონაწილებდა თავდაცვის სამინისტროს მიერ წამოწყებულ პროექტში, რომლის მიზანი საბჭოთა დროს „თბილავიამშენის“ მიერ გამოშვებული თვითმფრინავების – სუ-125-ის გაუმჯობესება იყო.

2007 წელს ამ ისრაელურ კომპანიასთან თანამშრომლობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ეს ის წელია, როცა საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი უპრეცედენტოდ გაიზარდა. Elbit Systems-მა თბილისთან კონტრაქტი გააფორმა და საქართველოში სამხედრო აღჭურვილობისა და ასევე უპილოტო საფრენი აპარატების მიწოდება დაიწყო.

საქართველო ისრაელისგან ორი ტიპის უპილოტო თვითმფრინავებს ყიდულობდა – Hermes 450-ს და Skylark-ს.

აგვისტოს ომამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო Hermes 450-ს აფხაზეთის ტერიტორიაზე დაზვერვისთვის იყენებდა. ეს უპილოტო საფრენი აპარატი პირდაპირ ვიდეოტრანსლაციას ახორციელებს. სწორედ ამ პირდაპირი ვიდეოტრანსლაციის წყალობით შეძლო ქართულმა მხარემ 2008 წლის გაზაფხულზე იმის დამტკიცება, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე უკანონოდ იმყოფებოდა რუსული სამხედრო თვითმფრინავი, რომელმაც შემდეგ ქართული უპილოტო აპარატი ჩამოაგდო.

მეორე უპილოტო საფრენი აპარატი – Skylark-ი შედარებით მცირე ზომისაა და სათამაშო თვითმფრინავს ჰგავს.

საქართველოს ხელისუფლების და ისრაელის სამხედრო პომპანიების თანამშრომლობის სქემა

დავით ბეზარაშვილი

ჩონი მილო (ფოტოზე) მღომო მილო (Israel Military Industries)

ისრაელ ზივი (Global CST)

Elbit Systems

იარაღის შესყიდვების მონიტორინგი თბილისში

კონკრეტულად რა ტიპის იარაღს ყიდულობდა საქართველო ისრაელისგან, ეს მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა იცის საქართველოს ხელისუფლებაში. ადგილობრივი ექსპერტები თავდაცვის სფეროს ასეთ დახურულობას უკვე წლებია, აკრიტიკებენ.

იარაღის ყველა შესყიდვას საქართველოს პარლამენტის სპეციალური ნდობის ჯგუფის მხარდაჭერა სჭირდება. ამ ჯგუფში, რომლის ხელმძღვანელია თავდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე, ხუთი დეპუტატი შედის. მათ შორის არის ორი ოპოზიციონერიც - გიორგი თარგამაძე და გია თორთლაძე.

მიუხედავად ასეთი წარმომადგენლობითი შემადგენლობისა, ნდობის ჯგუფის არსებობა პარლამენტში მხოლოდ ფორმალობაა. ბოლოს როდის განიხილა ამ ჯგუფმა იარაღის შესყიდვების საკითხი და როგორ მიმდინარეობს ეს განხილვები – ამ კითხვაზე პასუხი იმ პირებსაც არა აქვთ, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულნი არიან ამ ჯგუფის მუშაობასთან.

Elbit Systems

ამ ისრაელურ კომპანიას სერიოზული რეპუტაცია აქვს სამხედრო ტექნიკის შესყიდვების სფეროში. 2006 წლიდან ამ კომპანიის ფასიანი ქაღალდები მსოფლიოს უმსხვილეს ბირჟაზე NASDAQ-ზეა წარმოდგენილი. კომპანიის რეგულარული ფინანსური ანგარიშების თანახმად, მის მუდმივ და მსხვილ კლიენტებს შორის არიან აშშ და ისრაელი. წესდების თანახმად, ამ კომპანიის აქციების 25 პროცენტზე მეტის ყიდვის შემთხვევაში, მყიდველს ისრაელის ხელისუფლების სპეციალური ნებართვა სჭირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიის პოლიტიკის განსაზღვრაში ისრაელის ხელისუფლება პირდაპირ მონაწილეობს.

ასეთი ტიპის უპილოტო თვითმფრინავი აგვისტოს ომიდან რამდენიმე თვეში სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან ჩამოაგდეს. ქართულმა მხარემ არ აღიარა, რომ ეს მისი საფრენი აპარატი იყო.

უპილოტო საფრენი აპარატების წარმოება ისრაელური კომპანიის ერთადერთი შემოსავალი ნამდვილად არ არის. ეს კომპანია ლიდერია სადაზვერვო და საბრძოლო მოქმედების დროს საკომუნიკაციო კავშირის დასამყარებლად საჭირო მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობის წარმოებაში.

საქართველოს არასოდეს დაუდასტურებია, რომ Elbit Systems-გან მსგავსი ტიპის აღჭურვილობას ყიდულობდა. თუმცა, ამერიკული პენტაგონის ანგარიშში ნათქვამია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ქართველ სამხედროებს თანამედროვე საკომუნიკაციო აღჭურვილობა ჰქონდათ. ამასთან, ამავე ანგარიშში ისიც წერია, რომ სწორედ კომუნიკაციის პრობლემები გახდა გადამწყვეტი ფაქტორი იმაში, რომ ქართულმა არმიამ ვერ გაუწია კოორდინირებული წინააღმდეგობა რუსეთის სამხედრო შემოტევას. მიზეზად დასახელებულია ის, რომ სამხედროებმა რიგ შემთხვევებში, უბრალოდ, არ იცოდნენ ამ თანამედროვე საკომუნიკაციო აღჭურვილობის გამოყენება და უკან დახევის შესახებ ბრძანებებს სამხედროები მობილური ტელეფონით იღებდნენ, რაც უმკაცრესი შეცდომაა საბრძოლო მოქმედებების დროს.

კონკრეტულად რა გახდა იმის მიზეზი, რომ ქართული მხარე უარს ამბობს ისრაელური კომპანიისთვის კონტრაქტით გათვალისწინებული 100 მილიონის გადახდაზე? ამ კითხვაზე პასუხისგან თბილისი ჯერჯერობით თავს იკავებს. ძალოვანი უწყებების ქართველმა ჩინოვნიკებმა უარი თქვეს ისრაელურ კომპანიასთან დავის შესახებ საუბარზე.

სქემა

Elbit Systems ერთადერთი ისრაელური კომპანია არ არის, რომელთანაც საქართველოს ხელისუფლება სამხედრო აღჭურვილობისა და ტექნიკის შეძენის მიზნით ძვირადღირებულ კონტრაქტებს აფორმებდა. ისრაელიდან ყველაზე სერიოზული შესყიდვები 2007 წელს დაიწყო, როცა საქართველოს თავდაცვის მინისტრის სავარძელი დავით კეზერაშვილმა დაიკავა.

ისრაელი-საქართველოს დიპლომატიური ჰრობლემები

გასული წლის შემოდგომაზე ისრაელის ბიზნესმენთა ასოციაციის პრეზიდენტმა შრაგა ბროშმა ისრაელელ ბიზნესმენებს საქართველოსთან ყოველგვარი კონტაქტის გაწყვეტისკენ მოუწოდა. ეს განცხადება ბროშმა 7 აპრილსაც გაიმეორა. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ ასოციაციის წევრია კომპანია **Elbit Systems**-ი, რომელიც დღეს საქართველოს ხელისუფლებას 100 მილიონ დოლარს ედავება.

ისრაელსა და საქართველოს შორის გარკვეული დიპლომატიური პრობლემები მას შემდეგ დაიწყო, რაც 2010 წლის 14 ოქტომბერს ბათუმში ისრაელელი ბიზნესმენები რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი დააკავეს. მათ ბრალად ედებათ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლისთვის დიდი ოდენობის ქრთამის შეთავაზება.

რონი ფუქსის და ზეევ ფრენკელის დაკავებას ისრაელიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ოქტომბერშივე, ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა პირადად დაურეკა მიხეილ სააკაშვილს და იმედი გამოთქვა, რომ გამოძიება სამართლიანად წარიმართებოდა.

თებერვალში საქართველო ისრაელის ანტიტერორისტული ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ საშიში ქვეყნების ნუსხაში მოხვდა.

მარტში ისრაელის მხარის დიპლომატიური დემარშის გამო ისრაელში საქართველოს მთავრობის ორი წარმომადგენლის დაგეგმილი ვიზიტი არ შედგა – პარლამენტის თავმჯდომარის და ეკონომიკის მინისტრის.

ებრაული მედიის ცნობით, რივენ რივლინმა (ისრაელის პარლამენტის თავმჯდომარე) ქართველ კოლეგას ვიზიტის გადადების მიზეზად „შიდა და გარე პოლიტიკურ გარემოებები“ და საქართველოში დაკავებული ისრაელელი ბიზნესმენების საკითხი დაუსახელა.

ქართული მხარე დიპლომატიურ კრიზისს არ აღიარებს. თუმცა, ისრაელელი ბიზნესმენების დაკავების ფაქტმა რომ საქართველო-ისრაელის ბიზნეს-ურთიერთობები დააზიანა, ამას „ლიბერალთან“ საუბარში ეკონომიკის მინისტრი ვერა ქობალიაც ადასტურებს: „რა თქმა უნდა, ამ საქმეს აქვს უარყოფითი ეფექტი საქართველო-ისრაელის ბიზნეს-ურთიერთობებზე. დაკავებულ ბიზნესმენებს ისრაელში პარტნიორები ჰყავთ და მათი ინტერესია, რომ ფუქსი და ფრენკელი გათავისუფლდნენ. ამიტომაც არსებობენ ამ საკითხით უკმაყოფილო ბიზნესმენები“.

უცხოელი ექსპერტები და დიპლომატები ეჭვს გამოთქვამდნენ ამ არჩევანთან დაკავშირებით. კეზერაშვილი იყო ახალგაზრდა, სულ რაღაც 29 წლის, რომელსაც არ ჰქონდა ამგვარი სერიოზული ძალოვანი უწყების მართვის რაიმე გამოცდილება.

მიუხედავად ამ პრეტენზიებისა, კეზერაშვილს ჰქონდა ერთი დიდი უპირატესობა – მას ჰქონდა საჭირო პირადი კონტაქტები ისრაელში, ქვეყანაში, რომელიც მსოფლიოში ხარისხიანი სამხედრო ტექნიკის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელია. ამ კონტაქტების წყალობით კეზერაშვილს ისრაელიდან იარაღის შემოტანა უნდა უზრუნველეყო.

ამ ამოცანის შესასრულებლად ის კარგი კანდიდატურა იყო. 90-იანი წლების პირველ ნახევარში იგი წელიწადნახევარი ცხოვრობდა ისრაელის სამხრეთში. სწავლობდა ადგილობრივ სკოლაში და როგორც მისი ახლობლები ამბობენ, იდიშის გარკვეული ცოდნაც აქვს.

საქართველოსთვის ისრაელიდან იარაღის შესყიდვებს ისრაელში ძალიან ცნობილი ორი ადამიანის სახელიც უკავშირდება. ესენი არიან ძმები მილოები – რონი და შლომო. რონი მილო ისრაელის პარლამენტის წევრი იყო, ხელმძღვანელობდა სხვადასხვა სამინისტროს და ხუთი წლის განმავლობაში თელ-ავივის მერი იყო. მისი ძმა შლომო რამდენიმე წლის განმავლობაში სამხედრო ტექნიკის მწარმოებელი უმსხვილესი კომპანიის Israel Military Industries -ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ძმები მილოები ისრაელურ იარაღის მწარმოებელ კომპანიებსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის მთავარი შუამავლები იყვნენ. უცნობია რა პირობებით ასრულებდნენ ისინი ამ ფუნქციას და ვინ უხდიდა მათ ამ სამსახურისთვის.

ისრაელი და აგვისტოს ომი

ისრაელის ხელისუფლება მუდმივად უარყოფდა საქართველოსთვის მძიმე სამხედრო ტექნიკის მიწოდების ფაქტს. თუმცა, ვრცელდებოდა ცნობები, რომ გარდა უპილოტო თვითმფრინავებისა, საქართველო ისრაელიდან ყიდულობდა ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტებს, მსუბუქ იარაღს და ღამის ხილვადობისთვის საჭირო აღჭურვილობას.

2008 წლის აგვისტოს ომის საბრძოლო მოქმედებების დასრულებისთანავე ისრაელს მოუხდა იმის მტკიცება, რომ ამ ომთან მას კავშირი არ აქვს, რადგან რუსულმა მხარემ ისრაელი საქართველოსთვის მძიმე ტექნიკის მიწოდებაში დაადანაშაულა. რუსული სპეცსამსახურების ინფორმაციით, სწორედ ისრაელმა მიაწოდა საქართველოს კასეტური ბომბებიც. როგორც თბილისმა მოგვიანებით განაცხადა, მის მიერ გამოყენებული კასეტური ბომბები ნაწილობრივ უვარგისი აღმოჩნდა.

ის, რომ ისრაელი აგვისტოს ომში არ მონაწილეობდა, ამას არა მარტო ოფიციალური პირები, არამედ ის კერძო ისრაელური კომპანიებიც ამტკიცებდნენ, რომლებსაც საქართველოში მოუხდათ მუშაობა. მაგალითად, გალ ხირშმა ისრაელურ პრესას უთხრა, რომ ქართველი სამხედროების გაწვრთნა საომარ მოქმედებამდე დიდი ხნით ადრე უკვე დასრულებული იყო. კომენტარისთვის რონი მილოსაც მიმართეს. მან არ თქვა, კონკრეტულად რა ტიპის იარაღს აწვდიდა ისრაელი საქართველოს და მხოლოდ პოლიტიკური განცხადებით შემოიფარგლა: „რუსეთთან ომი საქართველოს გამოგონება არ არის და ამ ქვეყანას აქვს თავდაცვის უფლება“.

უფრო კონკრეტული იმ დღეებში სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი იყო. ისრაელურ რადიოსთან საუბრისას მან თქვა: „ისრაელს შეუძლია იამაყოს თავისი სამხედროებით, რომელთაც ქართველი ჯარისკაცები გაწვრთნეს“.

ომის შემდეგ რუსეთმა ისრაელისგან ოფიციალურად მოითხოვა საქართველოსთან თანამშრომლობის გაწყვეტა. ეს მოთხოვნა ისმოდა ღიად, ყველაზე მაღალი ტრიბუნებიდან. პარალელურად ვრცელდებოდა ცნობები, რომ რუსეთი თავად აპირებს ისრაელური უპილოტო თვითმფრინავების შეძენას და ამ ქვეყანასთან მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობას.

Global CST

ეს კომპანია ოთხი წლის წინ დაარსდა. მას გენერალ-მაიორი ისრაელ ზივი ხელმძღვანელობს. მრავალი წლის მანძილზე ზივს მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა ისრაელის თავდაცვის უწყებაში. ზივის კომპანია თავდაცვის სისტემის გაუმჯობესების სფეროში უცხოური მთავრობების კონსალტინგითაა დაკავებული. ამ კომპანიისთვის პრიორიტეტული რეგიონი ჩრდილოეთ აფრიკაა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიმოწერიდან, რომელიც საიტმა Wikileaks-მა გამოაქვეყნა, ირკვევა, რომ გარკვეული პრეტენზიები Global CST-ის საქმიანობასთან ამერიკის შეერთებულ შტატებსაც აქვს. კერძოდ, ამ მიმოწერიდან ირკვევა, რომ ამერიკელი დიპლომატები ცდილობენ, Global CST ლათინური ამერიკის ქვეყნების ბაზარზე არ შეუშვან - 2009 წლის ბოლოს პანამაში აშშ-ს ელჩმა, ბარბარა სტეფენსონმა ქვეყნის პრეზიდენტ, რიკარდო მარტინელისთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ აშშ გაყინავს პანამასთან სამხედრო თანამშრომლობას, თუ ეს ქვეყანა Global CST-სთან თანამშრომლობაზე უარს არ იტყვის. პანამის ხელისუფლებამ შეერთებული შტატების რჩევა გაითვალისწინა და ისრაელურ კომპანიასთან გარიგება ჩაიშალა.

გავრცელებული ინფორმაციით, Global CST-ს ლიბიის პრეზიდენტმა, მუამარ კადაფიმ 5 მილიარდი დოლარი 50 ათასი დაქირავებული მებრძოლისთვის გადაუხადა. კომპანია ასევე ამზადებს ქვედანაყოფებს კოლუმბიის არმიისთვის.

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში

საქართველო, ამერიკის თვალით

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური გლობალური ანგარიში, რომელიც 35 წლის წინ საგარეო პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით შემოიღეს, დღეს მრავალ ქვეყანაში ადამიანთა უფლებების შესახებ მდგომარეობის შეფასების სანდო წყაროდ არის მიჩნეული.

დიანა ჩაჩუა

2010 წლის 18 მაისს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ მართლმსაჯულების შესახებ ანგარიშის პრეზენტაცია გამართა, რომელშიც სისტემაში არსებულ დარღვევებზე ამახვილებდა ყურადღებას. გასული წლის განმავლობაში ადამიანთა უფლებების სფეროში არსებულ მდგომარეობას არაერთი სხვა შეხვედრა თუ მოხსენება მიუძღვნეს საქართველოს სახალხო დამცველმა, სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებმა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ და გაეროს და ევროკავშირის მისიებმა.

მსგავს ანგარიშებზე და მოხსენებებზე დაყრდნობით ამერიკის საელჩოში მთელი წლის განმავლობაში საქართველოში ადამიანთა უფლებების შესახებ მდგომარეობას იკვლევენ. საბოლოოდ, ეს დაკვირვებები სახელმწიფო დეპარტამენტის გლობალურ ანგარიშში იყრის თავს, რომელიც მსოფლიოს 190 ქვეყანაში ადამიანთა უფლებების შესახებ მდგომარეობას იკვლევს.

35 წლის წინ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი უცხო ქვეყნების შესახებ ანგარიშების წერის მექანიზმი დღეს მრავალ ქვეყანაში შეფასების სანდო წყაროდ არის მიჩნეული.

ანგარიშის საქართველოსთვის მიძღვნილ ნაწილში ენციკლოპედიური სიზუსტით არის აღწერილი ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტები სასამართლო, პენიტენციარულ სისტემაში, ასევე ბიზნესზე და მედიაზე განხორციელებული ზეწოლის და დისკრიმინაციის სხვადასხვა მაგალითი, მათ შორის, დევნილთა გამოსახლებისას დაშვებული დარღვევები.

ანგარიშში მოხვედრილი ნებისმიერი ინფორმაცია სამი წლის განმავლობაში ინახება, ამიტომაც 2010 წლის დოკუმენტში 2008 წელს გამოვლენილი დარღვევების ფაქტების შესახებ განახლებული ინფორმაციებიც მოიპოვება.

ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში 2010 წელს რამდენიმე მიმართულებით მნიშვნელოვანი წარმატების მიუხედავად, ანგარიშის თანახმად, პატიმრებისადმი ცუდი მოპყრობის, თვითნებური დაკავების, კანონის შერჩევითი გამოყენების, მედიაზე და ბიზნესზე ზეწოლის შემთხვევები კვლავ პრობლემურ საკითხებად რჩება.

ახალ ანგარიშში ყურადღება კანონის შერჩევითი გამოყენების ტენდენციაზეა გამახვილებული. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლების ან მათი მხარდამჭერების მიერ ჩადენილი სავარაუდო უკანონო ქმედებების გამოძიება ჭიანურდება და ხშირად ბოლომდე არც მიდის, მაშინ, როცა ოპოზიციის ან მათი მხარდამჭერების მიერ ჩადენილი ქმედებების გამოძიება სწრაფად სრულდებოდა. ეს ყოველივე „ხელისუფლების წარმომადგენელთა დაუსჯელობის შესახებ“ ბრალდებებს იწვევს ხოლმე.

„დამკვირვებლების აზრით, ოფიციალური ანტიკორუფციული კამპანია სისხლის სამართლებრივი დევნისკენ უფროა მიმართული, ვიდრე პრევენციისკენ და ის უფრო არასტრუქტურირებულ ხასიათს ატარებს,

ვიდრე სისტემურსა და ყოვლისმომცველს. შეშფოთების საგანს ასევე წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის დონე სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში, საკუთრების უფლებები და ელიტური კორუფცია. არასამთავრობო ორგანიზაციებმა ასევე გამოხატეს შეშფოთება ბიზნესთან მთავრობის კავშირების, კერძოდ – კორუფციული გარიგებების გამო“, – ვკითხულობთ ანგარიშში.

ანგარიშში ნათქვამია, რომ წვრილმანი კორუფციის დონე საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდეგ შემცირდა. კორუფცია დაბალია საპატრულო პოლიციის დონეზე, თუმცა მაღალი დონის კორუფცია კვლავ გამოწვევად რჩება.

„არსებობდა სარწმუნო ბრალდებები იმასთან დაკავშირებით, რომ ბიზნესმენებზე ხორციელდებოდა ზეწოლა, რათა მათ მმართველი პარტიისთვის შემოწირულობები მიეცათ“, – ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში.

შეშფოთების საგანს ასევე წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის დონე სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

ჩვეულებრივ, ანგარიში მხოლოდ დარღვევებზე ამახვილებს ყურადღებას, თუმცა გამონაკლისის სახით კონკრეტულ ქვეყანაში აღსანიშნავი ცვლილების ან რეფორმის შემთხვევაში მას წინსვლის აღმნიშვნელი კატეგორიაც ემატება. როგორც ამერიკის საელჩოში ამბობენ, საქართველო იმ ქვეყანათა შორისაა, რომელსაც ასეთი კატეგორია მიაკუთვნეს.

ანგარიშის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში „მნიშვნელოვანი მიღწევაა“ ახალი სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსის ამოქმედება, რომელიც განსასჯელებს მეტ უფლებებს ანიჭებს, ასევე სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი ციხეების აშენება და 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი არჩევნების დროს თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევა.

აფხაზეთში არსებული მდგომარეობის მონიტორინგი აშშ-ის საელჩოსთვისაც პრობლემური საკითხია.

„ჩვენ გვესმის, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული რეგიონები ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს მიღმა რჩება. კვლავ შემოდიოდა ანგარიშები ამ რეგიონებში ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ. მეტი გამჭვირვალობა გვჭირდება, მათ შორის განახლებული საერთაშორისო წარმომადგენლების ყოფნა ამ ტერიტორიებზე, რაც ჩვენ ყველას მოგვცემს საშუალებას უკეთ შევაფასოთ მდგომარეობა ჰუმანიტარულ და ადამიანის უფლებათა სფეროში“, – აღნიშნავს აშშ-ის ელჩი ჯონ ბასი საელჩოს მიერ გამოქვეყნებულ სპეციალურ ვიდეო მიმართვაში.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გლობალური ანგარიში არ მოიცავს თავად აშშ-ში ადამიანთა უფლებების მდგომარეობისადმი მიძღვნილ ქვეთავს. წლების განმავლობაში დეპარტამენტის ანგარიშის მიმართ კრიტიკა სწორედ ამ ფაქტს ეხებოდა.

2000 წლიდან მოყოლებული, ჩინეთის მთავრობა, სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის გამოქვეყნების საპასუხოდ, ამერიკაში ადამიანთა უფლებების მდგომარეობის შესახებ საკუთარ ანგარიშს აქვეყნებს.

ვაშინგტონში, მსგავსი კრიტიკის თავიდან არიდების მიზნით, ახალ სტრატეგიას ქმნიან – ანგარიშებს აშშ-ში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით დამატებით ერთი თავი უნდა შეემატოს.

„ჩვენ მიმართ გაცილებით მეტი ნდობა გაჩნდება, თუ სხვა ქვეყნების კრიტიკის პარალელურად საკუთარ თავსაც დავაკვირდებით“, – აღნიშნა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა სახელმწიფო დეპარტამენტის ახალ ანგარიშზე საუბრისას.

ანგარიში 2011

ინტერვიუ აშშ-ს ელჩთან საქართველოში
ჯონ ბასთან

ხშირად ანგარიშებიდან კონკრეტულ დეტალებს ამოიღებენ ხოლმე და მათ გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ჩვენ ვისურვებდით, რომ ფაქტებზე დაფუძნებულ დისკუსიებს ჰქონდეს ადგილი და არა ქულების დაწერის მიზნით დეტალებისადმი სელექციურ მიდგომას.

ფოტო: ილია ბერიძე

რით გამოირჩევა ადამიანის უფლებების შესახებ შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ახალი ანგარიში და რა ტენდენციებს აჩვენებს ის?

ვფიქრობ, ამ ანგარიშის ყველაზე დიდი ღირსება ის არის, რომ ძალიან დეტალური და სიღრმისეულია.

ანგარიშში ჩვენ ბევრ ასპექტს განვიხილავთ. საუბარია იმ მიმართულებებზე, რომელთა გაუმჯობესება და რეფორმირება აუცილებელია. ეს

პრობლემები საქართველოს მსგავს ტრანზიციაში მყოფი ქვეყნებისთვის დამახასიათებელია. ტოტალიტარული სისტემის ეკონომიკიდან თავისუფალ ეკონომიკაზე გადასვლას ბევრი სირთულე ახლავს თან.

ანგარიშში სასამართლო სისტემაში სიტუაციის გამოსწორების და კანონის უზენაესობის უკეთ უზრუნველყოფის აუცილებლობაზეც ვსაუბრობთ. გამოკითხვების თანახმად, საზოგადოება კვლავ არ ენდობა სასამართლოს. ამ მიმართულებით სერიოზული სამუშაოა გასაწევი. ვფიქრობთ, ეს ხელისუფლებამაც იცის

ანგარიშში სასამართლო სისტემაში სიტუაციის გამოსწორების და კანონის უზენაესობის უკეთ უზრუნველყოფის აუცილებლობაზეც ვსაუბრობთ.

გამოკითხვების თანახმად, საზოგადოება კვლავ არ ენდობა სასამართლოს. ამ მიმართულებით სერიოზული სამუშაოა გასაწევი.

და ამ საკითხზე მიდის მუშაობა – რეპორტშიც ვახსენებთ, რომ ამოქმედდა სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, მიმდინარეობს ახალი მოსამართლეების დაქირავების და მათი ტრენინგების პროცესი. არის თუ არა ამ მიმართულებით კიდევ სამუშაო გასაწევი? პროგრესული ნაბიჯების მიუხედავად, რა თქმა უნდა, ნამდვილად არის.

გარკვეული მიმართულებებით ხელისუფლებას მიღწეულ პროგრესს ვუწონებთ. თუ ობიექტურად მივუდგებით ამ დოკუმენტს, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ რეპორტის ეს ნაწილიც. ხშირად ანგარიშებიდან კონკრეტულ დეტალებს ამოიღებენ ხოლმე და მათ გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებენ – იქნება ეს ნეგატიური თუ პოზიტიური ფაქტი. ჩვენ ვისურვებდით, რომ ფაქტებზე დაფუძნებულ დისკუსიებს ჰქონდეს ადგილი და არა ქულების დაწერის მიზნით დეტალებისადმი სელექციურ მიდგომას.

ადამიანის უფლებების შესახებ შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშს გასული წლების კონტექსტში უნდა შევხედოთ. როდესაც 2003 წლიდან მოყოლებული საქართველოს შესახებ რეპორტებს ვეცნობი, თანმიმდევრულ პროგრესს ვამჩნევ. ვხედავ საკითხებს, რომლებიც კვლავაც მოითხოვს ყურადღებას, თუმცა ზოგადად საქართველოში ცხოვრების პირობები გაცილებით უკეთესია, ვიდრე წლების წინ იყო. მოქალაქეებს რომ ჰკითხოთ, გრძნობენ თუ არა თავს დაცულად და გაუმჯობესდა თუ არა მათი ეკონომიკური შესაძლებლობები, ვფიქრობ, გასულ წლებთან შედარებით მეტი გიპასუხებთ დადებითად.

სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშს წინ უსწრებდა სახალხო დამცველის ოფისის ანგარიში, სადაც თქვენი დოკუმენტის მსგავსად, სასჯელაღსრულების და პრობაციის სფეროში არსებულ დარღვევებზე იყო საუბარი. თავად სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი ხათუნა კალმახელიძე უარს აცხადებს ამ საკითხებზე საჯარო საუბარზე. მოჰყვა თუ არა რაიმე სახის რეაგირება თქვენს ანგარიშს ამ უწყებიდან?

დეტალურად ვერ ვისაუბრებ კონკრეტულ ოფიციალურ პირებთან შეხვედრების შესახებ, კონფიდენციალობის დაცვა ეფექტიანი დიპლომატიისთვის აუცილებელია. შემიძლია მხოლოდ ის გითხრათ, რომ მე მინისტრისგან დავინახე შემართება და სურვილი, რომ დღეისათვის არსებული ყველა პრობლემა აღმოიფხვრას. მე მომსწრე გავმხდარვარ აღიარებისა, რომ სისტემაში ნამდვილად არსებობს პრობლემები. ამერიკის მთავრობა აფინანსებს რამდენიმე პროგრამას, რომელიც ამ სამინისტროს გამოსწორებას და ციხეებში სიტუაციის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

რამდენად განაპირობებს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშები ამერიკის შემდგომ პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებაში?

პირდაპირი კავშირი არ არსებობს. ზოგადად, აშშ-ის დახმარების პროგრამები ასახავს საქართველოში არსებული მდგომარეობის ჩვენეულ შეფასებებს. თუმცა ამ ანგარიშის ფუნქცია არ არის დახმარების პროგრამების პრიორიტეტების განსაზღვრა. ეს უფრო იმ შეხვედრებზე წყდება, რომელსაც ჩვენ საქართველოს ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ვმართავთ. თუმცა, დიდი თანხვედრაა ჩვენს რეპორტში მოცემულ გამოსასწორებელ მიმართულებებსა და მთავრობის მიერ დასახელებულ პრობლემურ საკითხებს შორის. ჩვენ ასევე ვაანალიზებთ და ვითვალისწინებთ წარსულ გამოცდილებას – რამ იმუშავა ეფექტიანად და რამ – არც ისე ეფექტიანად. სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებს ჩვენს გადაწყვეტილებებს, თუ რა იქნება მომავალში ჩვენი ყურადღების ობიექტი და ვინ იქნება ჩვენი დახმარების პროგრამების ადრესატი.

ესაუბრა დიანა ჩაჩუა.

საქართველოს ლობისტური პოლიტიკა

ინტერვიუ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ანალიტიკოსთან
მატიას ჰუტერთან

რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა, რომ ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ (Transparency International) ინფორმაცია, თითქოს, საქართველოს მთავრობამ გაზეთ Financial Times-ს ფული გადაუხადა, აბსურდია. ამ თემაზე „ლიბერალი“ TI-ის ანალიტიკოსს მატიას ჰუტერს ესაუბრა.

რა მასალას გულისხმობდა პრეზიდენტის პრეს-სპიკერი?

თებერვალში, პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლის და ოპოზიციასთან დებატების შემდეგ, ჩვენ გადავამოწმეთ პარლამენტში გაჟღერებული ფაქტები და მხარეების კომენტარები, რადგანაც ჩავთვალეთ, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამოსვლა იყო. ჩვენ შევამოწმეთ, როგორც პრეზიდენტის მიერ მოყვანილი მაგალითები, ასევე ოპოზიციის არგუმენტები.

ამ გამოსვლისას პრეზიდენტს ხელში ეჭირა გაზეთი Financial Times. პრეზიდენტმა თქვა, რომ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში საქართველო მოხსენიებული იყო, როგორც კორუფციასთან მებრძოლი ნომერ პირველი ქვეყანა მსოფლიოს მასშტაბით.

მცირე კვლევა ჩავატარე, გაზეთის არქივი შევამოწმე, ვერ ვიპოვე ვერც ერთი სტატია საქართველოზე, რომელიც პრეზიდენტის არგუმენტს გაამყარებდა. პრეზიდენტს ხელში ეჭირა 28 იანვრის ნომერი, რომლის მეშვიდე გვერდი მთლიანად საქართველოს რეკლამას ეთმობოდა, თუმცა ტელევიზიით არ ჩანდა ეს რეკლამა იყო თუ სტატია, ჩანდა მხოლოდ სათაური დიდი ასოებით – საქართველო.

იმავე დღეს საქართველოს რეკლამა დაიბეჭდა გაზეთ Wall Street Journal-ში და ჟურნალ Economist-ში. ეს სარეკლამო კამპანია მიზნად ისახავდა ქვეყანაში უცხოელი ინვესტორების მოზიდვას და შესაბამისად, საქართველოს წარმოადგენდა, როგორც ბიზნესის კეთებისთვის სასურველ ქვეყანას.

შეიძლება ითქვას, რომ საზღვარგარეთ ქვეყნის საინვესტიციო კლიმატის რეკლამირება საქართველოს მთავრობის სტრატეგიის ნაწილია? რა ადგილი უჭირავს საერთაშორისო იმიჯის შექმნას მთავრობის პოლიტიკაში?

რა თქმა უნდა, ეს მთავრობის სტრატეგიის ნაწილია. საქართველოს მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს ისეთი ორგანიზაციების მიერ მომზადებულ საერთაშორისო რეიტინგებს, როგორიცაა მსოფლიო ბანკი და „საერთაშორისო გამჭვირვალობა“. მთავრობა ხაზს უსვამს ამ მიღწევებს საერთაშორისო ასპარეზზე, როდესაც პრეზიდენტი სიტყვით გამოდის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ან რომელიმე დიდ კვლევით ორგანიზაციაში.

ამავდროულად, საქართველოს მთავრობა ქირაობს ლობისტურ კომპანიებს როგორც ევროპაში, ასევე შეერთებულ შტატებში. ეს კომპანიები ხელს უწყობენ საქართველოს, როგორც რეფორმატორი ქვეყნის, წარმოჩენას საერთაშორისო ასპარეზზე. ამას ემატება სატელევიზიო რეკლამები, როგორც ეს შარშან იყო CNN-სა და BBC World-ზე.

შარშან, BBC-ზე გასული რეკლამა ციტირებდა „მსოფლიო ბანკის“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ რეიტინგებს, რაც მალევე შეიცვალა და რეკლამიდან ამოიღეს ნაწილი, სადაც თქვენი ორგანიზაცია იყო ნახსენები. რატომ მოითხოვეთ რეკლამიდან თქვენი მონაცემების ამოღება?

ამ რეკლამისთვის მთავრობამ გამოიყენა 2009 წლის კორუფციის ინდექსი, რომელსაც ჩვენ რამდენიმე კვლევაზე დაყრდნობით ვამზადებთ.

რეკლამის ეთერში გასვლამდე ჩვენ ეს საკითხი განვიხილეთ საქართველოს მთავრობასთან და შევთანხმდით ციტირების ფორმაზე. ჩვენ არ ვეთანხმებოდით ფორმას, რომლითაც „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მონაცემები იყო გამოყენებული. საბოლოოდ, მთავრობა დაგვთანხმდა და სარეკლამო რგოლი შეცვალეს, თუმცა იმ დროისთვის სარეკლამო კამპანია უკვე დაწყებული იყო.

კონკრეტულად ვისთან, მთავრობის რომელ სტრუქტურასთან განიხილავთ მსგავს საკითხებს?

პრემიერ-მინისტრის მრჩევლებთან.

რას იღებს მთავრობა ამ სარეკლამო კამპანიის სანაცვლოდ და რა მოლოდინები აქვს მას?

მათი მიზანია რაც შეიძლება მეტი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა საქართველოში. საქართველოს, როგორც რეფორმატორი და კორუფციასთან ბრძოლაში წარმატებული ქვეყნის წარმოჩენით, მთავრობა ცდილობს, ქვეყანა დასავლელი დონორებისთვის და პოლიტიკური მოკავშირეებისთვის უფრო მიმზიდველი გახადოს.

თუკი საერთაშორისო ორგანიზაციები, იქნება ეს „მსოფლიო ბანკი“ თუ „აზიის განვითარების ბანკი“, დაინახავენ, რომ ქვეყანა ადმინისტრირებასა და კორუფციასთან ბრძოლაში წარმატებულია, ისინი ასკვნიან, რომ აქ ჩადებული თანხა უფრო

ეფექტიანი იქნება, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც კორუფციის მაჩვენებელი მაღალია.

მსგავსი მიღწევების წარმოჩენა ასევე ხელს უწყობს დასავლეთში პოლიტიკური მხარდამჭერების მოპოვებას.

რამდენს ხარჯავს საქართველოს მთავრობა ლობისტურ კომპანიებში, რომლებიც მას საზღვარგარეთ იმიჯის შექმნაში ეხმარებიან?

დაზუსტებული მონაცემები ამის შესახებ არ არსებობს, რადგანაც საქართველოს მთავრობა ამ ინფორმაციას არ ასაჯაროებს. მთავრობის თქმით, ლობისტურ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები ეროვნული უსაფრთხოების საკითხია და არა საჯარო ინფორმაცია.

ლობისტური კომპანიების დაქირავების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, უბრალოდ მივიჩნევთ, რომ ეს ინფორმაცია გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი უნდა იყოს, რათა ხალხმა იცოდეს, თუ რაში იხარჯება მათი გადასახადები და თვითონვე გადაწყვიტონ, არის თუ არა ეს მათი ქვეყნისთვის სწორი ინვესტიცია.

რომელ კომპანიებთან თანამშრომლობს საქართველოს მთავრობა და რა ტიპის მომსახურებას იღებს ის?

ამერიკის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა რამდენიმე ლობისტურ კომპანიასთან თანამშრომლობს, ეს ინფორმაცია ამერიკის იუსტიციის სამინისტროსგან მივიღეთ, რომელიც ყოველწლიურად აქვეყნებს ლობისტური კომპანიების ანგარიშებს და მათ ხელშეკრულებებს.

საქართველოს მთავრობა ქირაობს როგორც დემოკრატებთან, ასევე რესპუბლიკელებთან დაახლოებულ კომპანიებს, რითაც ერთგვარ ბალანსს ინარჩუნებს. მაგალითად Podesta Group-ის მმართველის ძმა, ყოფილი პრეზიდენტის, ბილ კლინტონის ადმინისტრაციის უფროსი იყო. საქართველოს მთავრობა ასევე ქირაობს კომპანიას, რომლის მმართველიც 2008 წელს, სენატორ მაკკეინის საპრეზიდენტო კამპანიას ხელმძღვანელობდა, ამჟამად კი სარა პეილინის მრჩეველია.

რაც შეეხება მომსახურებას, შტატებში ვიზიტისას პრეზიდენტი სიტყვით გამოდის რამდენიმე მნიშვნელოვან ორგანიზაციაში და სასწავლებელში, ის ხვდება მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურებს და რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი შუქდება ამერიკულ მედიაში. მაგალითად, მისი ბოლო ვიზიტისას პრეზიდენტი მიიწვიეს ერთ-ერთ ყველაზე მემარცხენე ტელევიზიაში MSNBC-ზე და ასევე Fox News-ზე, რომელიც ცნობილია თავისი მემარჯვენე იდეებით. ამით ლობისტები პრეზიდენტს, შეიძლება ითქვას, ორივე ბანაკში „ჰყიდიან“.

„პრეზიდენტმა თქვა, რომ სტატიაში საქართველო მოხსენიებული იყო, როგორც კორუფციასთან მებრძოლი ნომერ პირველი ქვეყანა. მცირე კვლევა ჩავატარე, გაზეთის არქივი შევამოწმე, ვერ ვიპოვე ვერც ერთი სტატია საქართველოზე“.

ფოტო: ლევან ნარგელიძე

ესაუბრა ნანა საჯაია.

ილუსტრაციები ეროვნული ბიბლიოთეკიდან

სოციალური პასუხისმგებლობა ქართველად

როგორ ესმით ქართველ ბიზნესმენებს სოციალური პასუხისმგებლობა?

მაია წიკლაური

ისმის მრავალჟამიერი. ეკრანზე ხალისიანი კადრები ჩნდება. ომახიანი ხმა საზეიმოდ გვამცნობს, რომ ფარმაცევტული კომპანია ყველა ოჯახს, რომელსაც ხუთზე მეტი შვილი ჰყავს, საჭიროების მიხედვით დახმარებას გაუწევს. საჭიროა მხოლოდ რეგისტრაცია, იჩქარეთ!

საქართველოში, სადაც ბოლო მონაცემებით, მოსახლეობის ყველაზე დიდი პრობლემა უმუშევრობა და გაზრდილი ფასებია, კერძო კომპანიები საქველმოქმედო პროექტებში ყოველწლიურად მილიონობით ლარს ხარჯავენ. თუმცა, ქველმოქმედება ქართულად – ეს ჯერაც ჩამოუყალიბებელი სფეროა, სადაც ბიზნესკომპანიებს სოციალური პასუხისმგებლობა ბოლომდე გააზრებული არ აქვთ, თანხებს კი ხან ნაცნობობის, ხან შეცოდების და ხანაც რელიგიური მოტივებით გასცემენ.

22 წლის ანა ასათიანი და მისი მეუღლე დღემდე საკუთარი ძალებით ცდილობენ წლინახევრის შვილის ნატალია სარდლიშვილის გადარჩენას. ბავშვს იშვიათი სისხლძარღვოვანი დაავადების ჰემანგიომის ყველაზე რთული ფორმა აქვს. სიმსივნე კანის ქსოვილებს აზიანებს და ნელ-ნელა მთელ სხეულს ფარავს. გერმანიაში მკურნალობის სრული კურსის დაფინანსების საშუალება კი მშობლებს არ აქვთ.

„ყველაფერი გავყიდეთ, რაც შეგვეძლო. საბანკო ანგარიში გავხსენით და სამივე სატელეფონო კომპანიასთან გავაფორმეთ ხელშეკრულება, აბონენტებმა ფულის გადმორიცხვა რომ შეძლონ. განცხადებები ყველა მართლმადიდებლურ საიტზე გამოვაქვეყნეთ, ასევე – სოციალურ ქსელებში. ამ ეტაპზე გარკვეული თანხა შეგვიგროვდა, თუმცა კიდევ ორი პროცედურა დასაფინანსებელი გვრჩება და უკვე ძალიან გვიჭირს თანხების მოძიება“, – გვიყვება ნატალიას დედა, ანა ასათიანი.

რადგან მისი ოჯახი სოციალურად დაუცველ ფენას არ მიეკუთვნება, ანას არც უფიქრია, რომ შვილის გადარჩენას რომელიმე კერძო კომპანია ან ფონდი აიღებდა საკუთარ თავზე. „სულ მგონია, რომ ეს კომპანიები მარტო უკიდურესად შეჭირვებულ ადამიანებს ეხმარებიან. მე კი არ ვიცი, ვის მივმართო, ალბათ, მომიწევს, სათითაოდ ჩამოვურეკო ყველა ბიზნეს-ორგანიზაციას და ვკითხო, აფინანსებენ თუ არა ამ პრობლემის მქონე პაციენტებს“, – ამბობს ანა.

ანამ კომპანიებში დარეკვა რომც დაიწყოს, სავარაუდოდ, კონკრეტული და თანმიმდევრული პასუხის მიღება გაუჭირდება. ქართული კომპანიების უდიდეს ნაწილს პრიორიტეტული სფეროების ნუსხა განსაზღვრული არ აქვს.

„ზოგიერთები გარკვეულ ანგარიშებს კი აქვეყნებენ, მაგრამ ხალხმა არ იცის, რა შემთხვევაში ვის მიმართოს, ამიტომ ყველას აწუხებს ყველაფერზე და შედეგად გადაწყვეტილების მიღება შიდა სამზარეულოში ხდება. კარგი იქნება, რომ კომპანიამ წინასწარ თქვას – მე დავაფინანსებ ამ მიმართულებას და ჰქონდეს კრიტერიუმები, რის მიხედვითაც ორგანიზაციებს, ან ინდივიდუალურ პირებს დახმარებას გაუწევს“, – ამბობს კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის წარმომადგენელი თამარ ცირეკიძე.

კომპანია „ჯეოსელში“ ისევე, როგორც ბევრ სხვა კომპანიაში, გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ ვინ დააფინანსონ, საკითხის მნიშვნელობის მიხედვით იღებენ.

„ძირითადად, ვირჩევთ რაიმე მნიშვნელოვანს, რაც ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია და კონკრეტულ მომენტში საზოგადოების აქტიური მხარდაჭერა სჭირდება“, – ამბობენ კომპანიის წარმომადგენლები.

კომპანიაში ამაყობენ 12 წლის წინ მიწისძვრით დაზარალებულთა პროექტით. მაშინ აბონენტებთან და თანამშრომლებთან ერთად კომპანიამ 6 ოჯახს შეუძინა ბინა. ერთ-ერთი მსხვილი პროექტი იყო იყალთოს სამონასტრო კომპლექსის აღდგენა. წელს „ჯეოსელის“ პრიორიტეტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარებაა. „მთავარია, რომ საქმე ვაკეთოთ ერთად“, – ასე ესმით სოციალური პასუხისმგებლობა „ჯეოსელში“ და გამუდმებით ცდილობენ, რომ მსგავს პროექტებში საზოგადოება აქტიურად ჩართონ. საკუთარ მომხმარებელს სატელევიზიო რეკლამებით, თუ ქუჩაში გამოკრული ბანერებით კომპანია სხვადასხვა პროექტის მხარდაჭერისკენ ხშირად მოუწოდებს.

საგანმანათლებლო თანამშრომლობისა და განვითარების მიერ 2003 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, კომპანიების უმრავლესობა, პირველ რიგში, სოციალუ-

რად დაუცველ ფენას – მზრუნველობა-მოკლებულ მოხუცთა და ბავშვთა თავშესაფრებს, ინვალიდ და ავადმყოფ პირებს და ეკლესიების მშენებლობას აფინანსებდა. ეს მდგომარეობა რადიკალურად დღესაც არ შეცვლილა. კომპანიები იშვიათად ინტერესდებიან კულტურისა და განათლების სფეროებით და დიდ ყურადღებას არც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს აქცევენ. მათი პრიორიტეტი არც პრევენციული პროგრამების დაფინანსებაა, მაგალითად, ჯანდაცვაში და არც იმ არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომლებიც სამოქალაქო განათლებაზე მუშაობენ.

კვლევაში მონაწილე ბიზნესმენები აცხადებენ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს არ ენდობიან და ამის მიზეზი ისაა, რომ მათ საქმიანობას კარგად არ იცნობენ. არც არასამთავრობო ორგანიზაციებმა იციან, როგორ მიუდგნენ კერძო კომპანიებს და ამას თვითონვე აღიარებენ.

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრში ასეთ ორგანიზაციებს ტრენინგებს უტარებენ და ასწავლიან, როგორ მოიპოვონ ქართული კერძო კომპანიების ნდობა. „ბიზნესს მკაფიოდ და სხარტად უნდა აუხსნა, რას აკეთებ; უნდა დაამტკიცო, თუ რატომ სჯობია, შენ მოგცეს ფული კონკრეტული საქმის გასაკეთებლად, ვიდრე თვითონ დახარჯოს. ზუსტად უნდა განუმარტო, სად წავა მისი ფული. ძალიან ბევრი დეტალია, რომელსაც ცოდნა უნდა“, – ამბობს კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის სამოქალაქო განვითარების პროგრამის კონსულტანტი ნინო ლეჟავა.

ასოციაცია „ანიკა“, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პრობლემებზე მუშაობს, დღემდე საერთაშორისო გრანტით არსებობს. რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, ამ ორგანიზაციამ ქართველი ბიზნესმენების დაინტერესება ვერ შეძლო. „ბიზნესმენებისგან ხშირად პასუხიც კი არ მიგვიღია. პირველ პირებთან შეხვედრა ზოგადად ვერ ხერხდება და უარს დახმარებაზე მდივანი, ანდა რომელიმე საკონტაქტო პირი გვეუბნება. მხოლოდ ორჯერ მოვახერხეთ მათი მხარდაჭერის მიღება და ისიც, ნაცნობობის გზით. მაშინაც თანხა მწირი იყო და მხოლოდ ერთჯერადი პრობლემა მოგვიგვარა“, – ამბობს „ანიკას“ ხელმძღვანელი, ირინა ინასარიძე.

„ჩვენთან ასეთი მენტალობაა – უყვართ, რომ თვალებში უყურებენ მას, ვისაც ეხმარებიან. ანუ აუცილებლად ჩემს ყურამდე უნდა მოაღწიოს ვიღაცის გაჭირვებამ, რომ მე მას დავეხმარო. საზღვარგარეთ კი სხვაგვარად ხდება. ვისაც ფული აქვს და სხვისი დახმარება უნდა, თანხას პირდაპირ იმ ფონდში რიცხავს, რომელიც მის ინტერესებს შეესაბამება. ეს არაპირდაპირი დახმარების ფორმაა, მაგრამ კომპანიები დარწმუნებულები არიან, რომ მათი ფული გაჭირვებულ ადამიანამდე აუცილებლად მივა“, – ამბობს „თიბისი ფონდის“ ხელმძღვანელი მალხაზ ჩუგოშვილი.

ასეთი ფონდი, ერთ-ერთი გამონაკლისის სახით, თბილისში 2008 წელს შეიქმნა. „თიბისი ფონდის“ მიზანი აგვისტოს ომში დაზარალებულთა დახმარება იყო. დაახლოებით, 8 მილიონი ლარი იმ პირებისა და კომპანიების დახმარებით შეგროვდა, რომლებმაც თანხა ფონდში ჩარიცხეს. „ყველამ ზუსტად იცოდა, რომ თითოეული თეთრი მხოლოდ კონკრეტული სამიზნე ჯგუფის – 2008 წლის აგვისტოს დევნილების კეთილდღეობისთვის დაიხარჯებოდა“, – ამბობს მალხაზ ჩუგოშვილი.

„ჩვენთან ასეთი მენტალობაა – უყვართ, რომ თვალებში უყურებენ მას, ვისაც ეხმარებიან. ანუ აუცილებლად ჩემს ყურამდე უნდა მოაღწიოს ვიღაცის გაჭირვებამ, რომ მე მას დავეხმარო. საზღვარგარეთ კი სხვაგვარად ხდება. ვისაც ფული აქვს და სხვისი დახმარება უნდა, თანხას პირდაპირ იმ ფონდში რიცხავს, რომელიც მის ინტერესებს შეესაბამება“.

თუმცა მსგავს პრაქტიკას დღეს ბევრი კომპანია არ იყენებს. კვლევებით დასტურდება, რომ ქართული ბიზნესსექტორის ნაწილს ტერმინი – სოციალური პასუხისმგებლობა ხშირად ესმის, როგორც მხოლოდ ქველმოქმედება და სოციალურად დაუცველი ადამიანების დახმარება.

ფარმაცევტული კომპანია „პე-ეს-პე“-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი მარიკა ლომთაძე ამბობს: „ჩვენი ინიციატივით მივდივართ

ბავშვთა სახლებში, მოხუცთა თავშესაფრებში. ვეკითხებით, რა სჭირდებათ და მიგვაქვს შესაბამისი ინვენტარი. მთელი წლის განმავლობაში ჩვენთან მოსულ ინდივიდუალურ წერილებსაც განვიხილავთ და ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება დახმარება, ან რომელი პროექტიც მოგვეწონება, იმას ვაფინანსებთ“.

მისი კომპანია ცდილობს, წინასწარ განსაზღვროს, რა თანხას გამოყოფს ამა თუ იმ სამედიცინო პროექტის დასაფინანსებლად, მაგრამ ხშირად საქველმოქმედო ბიუჯეტის გაზრდა უწევს, რადგან, როგორც თავად ამბობენ, დახმარების მომლოდინე ადამიანების წერილებს უპასუხოდ ვერ ტოვებენ. მხოლოდ 2010 წელს ქველმოქმედებაზე „პე-ეს-პე“-მ 1 მილიონ 21 ათასი ლარი დახარჯა, მაგრამ თავშესაფრებისა და ბავშვთა სახლების მონახულების შემდეგ, ამ თანხის დიდი ნაწილი სწორედ წინასწარ დაუგეგმავ ქველმოქმედებას მოხმარდა.

„პე-ეს-პე“-სთვის ისევე, როგორც კერძო კომპანიების უმრავლესობისთვის, კიდევ ერთი პრიორიტეტი ქველმოქმედებისას მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსებაა. თუმცა, დასავლური ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში რელიგიური ქველმოქმედება, ძირითადად, ახალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში ჩართვას ნიშნავს. მაგალითად, მახათას მთაზე სამონასტრო კომპლექსის მშენებლობაში, რომელიც საქართველოს პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით შენდება, თითქმის ყველა მსხვილი კომპანია მონაწილეობს – „ვისოლისა“ და „ვი-თი-ბი ბანკის“-ის ჩათვლით. თითოეული მათგანი ამაყობს, რომ „მადლიან, ისტორიულ საქმეში“ საკუთარი წვლილი შეაქვს.

„სასულიერო პირები არ მოდიან და არ ითხოვენ დახმარებას. ზოგჯერ ფონდები გვთხოვენ და ვეხმარებით. ეკლესია საერთოდ ისეთი რაღაცაა, თუ გაიგებ, რომ შენდება და სჭირდება მხარდაჭერა, ადგები და დაეხმარები“, – ასაბუთებს საკუთარი კომპანიის გადაწყვეტილებას „პე-ეს-პე“-ს წარმომადგენელი მარიკა ლომთაძე.

თუმცა, მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ ეკლესია-მონასტრების მშენებლობის დაფინანსება რელიგიური ქველმოქმედების ყველაზე მარტივი ფორმაა.

ნინო ლეჟავა ამბობს: „ეკლესიის მშენებლობისთვის ფულის გაღება ერთგვარ ინდულგენციის ფორმად იქცა და ქველმოქმედებად ითვლება. ეკლესიაც, თავის მხრივ, ძირითადად, ამ ტიპის ქველმოქმედებას უჭერს მხარს. ეს ისაა, რაც ზედაპირზევე დევს და აშკარად ჩანს. საინტერესოა, რატომ ურჩევნიათ ამ ადამიანებს, ეფემერული საქმე, მორიგი ახალი ეკლესიის მშენებლობა დააფინანსონ, ვიდრე ბევრად უფრო კონკრეტულ ხელშესახებ პროექტში ჩადონ ფული, ისევ და ისევ მრევლის საკეთილდღეოდ? ეკლესიაში ხომ თუნდაც უამრავი მარტოხელა დედა დადის, არის ბევრი გაჭირვებული ოჯახიც, რომელთათვისაც, მაგალითად, სოციალური ცენტრის აშენება შეიძლებოდა?“

რას ნიშნავს ტერმინი სოციალური პასუხისმგებლობა და რა კომპონენტებისგან შედგება ის?

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის კვლევაში გამოკითხული ბიზნესმენების 29 პროცენტს ამ კითხვაზე პასუხი არ აქვს. დანარჩენი რესპონდენტები სოციალურ პასუხისმგებლობას განიხილავენ, როგორც თანამშრომლების მიმართ პასუხისმგებლობას, გადასახადების გადახდას, ბიზნესის გამჭვირვალობას. მხოლოდ ბიზნესმენთა მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ სოციალური პასუხისმგებლობა სოციალური სფეროს დაფინანსებას, საზოგადოებაზე ზრუნვას, დასაქმების პრობლემის მოგვარებას გულისხმობს.

„დღევანდელ მსოფლიოში წარმატებული ბიზნესისათვის აღარაა საკმარისი გადასახადების გადახდა, თანამშრომლებისათვის კარგი ხელფასის და აქციონერებისთვის კარგი შემოსავლის უზრუნველყოფა. საზოგადოება ბიზნესისგან უფრო გლობალურ სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პროცესებზე ზეგავლენის მოხდენას, საზოგადოების პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობას ელის“, – წერია სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის კვლევის ანალიზში.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული კომპანიების დიდ ნაწილს სოციალური

ფილანთროპია

ფილანტროპია სიტყვასიტყვით ჰუმანურობის სიყვარულს ნიშნავს. თანამედროვე პრაქტიკაში კი ეს ტერმინი აღნიშნავს „კერძო ინიციატივებს, რომლებიც საზოგადოების კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებისკენ არის მიმართული“. ფილანტროპია ფულის, დროის, ცოდნისა თუ სხვა ფასეულობათა გაცემის ტრადიციას ეფუძნება.

მისი ერთ-ერთი ფორმაა ქველმოქმედება, რაც უანგარო სიკეთის კეთებას გულისხმობს.

კიდევ ერთი ფორმაა მეცენატობა, რომელიც განსაკუთრებული ნიჭისა და მონაცემების მქონე პიროვნებების ხელშეწყობას გულისხმობს. წინათ მეცენატები ხშირად მეფეები და არისტოკრატიული ფენის წარმომადგენლები იყვნენ. დღეს კი მეცენატობამ სტიპენდიის სახე მიიღო.

ფილანტროპიის ერთ-ერთი სახეა ასევე მსახურება, დღევანდელი გაგებით კი, მოხალისეობა, რაც ცოდნისა და დროის უანგარო გაღებას გულისხმობს.

გაცემისა და დახმარების ყველაზე თანამედროვე ტრადიციაა კორპორაციული ფილანტროპია, რომელიც ორგანიზებულ ხასიათს ატარებს და როგორც სამართლებრივად, ისე სტრუქტურულად კომერციულ სამყაროსთანაა კავშირში. ფილანტროპიის ეს ფორმა საზოგადოების მრავალმხრივი საჭიროებებისკენაა მიმართული, როგორიცაა სოციალური საკითხების მოგვარება, გარემოს დაცვა, საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლება.

მომზადებულია სახელმძღვანელოს „ფილანტროპია თეორია და პრაქტიკა“ მიხედვით

ფილანთროპია გერმანიაში

ქველმოქმედების გაწევა ნებისმიერი გერმანელისათვის ერთიანობის, სახელმწიფოებრივი არსებობის, საზოგადოებრივი თანაცხოვრების აუცილებლობაა. სოციალური პასუხისმგებლობა და გერმანული საზოგადოების განვითარებაზე ზრუნვა საკუთარ თავზე საქველმოქმედო ფონდებმა აიღეს. ყველა ფონდი გერმანიაში საქველმოქმედო კავშირშია გაერთიანებული, რომელიც, თავის მხრივ, სფეროების მიხედვით, ქვესტრუქტურებად იყოფა. გერმანული საქველმოქმედო კავშირი 6 სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს აფინანსებს. მათ შორისაა რელიგიური და სამეცნიერო მიზნებისათვის განსაზღვრული ფონდები.

ფონდები ფედერაციულ დონეზეც დაყოფილია და პრიორიტეტებსაც იქ არსებული პრობლემების მიხედვით განსაზღვრავენ. სხვადასხვა კომპანიები გეგმიურად მუშაობენ საზოგადოების განვითარებაზე. შესაძლოა, ყველაზე პრიორიტეტული ერთ რეგიონში იყოს განათლება, ნიჭიერი ახალგაზრდების მხარდაჭერა, მეორე რეგიონში - ჯანდაცვა, სხვაგან – გარემოს დაცვა და ა.შ. გერმანული ფონდები მათი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ღირებულებების განსამტკიცებლად პროგრამებს სხვა ქვეყნებშიც აფინანსებენ.

გერმანული კომპანიების მიერ ქველმოქმედებისთვის გაღებული სახსრები გადასახადისგან თავისუფლდება.

მომზადებულია სახელმძღვანელოს „ფილანტროპია თეორია და პრაქტიკა“ მიხედვით

პასუხისმგებლობა ვიწროდ და სწორხაზოვნად ესმის, მათი მცირე ნაწილი მაინც ცდილობს, საკუთარ საქმიანობაში სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტები შეიტანოს. მაგალითად, კომპანია „ვისოლი ჯგუფს“ სოციალური პასუხისმგებლობის მენეჯერის თანამდებობაც კი აქვს. ამბობენ, რომ მათთვის სოციალური პასუხისმგებლობაა „ბაზარსა და მომხმარებლებზე, თანამშრომლებზე, ჯანდაცვაზე, გარემოს დაცვაზე და ბიზნეს-პარტნიორებზე ზრუნვა“. თუმცა, პრაქტიკაში აქცენტს სპორტზე, ეკლესიების მშენებლობაზე და სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარებაზე აკეთებენ.

„ვისოლი“ ფეხბურთისა და რაგბის გუნდებს აფინანსებს. ჩვენი კომპანია ასევე ფონდ „იავნანას“ მხარდამჭერია. ვაფინანსებთ მართლმადიდებელი ეკლესიების რეკონსტრუქციას და მშენებლობას და მხარს ვუჭერთ დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციას“, – ამბობს „ვისოლის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი რუსუდან კბილაშვილი.

სხვა ქართული კომპანიებისგან განსხვავებით სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ განსხვავებული მიდგომა აქვს კომპანია „ბიპი საქართველოს“, რომელიც საერთაშორისო კომპანიაა.

„სოციალური პასუხისმგებლობა „ბი-პი“-ს და მისი პარტნიორების ბიზნეს-საქმიანობის შემადგენელი ნაწილია. სოციალური განვითარების ინიციატივების საშუალებით ხელს ვუწყობთ საზოგადოების შესაძლებლობების ზრდას და ქვეყნის წარმატებას“, – ამბობს „ბი-პი საქართველოს“ სოციალური პასუხისმგებლობის მენეჯერი რუსუდან მეძმარიაშვილი და აცხადებს, რომ „ბი-პი“ გამოკვეთილად ოთხი სახის პროექტს აფინანსებს: ბიზნესის ხელშეწყობა, მოსახლეობის ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფა, განათლება და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. სანამ წლის ბიუჯეტს დაგეგმავენ, კომპანია სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად არკვევს, რა პრიორიტეტები არსებობს და სადაა საჭირო დახმარება. ამავე დროს „ბი-პი“ ერთადერთი კომპანიაა, რომელსაც ხელისუფლებასთან გაფორმებული სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე, ქველმოქმედებისთვის გამოყოფილი ფული არ ებეგრება.

ქართულ კომპანიებს კი საქველმოქმედო პროექტების სწორად დაგეგმვაში საგადასახადო სისტემაც უშლის ხელს. მაშინ, როცა დასავლურ ქვეყნებში ქველმოქმედებაზე გადასახადები საერთოდ გაუქმებულია, საქართველოში ბიზნესმენებს საგადასახადო შეღავათით სარგებლობა მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში შეუძლიათ.

თუ კომპანია საქველმოქმედო სტატუსის მქონე ორგანიზაციას ეხმარება, მას შეუძლია, თანხა გასცეს დასაბეგრი მოგების 10 პროცენტის ფარგლებში და ის ხარჯად აღიაროს. ხოლო თუ 10 პროცენტს გადააჭარბებს – ეს შეღავათი არ იმოქმედებს.

მაგალითად, თუ თქვენი შემოსავალი 100 ლარია და 10 ლარი, ანუ 10 პროცენტი გაეცით ქველმოქმედებისთვის, ეს თანხა შეგეძლებათ, ხარჯად აღიაროთ. ხოლო, თუ უკვე 11 ლარი გაეცით, მაშინ დამატებით 1 ლარზე ანუ 1 პროცენტზე შეღავათი აღარ გავრცელდება.

თუ რომელიმე კომპანია ისეთ პირს, ან ორგანიზაციას ეხმარება, რომელსაც საქველმოქმედო სტატუსი არ აქვს, მისი ქველმოქმედება საშემოსავლო გადასახადით, 20 პროცენტით იბეგრება.

მაგალითად, თუ ნატალია სარდლიშვილს ტელეფონით ერთ ლარს გადაურიცხავთ, სახელმწიფო ამ თანხიდან სატელეფონო კომპანიას 20 თეთრს დაუბეგრავს. მეორე საკითხია, რომ კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებებით სატელეფონო კომპანიები საშემოსავლო გადასახადის გარდა მომსახურების საფასურსაც იტოვებენ. „ბილაინი ერთი ლარიდან 25 თეთრს, მაგთი – 40 თეთრს, ჯეოსელი კი – 46 თეთრს ქვითავს“, – ამბობს ნატალიას დედა. თქვენ თუ გეცოდინებათ, რომ თქვენი გადარიცხული ლარიდან მაქსიმუმ 75 თეთრი, მინიმუმ კი 54 თეთრი მიდის ადრესატამდე, შესაძლოა, აღარც მოგინდეთ დახმარება. ასევეა ბიზნესმენების შემთხვევაშიც.

„ზოგადად, ქვეყანაში საგადასახადო კანონმდებლობა იმდენად ბუნდოვანია, რომ შეიძლება, ქველმოქმედების კეთება

ქველმოქმედების ჩეჩიბიუჩი მოტივი

ქველმოქმედების მთავარ მოტივად ყველა ქვეყანაში რელიგია ითვლება. „სიკეთის ქმნას“ თითქმის ყველა რწმენა ქადაგებს და გაცემაც რელიგიურად კეთილშობილ საქმედაა მიჩნეული. მაშინ, როცა ამერიკული სახელმწიფო ყალიბდებოდა, ადამიანები ერთმანეთის დასახმარებლად ერთიანდებოდნენ და პირველ ფონდებს ქმნიდნენ. მათ შორის იყო რელიგიური ფონდებიც.

თავიდან გაჭირვებული ადამიანების დახმარებასთან ერთად, რელიგიური ფონდების ერთ-ერთი მთავარი საქმიანობა ეკლესიების მშენებლობა და მათი რწმენის გავრცელება იყო, თუმცა რელიგიურმა ლიდერებმა თავიანთი დამოკიდებულება თანდათან შეცვალეს და საქველმოქმედო სფეროები გაფართოეს. დღეს უკვე მთელ მსოფლიოში მათი წვლილი სხვადასხვა მიმართულებით საკმაოდ დიდია.

მაგალითად, კათოლიკური ინსტიტუტი „მოწყალების ძმები“ (Brothers of Charity), რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისიდან არსებობს, დღეს საქველმოქმედო მისიას 30-მდე ქვეყანაში ასრულებს. მათი ძირითადი მიზანი მოხუც ადამიანებზე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ზრუნვა, განათლება და ჯანმრთელობის დაცვაა. მათი რეკომენდაციები გაითვალისწინა ბელგიამ დაწყებითი და საშუალო განათლების სისტემის დაგეგმვისას.

არც მოგინდეს. მაგალითად, როცა გგონია, რომ ყველაფერს კანონის შესაბამისად აკეთებ, მოდის საგადასახადოს ინსპექტორი და სულ სხვა ინტერპრეტაციას უკეთებს იმავე კანონს. ეს არის კოდექსის ბუნდოვანება, რის გამოც ინტერესი, რომ ვიღაცას დაეხმარო, გეკარგება, რადგან კანონი შეღავათს არ გაძლევს“, – ამბობს „თიბისი ფონდის“ ხელმძღვანელი მალხაზ ჩუგოშვილი.

თუმცა ბიზნესომბუდსმენი გიორგი პერტაია კანონმდებლობის ხარვეზს ვერ ხედავს და აცხადებს, რომ თუკი, ბიზნესმენს ქველმოქმედებისთვის თანხების გაღება სურს, შესაბამის გადასახადებსაც უნდა იხდიდეს, რადგან ამით რეკლამას იკეთებს.

„სოციალური პასუხისმგებლობის თემას ბიზნესში საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები ლობირებენ. თუმცა ბიზნესის მთავარი იდეაა, ნაკლები დანახარჯებით დიდი მოგება მიიღოს. თუ ბიზნესი ახორციელებს ქველმოქმედებას, ეს მისი მარკეტინგის ნაწილია. შესაბამისად ქველმოქმედება ბიზნესში, როგორც დამოუკიდებელი ცნება, არ არსებობს. სანაცვლოდ, კომპანია ყოველთვის იღებს რაღაცას და მან ბიუჯეტიც უნდა ასარგებლოს“, – ამბობს გიორგი პერტაია.

პერტაიას თქმით, ბიზნესმენებს არც ერთ შეხვედრაზე არ დაუყენებიათ საგადასახადო შეღავათების გაზრდის საკითხი. თუმცა, ამ ფონზე, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრში ფიქრობენ, რომ მნიშვნელოვანია, გაივლოს ზღვარი სპონსორობას, როგორც მარკეტინგის ფორმასა და ფილანტროპიას შორის. ბევრ დასავლურ ქვეყანაში მარკეტინგის სამსახური და სოციალური პასუხისმგებლობის სამსახური დამოუკიდებელი სტრუქტურებია, დამოუკიდებელი ბიუჯეტით. ქართულ კომპანიებში კი სოციალურ პასუხისმგებლობას მარკეტინგის განყოფილებები ითავსებენ. როგორც ჩანს, მათთვის სოციალური პასუხისმგებლობა დიდწილად პიარის საშუალებაა, ზოგჯერ კი უფასო პიარისაც – განსაკუთრებით მაშინ, თუ მათი დახმარების აქციებს წამყვანი ტელემაუწყებლები სპეციალური სიუჟეტებით აშუქებენ.

ბათუმის პიაცა, 2011

ფოტოები ალექსანდრ ალექსიძისა

ბათუმი

ჩოგოჩ დავჯაჩგოთ 7 მილიონი

კოშკი, რომლის აშენებაც ბათუმის ადგილობრივ ბიუჯეტს 18.5 მილიონი ლარი დაუჯდა, თვითმმართველობამ 11 მილიონ ლარად გაყიდა. 7,5-მილიონიანი დანაკლისის მიუხედავად, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი კირთაძე ამტკიცებს, რომ ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლები „ცუდი ბიზნესმენები არ არიან“.

მანანა ვარდიაშვილი

ბათუმში, პორტიდან რამდენიმე ასეულ მეტრში ახლად გარემონტებული, ევროპული სტილის კვადრატული მოედანია – ბათუმის პიაცა. პიაცას გარშემო ერთი ლამაზი კოშკი და რამდენიმე საშუალო სიმაღლის შენობა დგას. მოედანი ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების სიამაყის ობიექტია. გასული წლის შემოდგომაზე პლასიდო დომინგოს კონცერტი სწორედ აქ გაიმართა, როგორც შავი ზღვისპირეთის ყველაზე ევროპულ ადგილას.

იქ, სადაც ახლა პიაცაა, ორიოდე წლის წინ უღიმღამო ხის სახლები და ბათუმის მე-3 საჯარო სკოლა იდგა. პიაცას მოედნისა და კოშკის მშენებლობა 2008 წელს დაიწყო. ბათუმის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე კოშკის შენობაში მუნიციპალური სასტუმროს გახსნას აპირებდნენ. თუმცა, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი კირთაძე ახლა ამბობს, რომ „მუნიციპალური სასტუმროს მართვამდე ჯერ კიდევ შორი გზაა გასავლელი.“ ბათუმის თვითმმართველობამ პიაცას გასხვისება გადაწყვიტა.

პიაცაზე ბათუმის საკრებულომ პირობიანი აუქციონი გამოაცხადა. პიაცას კოშკის კუთვნილი 3745 კვადრატული მეტრი ფართი 11 ნაწილად დაიყო. თუმცა აუქციონი 1 ლოტზე გამოცხადდა.

აუქციონის პირობის თანახმად, ახალმა მეპატრონემ პიაცას შენობაში სასტუმრო უნდა გახსნას და სასტუმროსთან ფუნქციურად დაკავშირებული ობიექტები (კაფე-ბარი, რესტორანი, სამორინე, მაღაზია და საგამოფენო დარბაზი) მოაწყოს. მყიდველი ვალდებულია, საკუთრებაში გადაცემული შენობა-ნაგებობის იერსახე შეინარჩუნოს და კოშკზე დამონტაჟებული საათის გამართული მუშაობა უზრუნველყოს. მასვე ევალება მოედანზე განთავსებული არქიტექტურული ელემენტების მოვლა-პატრონობაც.

გარდა ამისა, თუ სახელმწიფო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ან ბათუმის თვითმმართველობა რაიმე ღონისძიებას დაგეგმავს, პიაცას ახალი მეპატრონე ვალდებულია, მის საკუთრებაში გადაცემული შენობა-ნაგებობების პირველი სართულის ღია სივრცე მათ წელიწადში სამჯერ უსასყიდლოდ დაუთმოს.

პიაცას კოშკის გასხვისების თაობაზე აუქციონი 2011 წლის 17 მარტს ჩატარდა. კოშკის საწყისი გასაყიდი ფასი 10 მილიონ 900 ათასი ლარი იყო. აუქციონში სულ ერთი კომპანია მონაწილეობდა. შპს „პიაცა ჰოლდინგმა“ 100 ათასი ლარით მეტი – 11 მილიონი ლარი გადაიხადა და პიაცას კოშკის მფლობელი გახდა.

შპს „პიაცა ჰოლდინგის“ 100%-ანი წილის მფლობელი და დირექტორი ირაკლი სამხარაძეა. საჯარო რეესტრში წარდგენილი საბუთების მიხედვით, სამხარაძის წარმომადგენელი ქუთაისში, ჭყონდიდელის ქუჩა N57-ში მცხოვრები ვინმე ანრი ხონელიძეა. რეესტრში არსებული მონაცემებით ირკვევა, რომ „პიაცა ჰოლდინგის“ საქმიანობის მთავარი სფერო უძრავი ქონების ფლობა, იჯარით გაცემა, სასტუმროების, რესტორნების და სათამაშო ბიზნესის ორგანიზებაა.

ირაკლი სამხარაძე რუსეთის მოქალაქეა. მის შესახებ ინტერნეტში მწირი ინფორმაცია იძებნება. ამ ინფორმაციის თანახმად, ის მოსკოვში ცხოვრობს და ბიზნესსაც იქვე აწარმოებს. ირაკლი სამხარაძის კომპანია რკინისა და მეტალოპლასტმასის პროდუქციის საბითუმო ვაჭრობას ეწევა.

„გაიყიდა პიაცას შენობის ნაწილი, კოშკი, რომლის ფართიც 3745 კვ მეტრია. იქ კიდევ არის 2100კვ მეტრი ფართი, რომელიც კერძო საკუთრებაა. პიაცას მოედანი თვითმმართველობის საკუთრებაში დარჩა,“ – განმარტავს გიორგი კირთაძე, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე, – „1 კვ. მეტრი 3 000 ლარად გავყიდეთ, მაშინ, როცა 1 კვ. მეტრის მშენებლობა ბათუმის ბიუჯეტს 2780 ლარი დაუჯდა. ამ კუთხით თუ მივუდეგებით, ცუდი ბიზნესმენები არა ვართ“.

შპს „პიაცა ჰოლდინგი“ აუქციონამდე სულ ცოტა ხნით ადრეა დარეგისტრირებული, თუმცა, ამას კომპანიისთვის პრობლემა არ შეუქმნია: „ადამიანმა გადაწყვიტა პიაცას ყიდვა. სპეციალურად ამ მიზნით დააფუძნა შპს და შემდეგ ამ შპს-თი შეიძინა ქონება. რა არის ამაში გასაკვირი?“ – კითხულობს კირთაძე.

უცნობია, აქვს თუ არა პიაცას ახალ მფლობელს მსგავსი ბიზნესის მართვის გამოცდილება. „ეს იყო პირობიანი აუქციონი. აუქციონს მოიგებდა ის, ვინც უფრო მეტ თანხას გადაიხდიდა. მოიგო იმ ადამიანმა, ვინც ჩვენ მიერ დასახელებული თანხა გადაიხადა. პირობიანი აუქციონი ამ ბიზნესმენის წარსული საქმიანობის და გამოცდილების გარკვევას არ გვავალდებულებდა“, – ამბობს ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე.

პიაცას მშენებლობა 2010 წლის ოქტომ-

ბერში დასრულდა. კოშკის გაყიდვის თაობაზე პირობიანი აუქციონი 2011 წლის 1 მარტს გამოცხადდა. 15 დღეში აუქციონი ჩატარდა და კოშკი პირველივე ბიჯის შემდეგ გაიყიდა. აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება მხოლოდ გაზეთ „აჭარაში“ დაიბეჭდა. ამ გაზეთის ტირაჟი 1000 ცალია და ის მარტო აჭარაში ვრცელდება. ბათუმის საკრებულოს დეპუტატების ნაწილის თქმით, პიაცას კოშკი ისე გაიყიდა, რომ მათ ამის შესახებ მხოლოდ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ გაიგეს.

„გახსოვთ, ალბათ, როგორი რეკლამა ჰქონდა თავის დროზე ბათუმის პიაცას. თუ ევროპაში მისი მსგავსი შენობა არ არსებობს, რატომ ვიჩქარეთ? დაგვემზადებინა სარეკლამო რგოლი და პიაცას გაყიდვის თაობაზე ინფორმაცია საერთაშორისო საზოგადოებისთვის მიგვეწოდებინა,“ – ამბობს საკრებულოს „რესპუბლიკელი“ წევრი ირაკლი ჩავლეიშვილი.

ჩავლეიშვილი პიაცას დაჩქარებულად გასხვისების მოტივს ასე ხსნის: „პიაცას „მოულოდნელ“ გაყიდვას აქვს მარტივი მიზეზი – მისი რეალური მყიდველი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა ჯგუფია. ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები ბიუჯეტის ფულით აშენებულ ძვირადღირებულ პროექტებს შემდეგ იაფად ყიდულობენ. ახლა უნდათ დაგვარწმუნონ, რომ ამაზე სარფიანი გარიგება დედამიწაზე ჯერ არ განხორციელებულა, არადა კოშკი 7,5 მილიონი ლარით ნაკლებად გავყიდეთ“.

შპს „პიაცა ჰოლდინგმა“ აუქციონის პირობების თანახმად, 10,5 მლნ ლარი ეტაპობრივად, 2011 წლის ბოლომდე უნდა გადაიხადოს, 500 000 ლარი კი 2012 წელს. კომპანიამ უპირობო და გამოუხმობი გარანტიის სახით 200 000 ლარი უკვე გადაიხადა. „პიაცა ჰოლდინგთან“ ხელშეკრულება ამ დღეებში ფორმდება. ახალი მფლობელის საინვესტიციო ვალდებულებაც ხელშეკრულების გაფორმების პროცესში დაზუსტდება.

პიაცას გაყიდვიდან მისაღები 11 მილიონი ლარი ბათუმის 2011 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში უკვე ასახულია. ეს თანხა ბათუმის რეაბილიტაციის და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებს უნდა მოხმარდეს.

ძველი თბილისი

ისტორიული მოედნის ბაუხვეველი მომავალი

თბილისის მერიამ გუდიაშვილის მოედნით დაინტერესებული ინვესტორი იპოვა. „ტფილისის ჰამქარში“ შიშობენ, რომ მერია კულტურული ძეგლებს მათი დანგრევის უფლებით ჰყიდის.

ნათია ახალაშვილი

ფოტო ბარბარე ქორბაშვილი

გუდიაშვილის მოედანი №2 – მე-19 საუკუნის შენობა, რომელშიც სხვადასხვა დროს იყო ოფიცერთა სასტუმრო, ჰაუპტვახტი, გამომცემლობა, ბოლოს კი – „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია.

მიტოვებული, ცარიელი სახლების ფანჯრებს ქარი აბრახუნებს, ოთახებში გამხმარ ფოთლებთან ერთად წვიმაც აღწევს. შენობები, რომელიც ძველი თბილისის ცენტრში, გუდიაშვილის მოედნის გარშემო დგას, ჩამოშლის საფრთხის წინაშეა. ყველა მათგანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი.

გუდიაშვილის ბაღის გარშემო სახლები 2007 წელს დაცარიელდა – მას შემდეგ, რაც მოედანზე მდებარე 6 ძეგლი მერიის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო იურიდიულ პირს (ააიპ) „ძველი თბილისის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს“ გადაეცა. წესდების მიხედვით, ფონდის ფუნქციაა „ძველი თბილისის რეაბილიტაცია და ქალაქში განსახორციელებელი სხვადასხვა სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოებში მონაწილეობა“.

მას შემდეგ, რაც ნაგებობების ძირითადი ნაწილი კერძო მეპატრონეებისგან იყიდა, რამდენიმე მათგანი კი პირდაპირ სახელმწიფოსგან მიიღო, ფონდმა შენობების რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტები სხვადასხვა ორგანიზაციას დაუკვეთა. დასკვნებმა აჩვენა, რომ ყველა ნაგებობის კონსტრუქციულად გამაგრება შესაძლებელი იყო. მხოლოდ ერთი შენობის (აბო თბილელის №3/8) ერთი ნაწილი საჭიროებდა დაშლასა და აღდგენას.

მოედნის ყველაზე ძველი და მნიშვნელოვანი ნაგებობის (გუდიაშვილის მოედანი №2) და აბესაძის 23/1-ში მდებარე შენობის პროექტები ძეგლთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია „იკომოსის“ საქართველოს წარმომადგენლობაში გაკეთდა.

„მართალია, ეს სახლები სერიოზულ კონსტრუქციულ ჩარევას საჭიროებდა, თუმცა, ჩვენი პროექტის თანახმად, ორივე ძეგლის შენარჩუნება თავისუფლად შეიძლებოდა, თუ იქ გამაგრებისა და რესტავრაციის სამუშაოები ჩატარდებოდა“, – იხსენებს „იკომოსის“ საქართველოს წარმომადგენლობის გენერალური მდივანი, არქიტექტორ-რესტავრატორი ნატო ცინცაბაძე.

„იკომოსისა“ და სხვა ორგანიზაციების პროექტები ოთხი წლის შემდეგაც პროექტებად რჩება, ფონდს მათი რეალიზაციის პროცესი არ დაუწყია.

„მთავრობის მიზანი იყო, ეს უნიკალური მოედანი ისეთივე სივრცედ ექცია, როგორიც, მაგალითად, შარდენის ქუჩაა. უნდოდათ, აქაურობა ჯერ კარგად „შეეფუთათ“ და შემდეგ კი სარფიანად გაეყიდათ. თუმცა, მალე დაიწყო ფინანსური კრიზისი, შემდეგ – ომი და ეს პროექტი შეფერხდა“, – იხსენებს თბილისზე მზრუნველთა გაერთიანება „ტფილისის ჰამქრის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი ალეკო ელისაშვილი.

იმის გამო, რომ რესტავრაცია დაგვიანდა და დაუსახლებელ შენობებს წლების განმავლობაში არავინ უვლიდა, დღეს ეს ნაგებობები უკვე საგანგაშო მდგომარეობაშია.

„რამდენჯერმე მივმართეთ ფონდს და ვთხოვდით, გადაუდებელი სამუშაოები ჩაეტარებინათ. გვპირდებოდნენ, მალე დავიწყებთო, მაგრამ არაფერი გაკეთებულა“, – ამბობს ნატო ცინცაბაძე.

ნაგებობების შენარჩუნებისთვის მართლაც, არაფერი გაკეთებულა. თუმცა

კულტურული მემკვიდრეობის ეს ძეგლები ფონდმა თანხების მოსაძიებლად გამოიყენა. საჯარო რეესტრის მონაცემებიდან ჩანს, რომ ფონდის კუთვნილი გუდიაშვილის მოედნის რამდენიმე შენობა წლებია, და დღესაც, იპოთეკითაა დატვირთული. 2008-2009 წლებში ეს ქონება ჯერ „საქართველოს ბანკში“ იყო დაგირავებული, 2009 წლის ივლისიდან კი – „ქართუ ბანკში“.

ბანკის სასარგებლოდ ქონება იპოთეკით მაშინ დაიტვირთება, თუ კლიენტი ისეთი საბანკო პროდუქტით სარგებლობს, რომელიც მის ვალდებულებას წარმოშობს ბანკის მიმართ. ეს შეიძლება იყოს სესხი, ოვერდრაფტი, საბანკო გარანტია და ა.შ. გამოდის, რომ ფონდმა საბანკო პროდუქტით ისარგებლა, გუდიაშვილის მოედნის შენობები კი ვალდებულების უზრუნველყოფისთვის გამოიყენა.

„ეს სახლები ჩადეს ბანკში. სად წავიდა ეს თანხები, ვერ ვიგებთ. ფაქტია, რომ ამ შენობებს ერთი თეთრიც არ მოხმარებია“, – ამბობს ალეკო ელისაშვილი. ფონდში ამ თემაზე კონკრეტულ პასუხს ერიდებიან და აცხადებენ, რომ „ამ შენობების იპოთეკით დატვირთვა დიდი ისტორიაა“. ფონდის მთავარი არქიტექტორის, მანუჩარ მახათაძის თქმით, იპოთეკა რამდენიმე დღეში მოიხსნება.

2011 წლის მარტში ძეგლებმა კიდევ ერთხელ შეიცვალეს მფლობელი. ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდმა შენობები უსასყიდლოდ გადასცა თავისსავე დამფუძნებელს – თბილისის მერიას. თუმცა, თვითონ პროცესიდან არ გასულა. ის გუდიაშვილის ბაღის მიმდებარე ტერიტორიის პროექტში შეცვლილი სახელით კვლავაც რჩება – რამდენიმე ხნის წინ ააიპ – „თბილისის განვითარების ფონდი“ კვლავაც თბილისის მერიამ და მასთან ერთად „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდმა“ დააფუძნეს.

„ინვესტორების მოძიება ჩვენი ფუნქცია აღარ არის, მაგრამ რადგან მოედნის ამბავი კარგად ვიცით, ამიტომ ვრჩებით ამ პროცესში ჩართული“, – ამბობს ახალი ფონდის მთავარი არქიტექტორი მანუჩარ მახათაძე, რომელსაც ძველ ფონდშიც იგივე თანამდებობა ეკავა.

ლერმონტოვის №2 – შენობა უკვე სავალალო მდგომარეობაშია

„მთავრობის მიზანი იყო, ეს უნიკალური მოედანი ისეთივე სივრცედ ექცია, როგორიც, მაგალითად, შარდენის ქუჩაა. უნდოდათ, აქაურობა ჯერ კარგად „შეეფუთათ“ და შემდეგ კი სარფიანად გაეყიდათ. თუმცა, მალე დაიწყო ფინანსური კრიზისი, შემდეგ – ომი და ეს პროექტი შეფერხდა“.

ჰამქრის ინიციატივით ფონდში ჩატარებულ შეხვედრაზე არქიტექტორებს და ხელოვნებათმცოდნეებს მახათაძემ განუმარტა, რომ გუდიაშვილის მოედნის სახლების რეაბილიტაციის პროცესი დღემდე ადგილიდან იმიტომ არ დაძრულა, რომ ფონდის მიზანი ერთიანი ინვესტორის მოძებნა იყო, რაც დროში გაიწელა. მახათაძის თქმით, მათ არ სურდათ სახლების სათითაოდ გაყიდვა, რათა მოედნის უსისტემო განვითარება თავიდან აეცილებინათ.

მოედნის ისტორია

დღევანდელი გუდიაშვილის მოედნის ტრაპეციული მონახაზი პირველად ვახუშტი ბატონიშვილის თბილისის გეგმაში ჩნდება მე-18 საუკუნის 30-იან წლებში. ეს ადგილი დროთა განმავლობაში სახეს იცვლიდა. წრე დღევანდელი მოედნის სახით 1844 წლიდან შეიკრა.

ამ ადგილს ლადო გუდიაშვილის მოედანი რამდენიმე სახელის შეცვლის შემდეგ, 1988 წელს ეწოდა. მოედნისა და ბაღის გარშემო, ძირითადად, ერთი სიმაღლის 11 შენობა დგას. მათგან მხოლოდ ორია ახალი, დანარჩენები კი – ძველი.

ამ სივრცეში ყველაზე დიდი ისტორიის მქონე შენობის მარჯვენა ნაწილი 1830-იან წლებშია აგებული, მე-19 საუკუნის 40-50-იან წლებში კი მას მეორე მხარე მიაშენეს.

ამ შენობაში ჯერ რუსული არმიის შტაბი ყოფილა განთავსებული, შემდეგ – სარდაფებში სამხედრო ჰაუპტვახტი, ზედა სართულებზე კი – ოფიცერთა სასტუმრო. 1838 წელს ამ სასტუმროში ჰუსართა პოლკის კორნეტ მიხეილ ლერმონტოვს უცხოვრია და ამიტომაც უწოდეს მისი სახელი ამ შენობიდან სოლოლაკისკენ აღმა მიმავალ ქუჩას მე-19 საუკუნის ბოლოს.

საბჭოთა კავშირის დროს შენობაში გამომცემლობა იყო განთავსებული, შემდეგ – „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია.

ფოტოები მარიას ქოჩიაშვილის

აბესაძის №23/1 – „თბილისის განვითარების ფონდში“ ამბობენ, რომ, შესაძლოა, ამ სახლს მანსარდა დაემატოს.

პოტენციური ინვესტორის კონკრეტული სახელი, რომელთანაც უკვე მემორანდუმია გაფორმებული, ფონდის ხელმძღვანელებმა რამდენიმე დღის წინ დაასახელეს. მახათაძის თქმით, გერმანული კომპანია MAGNAT Real Estate-ის წარმომადგენლებმა უკვე დაიწყეს შენობების შესწავლა.

ინვესტორთან რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს, ამას მერიაშიც ადასტურებენ: „ფონდი ცდილობს, ეს შენობები გაყიდოს. გაყიდვის შემთხვევაში, მოთხოვნა იქნება, რომ ფასადები უცვლელად შენარჩუნდეს და შენობებს რესტავრაცია გაუკეთდეს“.

ფონდში აცხადებენ, რომ გუდიაშვილის მოედანზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ხელახალი ანალიზის შემდეგ, შესაძლოა, გაირკვეს, რომ ზოგიერთი მათგანი დღეს უკვე აღარ ექვემდებარება რეაბილიტაციას და მისი დაშლა და ხელახალი აგება გახდეს საჭირო. ფონდის მთავარი არქიტექტორი იმასაც ამბობს, რომ პოტენციურ ინვესტორს ერთადერთ სახლზე მისცემენ მანსარდის დაშენების უფლებას. სხვა დეტალებს ჯერ ფონდში ვერ აკონკრეტებენ.

თუმცა, ეს მონაცემები „ტფილისის ჰამქარსა“ და ამ მოედნის კარგად მცოდნე ხელოვნებათმცოდნეებს უკვე აძლევს იმის საფუძველს, რომ იფიქრონ – ამ გარიგებას მოედნის განადგურება მოჰყვება. „შენობების საერთო ფართი ახლა დაახლოებით, 5600 კვადრატული მეტრია. ინვესტორს კი გაცილებით დიდი ფართი შესთავაზეს. ამ სივრცეზე მეტი ფართის მიღება მხოლოდ ამ სახლების დანგრევის და ახლის აშენების შემდეგ შეიძლება. ეს კი ამ მოედნის დაღუპვა იქნება“, – აცხადებს „ტფილისის ჰამქრის“ წევრი, ალეკო ელისაშვილი.

მართალია, დრომ კულტურული მემკვიდრეობის ეს ძეგლები საკმაოდ დააზიანა და 4 წლის წინანდელთან შედარებით, მათი მდგომარეობა დამძიმდა, მაგრამ „იკომოსის“ ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ ჯერჯერობით, სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო პროექტების კორექციაც შესაძლებელია და ძეგლების შენარჩუნებაც. ხელოვნებათმცოდნეები და „ტფილისის ჰამქრელები“ მიიჩნევენ, რომ მოედნის დანგრევას და ძველის ნაცვლად ახალი შენობების აგებას, უკიდურეს შემთხვევაში, კულტურის ძეგლების რაღაც პერიოდით ისევ ხელუხლებლად დატოვება სჯობია.

„ამ მოედანზე მხოლოდ კონკრეტული სახლების არქიტექტურული ღირებულება კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ ის, რომ ამ სახლების ანსამბლი ქმნის ურბანულ ქსოვილს. მოედანი ორი უხეში ჩარევის მიუხედავად, დღემდე ინარჩუნებს სიძველეს და ავთენტურობის ძალიან დიდ ხარისხს. ასე ერთიანი სახით შენარჩუნებული მოედანი თითქმის აღარ გვაქვს. დღეს სამოქალაქო საზოგადოებამ თუ დაუშვა ამ მოედნის ხელყოფა, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სფეროში არსებული ექსპერტების პროფესიონალიზმს და არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობას აზრი აღარ აქვს“, – განმარტავს ცირა ელისაშვილი.

ფოტო: ეკატერინა ბარიშევსკაია

„ნიკა სამი წლის იყო, როცა მეტყველება შეწყვიტა
და თავის სამყაროში ჩაიკეტა.“

აუტიზმი

უხილავნი ჩვენს შორის

საქართველოში ყოველი 110 ბავშვიდან ერთს აუტიზმი აქვს. რეაბილიტაცია, რომელიც ამ ბავშვების მდგომარეობას მნიშვნელოვნად შეცვლის, უმრავლესობისთვის ხელმისაწვდომი არაა.

ეკა ჭითანავა

„მელამ რა უთხრა კომბლეს? – არ შემიჭამია შენი ცხვრებიო“, – უმეორებს ბავშვებს მხატვრული კითხვის მასწავლებელი თამარ ლომიძე. საბა და ნიკა მერხებთან სხედან, მიშიკო კი მასწავლებლის გვერდით დგას და ცდილობს, სიტყვები დამარცვლით გაიმეოროს.

„ჰქონდა მელას ჩიჩია კბილებში? – ეკითხება ბავშვებს მასწავლებელი, – აბა, ხელები გაიქნიეთ და მითხარით – არა, არა!“

ბავშვები მასწავლებლის დავალებას ხალისით ასრულებენ და ხელებს აქნევენ – ყველანი, ნიკას გარდა. ის მერხთან თავჩახრილი ზის, ხელში მწვანე დინოზავრს ათამაშებს და, თითქოს, არც კი ესმის, რა ხდება მის გარშემო.

198-ე სკოლის პირველი კლასის მასწავლებელი თამარ ლომიძე ამ მდგომარეობას შეჩვეულია: „ნიკა ჩუმია, 7 წლისაა, მაგრამ ვერ ლაპარაკობს,“ – ამბობს მასწავლებელი, „როცა ლექსს ვამბობთ, სიტყვებს იმეორებს, მთლიანი წინადადების წარმოთქმას კი ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ“.

ნიკა 3 წლის იყო, როცა გარშემომყოფებს სრულიად გამოეთიშა და თავის სამყაროში ჩაიკეტა. „შეეძლო, ტელევიზორთან საათობით მჯდარიყო და სულ არ დაინტერესებულიყო, რა ხდებოდა მის გარშემო“, – ამბობს ნიკას დედა, ეკა მაისურაძე. როცა მშობლებმა გაიაზრეს, რომ ეს არ იყო დროებითი მოვლენა და ნიკა დღითიდღე სულ უფრო იკეტებოდა საკუთარ თავში, ბავშვი ექიმებთან წაიყვანეს. რამდენიმე სპეციალისტთან კონსულტაციის შემდეგ მას „კლასიკური აუტიზმის“ დიაგნოზი დაუსვეს.

„ამ დაავადების შესახებ არაფერი ვიცოდი, ისიც კი ვერ გავარკვიე, ვისთვის უნდა მიმემართა, მითხრეს, აქ არაფერია, ვერ უმკურნალებ და ბავშვი ამერიკაში უნდა წაიყვანოო“, – იხსენებს დედა 4 წლის წინანდელ ამბავს.

ჯერ კიდევ 2007 წელს საქართველოში აუტიზმის შესახებ არათუ ნიკას დედამ და სხვა მშობლებმა, ექიმებმა და ფსიქოლოგებმაც ცოტა რამ თუ იცოდნენ. ამიტომ აუტიზმის დიაგნოზი არასრულად ან დაგვიანებით ისმებოდა. ექიმებს უჭირდათ იმის გარკვევა, აუტისტური სპექტრის აშლილობებიდან, კონკრეტულად რომელი ფორმა ჰქონდა პაციენტს, ხოლო თუ საქმე ჰქონდათ შედარებით იოლ ფორმასთან, როგორიც, მაგალითად, ასპერგერის სინდრომია, ხშირად აუ-

სტატისტიკა

აუტისტური სპექტრის დაავადებების რაოდენობა მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება. 2009 წლის კვლევის მიხედვით, აშშ-ში 3-დან 17 წლამდე მოქალაქეებში აუტისტური სპექტრის მაჩვენებელმა 1960-იანი წლების მონაცემებთან შედარებით, 4-ჯერ მოიმატა. აღმოჩნდა ისიც, რომ ვაჟებს 3-4-ჯერ უფრო ხშირად ემართებათ აუტიზმი, ვიდრე – გოგონებს. აუტიზმის გამომწვევი მიზეზები ექიმებმა ზუსტად არ იციან და შესაბამისად, არც ისაა ცნობილი, თუ რატომ იმატა ბოლო ათწლეულების მანძილზე ამ დაავადების მაჩვენებელმა.

ტემპლ გრანდინი

აუტიზმი, მართალია, ქრონიკული მდგომარეობაა, მაგრამ არ ნიშნავს ინვალიდობას. დროული აღმოჩენისა და მკურნალობის ინტენსიური კურსის შედეგად, აუტიზმის მქონე ადამიანებს არათუ უმაღლესი განათლების მიღება, არამედ მეცნიერების დარგში წარმატებების მიღწევაც შეუძლიათ.

ასეთია ტემპლ გრანდინი – კოლორადოს უნივერსიტეტის პროფესორი და ექსპერტი ცხოველების ქცევის დარგში. გრანდინს აუტიზმის დიაგნოზი ჯერ კიდევ 1950 წელს, სამი წლის ასაკში დაუსვეს. გრანდინის დედამ სასწრაფოდ დაიქირავა მეტყველების სპეციალისტი, რომელიც გოგონასთან საათობით მეცადინეობდა. ინტენსიური თერაპიის შემდეგ, 4 წლის გოგონამ ლაპარაკი დაიწყო. მოგვიანებით გრანდინი იხსენებდა, რომ დაწყებითი სკოლის მასწავლებლები ყოველთვის ეხმარებოდნენ და გულისხმიერად ექცეოდნენ. თუმცა, საშუალო და მაღალ კლასებში სიარული მისთვის სრული ჯოჯოხეთი იყო.

იმის გამო, რომ გრანდინი ხშირად აკვიატებულად იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვებს, თანაკლასელები „ჩლუნგს“ ეძახდნენ, ზოგჯერ კი – „მაგნიტოფონსაც“. თუმცა გრანდინმა ფსიქოლოგიური პრობლემები გადალახა. სკოლის დამთავრების შემდეგ, ფრანკლინ პირსის უნივერსიტეტში ჯერ ფსიქოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, შემდეგ კი არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტში შინაურ ცხოველთა შემსწავლელ მეცნიერებაში ჯერ მაგისტრის წოდება მიიღო, ბოლოს კი დოქტორიც გახდა.

2010 წელს მეცნიერის ცხოვრებაზე ჰოლივუდში ფილმიც გადაიღეს, სახელწოდებით „ტემპლ გრანდინი“.

ტიზმზე ეჭვიც კი არ მიჰქონდათ.

„არა უშავს, ჩემმა შვილმაც გვიან დაიწყო ლაპარაკი“, „4 წლამდე დავიცადოთ, ნახავთ, თუ არ ალაპარაკდება“, „რატომ შფოთავთ, ბავშვი, უბრალოდ, გულჩათხრობილია“, – წლების განმავლობაში მსგავსი მიდგომის გამო უამრავი ბავშვი რჩებოდა დროული მკურნალობის გარეშე.

პირველი კვლევა საქართველოში აუტიზმის გავრცელების შესახებ 2007-2009 წლებში ბავშვთა ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაციამ ჩაატარა. ამ კვლევის მიხედვით აღმოჩნდა, რომ საქართველოში ყოველი 110 ბავშვიდან ერთს აუტიზმი აქვს.

„იმ ფონზე, როგორი მოუმზადებლებიც ვართ ამ პრობლემის წინაშე, ეს მონაცემები შემაშფოთებელია“, – ამბობს ბავშვთა ნევროლოგიისა და ნეირორეაბილიტაციის ცენტრის ფსიქოლოგი, ნინა მიქელაძე.

აუტიზმი ადამიანის განვითარების შეფერხებაა. ამ დაავადებების სპექტრიდან მისი სხვადასხვა ფორმა ადამიანებში განსხვავებული ნეიროგანვითარებითი დარღვევებით ვლინდება. ზოგადად, აუტიზმის მქონე ადამიანებს უჭირთ ადამიანებთან ურთიერთობა, გარემოსთან შეგუება და მოვლენების ისე აღქმა, როგორც ამას დანარჩენები აკეთებენ.

ეჭვი აუტიზმზე ექიმებმა უკვე მაშინ შეიძლება მიიტანონ, როცა პატარა ჯერ 2 წლისაა, თუმცა საბოლოო დიაგნოზის დასმა 3 წლამდე იშვიათად ხდება – ვიდრე მეტყველების განვითარებისა და სოციალური ურთიერთობების პრობლემებიც არ იჩენს თავს.

„პირველი ნიშნები ჩნდება მაშინ, როცა ბავშვი არ რეაგირებს ჩვენს ემოციაზე – თუ ვუჯავრდებით და ის არც იბღვირება და არც ტირის, თუ ვუცინით და ღიმილითვე არ გვპასუხობს, ვეძახით და არ იხედება, არ გვიყურებს თვალებში, დამოუკიდებლად არ ამბობს ორსიტყვიან წინადადებას. ბევრჯერ იმეორებს ერთსა და იმავე მოძრაობას, მაგალითად, თეფშს რუტინულად, ერთი მიმართულებით ატრიალებს. ამ დროს უკვე შეიძლება აუტიზმზე ეჭვის მიტანა“, – ამბობს ბავშვთა ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი ნანა ტატიშვილი.

ხშირია ისეთი შემთხვევებიც, რაც ნიკას დაემართა – ბავშვი ჯერ თავისი თანატოლებივით ვითარდებოდა, მეტყველებაც დაიწყო, კონტაქტურიც იყო და შემდეგ მოულოდნელად თქვა ამ ყველაფერზე უარი.

7 წლის სანდროს, რომელიც ერთი წლის ისე გახდა, რომ ექიმებისთვის „პრაქტიკულად ჯანმრთელი“ ბავშვი იყო, წლისა და ორი თვის ასაკში სმენა დაუქვეითდა. აპარატის საშუალებით სმენა კი აღუდგინეს, მაგრამ მოგვიანებით ახალი პრობლემა გამოჩნდა – სანდრომ გარშემომყოფებთან კონტაქტი გაწყვიტა. აუტიზმის დიაგნოზი მხოლოდ 4 წლის ასაკში დაუსვეს.

„ძალიან ვნანობ, რომ გვიან დავიწყეთ მკურნალობა. წარმოიდგინეთ, უკვე შვიდი წლისაა და ახლა ალაპარაკდა. ვინ იცის, როგორი მიღწევები ექნებოდა ჩემს შვილს, დროულად რომ მიეტანათ ეჭვი ექიმებს – სანდროს პრობლემა აუტისტური აშლილობაა“, – ამბობს სანდროს დედა ქეთი ნებიერიძე, რომელსაც დღეს ის ფაქტი ამშვიდებს, რომ აუტიზმი, მართალია, ქრონიკული დაავადებაა, მაგრამ მისი დროულად აღმოჩენისა და მკურნალობის ინტენსიური კურსის შემთხვევაში, პაციენტები მაინც ახერხებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას და უმაღლესი განათლების მიღებასაც კი. ამიტომ ამბობენ სპეციალისტები, რომ აუტიზმთან ბრძოლის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი მისი დროული დანახვაა. აუტიზმზე საეჭვო ნიშნების აღმოჩენა კი პოლიკლინიკაში უნდა ხდებოდეს – იქ, სადაც ბავშვი დაბადებიდან დაჰყავთ მშობლებს აცრებზე და გეგმიურ შემოწმებებზე.

სპეციალური სკრინინგ-ტესტები, რითაც, მაგალითად, შეერთებულ შტატებში ყველა ჯანმრთელ ბავშვს ამოწმებენ აუტიზმზე, ჩვენს პოლიკლინიკებშიც აქვთ. მათი გამოყენების წესები თბილისისა და რამდენიმე ქა-

ლაქის ექიმებს ერთდღიან ტრენინგზე აუხსნეს კიდეც. მაგრამ არ არსებობს ჯანდაცვის სამინისტროს სპეციალური დადგენილება, რომელიც ექიმებისთვის ამ ტესტების გამოყენებას ბავშვების გეგმიური შემოწმებისას სავალდებულოს გახდიდა. „განსაკუთრებით მძიმეა მდგომარეობა რეგიონებში, საიდანაც, შეიძლება, ასეთი ბავშვები ჩვენამდე ვერც კი აღწევენ“, – ამბობს აუტიზმის საზოგადოების დამფუძნებელი, ბავშვთა ნევროლოგი ვანო ბოკერია.

გამოდის, რომ პირველადი ჯანდაცვის ექიმების ერთდღიანი ტრეინინგი ჯერჯერობით დიდ შედეგებს ვერ იძლევა. აუტიზმის დიაგნოზის დასმა მსოფლიოში აღიარებული სანდო ტესტებით კი საქართველოში დღემდე სულ ორ კლინიკაში შეიძლება, ესენია: ქავთარაძის სახელობის ბავშვთა ნევროლოგიისა და ნეირორეაბილიტაციის ცენტრი და იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს მენტალური განვითარების ცენტრი. თითოეულ მათგანში თითო-თითო საერთაშორისო სერტიფიკატის მფლობელი სპეციალისტი ჰყავთ, რომლებსაც ზუსტად შეუძლიათ იმის დადაგენა, აქვს თუ არა ბავშვს აუტიზმი.

თუ დიაგნოსტიკის თვალსაზრისით, უკანასკნელ პერიოდში მდგომარეობა გაუმჯობესდა, აუტიზმის მკურნალობის მხრივ, საქართველოში ბევრი არაფერი შეცვლილა.

ქცევის გამოყენებითი ანალიზის (იგივე – ABA-ს) სერტიფიკატს, რომელიც აუტიზმის მქონე ბავშვების მკურნალობის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან მეთოდად ითვლება, საქართველოში არცერთი სპეციალისტი არ ფლობს. ABA-ს სპეციალისტი – თითოეული ბავშვისთვის მკურნალობის ინდივიდუალურ პროგრამას ადგენს. ამის შემდეგ, თერაპევტები ABA-ს სპეციალისტის ზედამხედველობით, უშუალოდ ბავშვებთან იწყებენ მუშაობას.

„ბავშვებს კვირაში, მინიმუმ, 40-საათიანი მუშაობა სჭირდებათ. კარგი შედეგის მისაღებად, ისინი დღეში 5 საათს მაინც უნდა ამეცადინო. ამ სამუშაოს გაწევა მშობელსაც შეუძლია, რომელიც ABA-ს სპეციალისტის ზუსტ მითითებებს ასრულებს“, – ამბობს ვანო ბოკერია.

„აბა, მაჩვენე მუცელი“, – ეუბნება ფსიქოლოგი გოგონა შვიდი წლის სანდროს. სანდრო იღიმის და მარჯვენა ხელს მუცელზე იტყაპუნებს. გოგონა გახარებულია და კიდევ ერთ დავალებას აძლევს: „აბა, ახლა თავი მაჩვენე“, – სანდროს ჯერ ხელი ისევ მუცლისკენ მიაქვს, მერე კი საჩვენებელ თითს შუბლზე იდებს. როცა სანდრო „დავალებებს“ ასრულებს, „მოდის“ ჟურნალით „ასაჩუქრებენ“ – სანდროს

> „არა უშავს, ჩემმა შვილმაც გვიან დაიწყო ლაპარაკი“, „4 წლამდე დავიცადოთ, ნახავთ, თუ არ ალაპარაკდება“, „რატომ შფოთავთ, ბავშვი, უბრალოდ, გულჩათხრობილია“, – წლების განმავლობაში მსგავსი მიდგომის გამო უამრავი ბავშვი რჩებოდა დროული მკურნალობის გარეშე.

უყვარს ასეთი ჟურნალები, ფურცლავს და ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელს ათვალიერებს.

ილიას უნივერსიტეტის აუტიზმის ცენტრში აუტისტ ბავშვებთან ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ოცი სტუდენტი მოხალისედ მუშაობს. ცენტრი 2010 წელს გაიხსნა, თუმცა მისი მომსახურება ყველასთვის ხელმისაწვდომი არაა. აქ მხოლოდ 10 ბავშვის მიღების საშუალება აქვთ.

„მე თავად მშობელი ვარ, ჩემს შვილს დიაგნოზი ამერიკაში დაუსვეს. კალიფორნიაში ვიყავით, ვმკურნალობდით და მეც, პროფესიით ექიმმა, გადავწყვიტე, ბავშვთან ერთად მევლო აუტიზმის ცენტრში და მესწავლა ABA-ის მუშაობის პრინციპები. მართალია ABA-ის სერტიფიცირებული სპეციალისტი არ გვყავს, მაგრამ ზუსტად ამ პრინციპით ვმუშაობთ, ვაკეთებთ იმავეს, რასაც ამერიკელები. ჩემი აზრით, ეს თერაპია ბავშვს უნდა უტარდებოდეს სპეციალიზირებულ აუტიზმის ცენტრში, სადაც გვეყოლება სერტიფიცირებული თერაპევტები, რომლებიც ბავშვებთან კვირაში 40 საათი იმუშავებენ. დროული და სწორი თერაპიის პირობებში, დაახლოებით, 48% ორი წლის შემდეგ, პრაქტიკულად, ჯანმრთელია“, – ამბობს აუტიზმის ცენტრის ხელმძღვანელი და აუტისტთა ასოციაციის პრეზიდენტი სოფიკო კერესელიძე.

ორ აპრილს მთელ მსოფლიოში და პირველად უკვე საქართველოშიც აუტიზმის საერთაშორისო დღე აღნიშნეს. განვითარებულ ქვეყნებში აუტიზმის მქონე ადამიანებმა ამ დღეს კიდევ ერთხელ მოითხოვეს გაზრდილი უფლებები, უკეთესი მომსახურება და დაფინანსების დამატებითი წყაროები. ჩვენთან კი 2 აპრილს აუტიზმის საზოგადოებამ მთავრობის წევრებს პირველად წარუდგინა სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის მიზანიცაა აუტიზმი სახელმწიფომ სერიოზულ პრობლემად ცნოს და დაიწყოს ამ პრობლემის მოგვარებისთვის რეალური ნაბიჯების გადადგმა.

ამ გეგმის მიხედვით, ქვეყანაში პოლიკლინიკის ექიმების მომზადების გარდა, უნდა შეიქმნას ოთხი რეგიონული ცენტრი, მომზადდნენ სპეციალისტები და გამოიყოს თანხები აუტიზმის მქონე ბავშვების ინტენსიური ადრეული თერაპიისათვის. გარდა ამისა, თბილისში უნდა ჩამოყალიბდეს რეფერალური ცენტრი, სადაც მოხვდებიან ყველაზე მძიმე პაციენტები.

„ჩვენი მიზანი იყო, საზოგადოებისთვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია“, – ამბობს ბოკერია. „სამინისტროებსა და პარლამენტს კი შევთავაზეთ პრობლემის გადაჭრის გზები, დანარჩენი მათზეა დამოკიდებული“.

სუბსიდირება იაფად!

ანდრო ხეთერელი

ბოლო პერიოდში ბევრს კამათობენ სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებსა და ხელშეწყობის გზებზე. სახელმწიფომ კონკრეტული ნაბიჯებიც გადადგა. ეს ნათლად მიანიშნებს, რომ აგრარული სექტორის მომავლით დანტერესება გაიზარდა. ახალი, მოდერნიზებული აგრარული სისტემა, რომელიც შეძლებს ქვეყნის აგრარული პოტენციალის ოპტიმალურ გამოყენებას, ყველა მხარის ინტერესშია.

ქართული სახელმწიფო არჩევნის წინაშე დგას: მას შეუძლია წაახალისოს მსხვილი ფერმერული მეურნეობებისაგან შემდგარი აგრარული სისტემის ფორმირება ან შეუძლია შექმნას აგრარული სექტორი, რომლის ძირითადი ბირთვი წვრილი გლეხური მეურნეობები იქნება, რომელთაც სის-

ბიზნესით დაკავებულმა ხალხმა უნდა დახარჯოს ფული და შექმნას ხარისხიანი პროდუქცია – სპეციალისტი, რომელიც ფლობს ცოდნას თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ.

ტემატურად დასჭირდებათ სახელმწიფოსგან სუბსიდირებით მხარდაჭერა.

რადგან მე არჩევნის პირველ ვარიანტს ვემხრობი, შევეცდები წარმოვადგინო სახელმწიფოს მხარდაჭერის ეს მოდელი. ვითვალისწინებ, რომ სახელმწიფოს გააჩნია მწირი შესაძლებლობები და დიდი ამბიციები. შესაბამისად, საჭიროა სუბსიდირების იაფი და ამავე დროს, ეფექტიანი მოდელი.

ასეთი მოდელის შექმნისათვის უნდა აღმოვაჩინოთ მექანიზმი, რომლის ამოქმედებით სოფლის მეურნეობის სისტემის შემდგომი განვითარება შეუქცევად სახეს მიიღებს.

ნუ ვეცდებით აგრარულ სექტორში არსებული პრობლემების მოგვარებას სახელმწიფოს ფულით. ვეძიოთ ამ პრობლემების გამომწვევი მიზეზები. წარმატებული მეურნეობის შექმნისათვის საჭიროა სამი ძირითადი რამ: კლიმატი, ცოდნა და საშუალება. ბუნებრივი კლიმატური პირობები ნორმალური გვაქვს. სამაგიეროდ, გვაკლია ცოდნაც და საშუალებაც. სწორედ ეს დანაკლისი იწვევს ქვეყნის აგრარულ სისტემაში არსებულ პრობლემათა უმრავლესობას და მის შევსებას სახელმწიფოსგან ხელშეწყობა ესაჭიროება.

დღევანდელ მსოფლიოში სასოფლო სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს მისი წარმოების ტექნოლოგიები, ცოდნა თანამედროვე პესტიციდების, აგროქიმიკატების, ჯიშების, ჰიბრიდების და მათი ოპტიმალური გამოყენების შესახებ. საქართველოში ამ ცოდნის დეფიციტია. ეს გამოწვეულია აგრარული განათლების დაბალი დონით. ამიტომ რეფორმა, პირველ რიგში, სწორედ აქაა საჭირო.

რადგან ჩვენ სუბსიდირების იაფი და ეფექტიანი მოდელი გვჭირდება, აუცილებელია, დავზოგოთ ბიუჯეტის თანხები ხარისხის გაუარესების გარეშე. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აგრარული განათლების სფეროში შემოვა კერძო სექტორი. ბიზნესით დაკავებულმა ხალხმა უნდა დახარჯოს ფული და შექმნას ხარისხიანი პროდუქცია – სპეციალისტი, რომელიც ცოდნას თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ თანაბრად ხელმისაწვდომს გახდის გლეხებისათვის. ცოდნის გავრცელების ხელშეწყობა კი უკვე სახელმწიფოს ფუნქციაა. მთავარია, რომ ის განათლების სფეროში თანხების დახარჯვის გარეშე მიიღებს სპეციალისტებს, რომელთაც ძვირადღირებული გადამზადების გარეშე შეეძლებათ აგრონომის ფუნქციების შესრულება.

როგორც აღვნიშნე, ცოდნის გარდა, წარმატებისათვის საჭიროა მისი რეალიზების საშუალებაც. დღეს ჩვენ

ქართული სახელმწიფო არჩევნის წინაშე დგას: მას შეუძლია წაახალისოს მსხვილი ფერმერული მეურნეობებისაგან შემდგარი აგრარული სისტემის ფორმირება ან შეუძლია შექმნას აგრარული სექტორი, რომლის ძირითადი ბირთვი წვრილი გლეხური მეურნეობები იქნება.

ეს საშუალება არ გაგვაჩნია, რაც გამოწვეულია აგრარული პოტენციალის არაეფექტიანი გამოყენებით. სწორედ ეს იწვევს ისეთ უმძიმეს პრობლემებს, როგორიცაა მცირემიწიანობა, დაბალი რენტაბელობა, მუდმივი დოტაციის საჭიროება, ეკონომიკური ხელმოკლეობა...

მოცემული პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია მხოლოდ სოფლის მეურნეობის სისტემაში კაპიტალდაბანდებით. გაცილებით მეტი ეფექტი მოჰყვება სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებისათვის გამიზნული თანხებით მეტი სამუშაო ადგილების შექმნას აგრარული სექტორისაგან განყენებულ სფეროებში, რათა რეგიონებში რაც შეიძლება მეტ ადამიანს გაუჩნდეს წვრილ გლეხურ მეურნეობაზე უკეთესი საარსებო გარემოს მოპოვების შანსი.

ამავე დროს საჭიროა არა დარგების, არამედ კონკრეტული ფერმერების მხარდაჭერა. უნდა შეირჩნენ ფერმერები, რომელთაც აქვთ მეურნეობების საკუთარი შეხედულებების მიხედვით მოწყობისათვის საჭირო გამოცდილება, პოტენციალი და მოტივაცია.

სასურველია, საკანონმდებლო დონეზე მოხდეს ისეთი სახის ცვლილებები, რომელთა მიზანიც მიწის გრძელვადიანი იჯარით სარგებლობის მიმართულებით მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შექმნაა. იჯარის წესების გამარტივება დააჩქარებს მსხვილი ფერმერული მეურნეობების ფორმირების პროცესს, რადგან ქართველი გლეხი, რომელსაც თუნდაც ჰქონდეს ალტერნატიული შემოსავალი, ძნელად შეელევა და გაყიდის მის კუთვნილ მიწას. იჯარა კი იცავს ერთგვარ დადებით ბალანსს ფერმერულ მეურნეობაზე ორიენტირებულ და ალტერნატიული შემოსავლის მქონე ადამიანთა ინტერესებს შორის.

სუბსიდირების წარმოდგენილი მოდელი მინიმალური დანახარჯებით უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო ცოდნის სამართლიან გადანაწილებას და მსხვილი ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბების პროცესის დაჩქარებას. ვიყოთ რეალისტები და ვაღიაროთ, რომ სუბსიდირების ნებისმიერი მოდელის შერჩევის შემთხვევაში იარსებებს ორი მარტივი ჭეშმარიტება, რომელიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ:

1. აგრარული სექტორის განვითარება შეუძლებელია ერთ ან ორ წელიწადში, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ტემპების შეუსაბამოდ.

2. აგრარული სისტემის განვითარებისათვის საჭიროა ერთი კონკრეტული კურსის არჩევა და შემდგომ მისი ბოლომდე განხორციელება.

ანტი - მულტი - ჯულტი

ემუქრება თუ არა ევროპას ამერიკული კონსერვატიზმი.

გიორგი ცხადაია

ბოლო რამდენიმე თვეა, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კამერონი ერთმანეთს ეცილებიან „სახელმწიფო მულტიკულტურალიზმის“ პოლიტიკის დაგმობაში და აცხადებენ, რომ ევროპის ქვეყნებმა იმიგრანტების მიმართ ახალი პოლიტიკა უნდა შეიმუშავონ. ევროპაში მულტიკულტურალიზმის წინააღმდეგ რეაქციას თავისი ისტორია აქვს და დღემდე ყველაზე კულმინაციურ მომენტად საფრანგეთში მუსლიმური თავსაბურავის – ბურქას აკრძალვა ითვლება.

სიტუაციის გამწვავება 2004 წელს, ვინმე თეო ვან გოგის მკვლელობით დაიწყო. თეო ჰოლანდიელი დოკუმენტალისტი იყო, რომელმაც მუსლიმ ქალებზე დოკუმენტური ფილმი გადაიღო. ჰოლანდიაში დაბადებულ მაროკოელ ბიჭს რეჟისორის მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. ინციდენტმა მთელი ევროპის გაღიზიანება გამოიწვია – ჰოლანდია ხომ მულტიკულტურალისტური პოლიტიკის საუკეთესო მაგალითად ითვლებოდა.

ვან გოგის მკვლელობა ევროპის კოლექტიურ მეხსიერებაში დარჩა, როგორც რადიკალიზირებული ისლამისტი იმიგრანტების პასუხი მულტიკულტურულ და სეკულარულ დასავლეთს. ჰოლანდიის მთავრობა ყველა ზომას ატარებდა იმისთვის, რომ კულტურული ნიშნით ადამიანების დისკრიმინაცია არ დაეშვა. ეს პოლიტიკა გამოიხატებოდა სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების კულტურული თვითგამოხატვის წახალისებაში და საბოლოო ჯამში, მცირე ეთნიკური დასახლებების შექმნაში.

ისლამის და მუსლიმების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გაჩენა მაღალი რანგის პოლიტიკოსების ბრალი, ალბათ, არ არის. თავად სარკოზი, მერკელი და კამერონი აქამდე ასეთ თემებს თავიანთ დღის წესრიგში ნაკლებად შესამჩნევ ადგილს უთმობდნენ (თუმცა ნიკოლა სარკოზი პრეზიდენტად არჩევამდეც გამოირჩეოდა გარკვეული კონსერვატორული რიტორიკით). საფრანგეთში ფრანგული სეკულარიზმის (ლაიციზმის) და ნაციონალიზმის იდეების გააქტიურება ჟან-მარი ლე პენის პოპულარულ მემარჯვენე მოძრაობას უკავშირდება. მისმა ქალიშვილმა მარინ ლე პენმა, როგორც უახლესი სახალხო გამოკითხვები გვამცნობენ, შესაძლოა 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ნიკოლა სარკოზიც კი დაამარცხოს.

საჯარო პროტესტი ბურქის ტარების აკრძალვასთან დაკავშირებით, პარიზი, 11 აპრილი 2011

გარკვეულწილად, სახალხო სენტიმენტების მოზღვავებას უნდა მივაწეროთ გერმანიაში ანგელა მერკელის პოზიციაც, რომელიც ერთგვარი რეაქციაა ულტრამემარჯვენე პარტიების გააქტიურებაზე. გასულ წელს, გერმანიის ცენტრალური ბანკის დირექტორთა საბჭოს ყოფილმა წევრმა ტილო სარაცინმა ან უკვე სკანდალურად ცნობილი წიგნი „გერმანია საკუთარ თავს უარყოფს“ გამოსცა. წიგნში საჯაროდ არის დაგმობილი გერმანიის „ძიძა სახელმწიფოს“ („Welfare State“) მულტიკულტურალისტული პოლიტიკა (იმიგრანტების სოციალური და სამართლებრივი მხარდაჭერა). სარაცინი გერმანელებს სთავაზობს შეამცირონ იმიგრანტებისთვის განკუთვნილი სოციალური დახმარებები, რადგან ეს უკანასკნელნი, მისივე სიტყვებით, ნაკლებად განათლებულები და ჭკვიანები არიან. სარაცინი ბუნდესბანკიდან

გარიცხეს და მოგვიანებით გერმანიის სოციალურ-დემოკრატიული პარტიიდან გარიცხვითაც დაემუქრნენ. ამავე დროს, ყველა აღიარებს, რომ სახალხო მხარდაჭერა ლე პენის და სარაცინის მსგავსი ადამიანებისკენ უფროა გადახრილი, ვიდრე მეინსტრიმ პოლიტიკოსებისკენ.

ბრიტანეთში ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის გაუქმებას ბრიტანეთის ნაციონალური პარტია (BMP) ლობირებს, თუმცა მისი რეიტინგი საგრძნობლად ჩამორჩება ფრანგული მეგობარი ორგანიზაციის – ლე პენის „ნაციონალური ფრონტის“ რეიტინგს. ამის მიუხედავად, ბრიტანეთის საპარლამენტო არჩევნებში კონსერვატორების გამარჯვების ერთ-ერთ მიზეზად შესაძლოა, სწორედ კონსერვატორების შედარებით მკაცრ ანტი-იმიგრაციული პოლიტიკა მივიჩნიოთ.

ბრიტანეთში ბოლო დროს პოპულარული გახდნენ ულტრაკონსერვატორული შეხედულების ჟურნალისტებიც, მაგალითად, რიჩარდ ლიტლჯონი, რომელიც მაყურებლების გულს იმიგრანტების და მათ მიერ მიღებული სახელმწიფო დახმარებების შესახებ „სიმართლის“ გამოაშკარავებით იგებს. თავად დევიდ კამერონმაც კი ორი თვის წინ, თავის გამოსვლაში მულტიკულტურალიზმის შესახებ, აღნიშნა, რომ აუცილებელია ერთმანეთისგან გავარჩიოთ მუსლიმი მორწმუნე და ჯიჰადისტი ექსტრემისტი, შესაბამისად, უნდა შეუწყდეთ დაფინანსება ისეთ რელიგიურ ორგანიზაციებს, რომლებიც პატივს არ სცემენ დემოკრატიას, ქალთა უფლებებს და სეკულარული კანონის უზენაესობას. მან აღნიშნა, რომ „სახელმწიფო მულტიკულტურალიზმის დოქტრინამ“ საზოგადოებები, დაახლოების ნაცვლად, ერთმანეთთან დააშორა.

მულტიკულტურალიზმის ჩავარდნების შესახებ, ულტრამემარჯვენე და მეინსტრიმ კონსერვატორი პოლიტიკოსებისგან განსხვავებული აზრი აქვთ ლიბერალურ და სოციალისტურ პარტიებს. მაგალითად, გერმანიის მწვანეთა პარტიის თავმჯდომარის მოადგილე, წარმოშობით თურქი ჯემ ოზდემირი მიიჩნევს, რომ პრობლემა არა იმდენად მულტიკულტურალიზმში, არამედ განათლების სისტემის გაუმართაობაშია. „რატომ რჩებიან მუშათა კლასის გერმანელების სხვადასხვა თაობები ერთ კლასში? სად არის საზოგადოების ვერტიკალური მობილობა? „გერმანული ოცნება“, როგორც ასეთი, არ არსებობს“, – აცხადებს ოზდემირი ამერიკულ „ნიუსვიკთან“ მიცემულ ინტერვიუში. იგი ამატებს, რომ სარაცინის მოსაზრებები ისლამის აგრესიული ბუნების შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ირანელი, ერაყელი და ავღანელი იმიგრანტები გერმანიაში საკმაო წარმატებას აღწევენ, პრობლემები, ძირითადად, თურქებს ექმნებათ, რადგან ამ ქვეყნიდან მხოლოდ ნაკლებად განათლებული, „შავი მუშახელის“ იმიგრაცია ხდებოდა.

საბოლოო ჯამში, ლიბერალებს და კონსერვატორებს ამ საკითხზე ერთი რამ აერთიანებთ: ორივე მხარე აღიარებს, რომ მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა ჩავარდა.

საფრანგეთში ბურქას აკძალვას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან სოციალისტები. რიგ შემთხვევაში, თავად სარკოზის „ზომიერი“ თანაგუნდელებიც კი თავს არიდებენ ანტიმუსლიმური სენტიმენტების გაღვივებას და ამჯობინებენ, რომ ბურქის აკრძალვის შესახებ დებატებში არ ჩაერთონ. ბრიტანეთშიც მემარცხნეები აქტიურად ილაშქრებენ BMP-ის და ლიტლჯონის მსგავსი ხალხის წინააღმდეგ.

საბოლოო ჯამში, ლიბერალებს და კონსერვატორებს ამ საკითხზე ერთი რამ აერთიანებთ: ორივე მხარე აღიარებს, რომ მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა ჩავარდა. ორივეს აზრით, ჩავარდნა იმით გამოიხატება, რომ ევროპაში ანტიმუსლიმურმა სენტიმენტებმა უახლეს ისტორიაში ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია.

აქედან გამოსავალი სახალხო პოლიტიკის დაბრუნებაში და ადამიანის უფლებების („კულტურული ჯგუფების“ უფლებების საპირისპიროდ) რიტორიკის გააქტიურებაში უნდა ვეძებოთ. ევროინტეგრაციის მომხრე ლიბერალები, სამწუხაროდ, არ ცნობდნენ სახალხო პოლიტიკის ძალას და ცდილობდნენ ზემოდან წამოსული დირექტივებით „დაეგეგმათ“ იმიგრაციის და კულტურათა შორის ურთიერთობის პოლიტიკა. ამასთანავე, ისინი არ ითვალისწინებდნენ შესაძლო ნაციონალისტური უკურეაქციის საშიშროებას და ამით საფრთხეს უქმნიდნენ ტოლერანტობის და პლურალიზმის იდეებს.

ლიბერალები კონსერვატორებს უნდა დაეთანხმონ, რომ დასავლური კულტურისთვის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ადამიანების უფლებები და სეკულარიზმია. ამასთანავე, მათ ხაზი უნდა გაუსვან იმას, რომ გამოსავალი არა იმიგრანტებისთვის სოციალური დახმარებების შეწყვეტა, არამედ მათთვის სოციალური დახმარებების ინდივიდუალურ საფუძველზე გაცემაა. უკიდურეს შეთხვევაში, თუ ნაციონალისტური სენტიმენტები ევროპის ქვეყნებში მემარჯვენე იდეებს (სოციალური დახმარებების მოსპობას) წარმატებით შეერწყმება, შესაძლოა „ბებერ კონტინენტზეც“ ისეთივე მემარჯვენე პოპულისტური მოვლენა მივიღოთ, როგორც ამერიკული ჩაის მსმელების მოძრაობაა (ეკონომიკურად ლიბერტარიანული და სოციალურად ნაციონალისტური).

ევროპა ჯერჯერობით არ ჩქარობს და მუსლიმი იმიგრანტების საკითხს განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება. მართალია, გასულ წელს საფრანგეთის ხელისუფლებამ ბურქის აკრძალავის შესახებ კანონი მიიღო, მაგრამ ის ჯერაც არ განხორციელებულა. ყველაფერს მომავალი წლების არჩევნები და ამომრჩევლების აქტიურობა გვიჩვენებს.

ძალადობა ქალიშვილებზე, მარადიდებლობა და ბრუტალური სექსი

ლაშა ბუღაძე, მწერალი

ამ რამდენიმე დღის წინ სტუდენტებს შევხვდი ერთ-ერთ (არცთუ ისე) უმაღლეს სასწავლებელში. წესით, ლიტერატურაზე უნდა გვესაუბრა, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, ისევ ზაზა ბურჭულაძის ქუთაისურ რეპლიკაზე მომიწია პასუხების გაცემა; მერე, როგორც წესია, ბრალდებებიც ვიგერიე – ქართველი მწერლები მხოლოდ იმაზეღა ფიქრობთ, ხალხი როგორ გააღიზიანოთო და ბრაზიან გოგონათა საყვედურებიც ვისმინე: თანამედროვე მწერლები სულ სექსზე წერთ, ყველანი დეისაძეები ხართო. ვფიქრობ, ზედმეტია იმის თქმა, რომ ბრაზიანებს არც ბურჭულაძისა წაეკითხათ რამე და არც რომელიმე მისი კოლეგის. ამას უკვე შეჩვეული ვარ – საუბარი უმეტესად იმ კლიშეებზე გიწევს, რომელთაც მეტად იოლად და მყარად აყალიბებს მედია. ფართო აუდიტორია საქართველოში მწერალს იმის გამო კი არ სცემს პატივს, რომ კარგი წიგნი დაწერა (წიგნებს, მოგეხსენებათ, მცირედნი თუ კითხულობენ ჩვენს ქვეყანაში), არამედ იმის მიხედვით, თუ *როგორ* იქცევა და *როგორ* წარმატებულად ასახიერებს ეს უკანასკნელი მწერლის სტერეოტიპისთვის შესაბამის თავმდაბლობას... აკა მორჩილაძეს უწერია ერთგან, ქართველები *ქცევის* ხალხი ვართო, და მართალიცაა – ჩვენში ყოველთვის მნიშვნელოვანია *როგორ* და არა *რა*. ასეა, აწი სულ რომ შედევრები წეროს ზაზა ბურჭულაძემ, ამიერიდან მას ყოველთვის შეახსენებენ ქუთაისურ ამბავს („რატომ თქვით – ბოზებს სიკვდილი, ქურდებს სიცოცხლეო?“) და ეს შტერული ხუმრობა ამიერიდან მისი ბიოგრაფიის, მისი შემოქმედებითი თუ არაშემოქმედებითი ცხოვრების განუყრელი ნაწილი გახდება; არაფერზე არ მოუწევს იმდენი ლაპარაკი, რამდენიც ამ რეპლიკაზე. გვარ-სახელის გამოცვლაც კი არ უშველის – მხოლოდ პლასტიკური ქირურგია თუ გაათავისუფლებს სპონტანურად წამოსროლილი ფრაზის წყევლისგან. შედარებისთვის: ტელესაქართველოს აწ ყოველთვის ბოზებსა და ქურდებს გაახსენებს ზაზა ბურჭულაძის სახე, ხოლო გურამ დოჩანაშვილისა მწერლის „სისაყვარლეობას“, წესიერებასა და პატრიარქს; პირველი თუ მარადიულად არა, დიდი ხნით დარჩება „მანიაკ-მატრაკვეცად“, მეორე კი სამუდამოდ – „საყვარელ მწერლად“, მიუხედავად იმისა, რომ ზაზა ბურჭულაძე დღევანდელ გურამ დოჩანაშვილზე ბევრად უკეთესი მწერალია. დოჩანაშვილის ოდინდელი „ვატერ(პო)ლოო, ანუ აღდგენითი სამუშაოები“ ჩემი საყვარელი წიგნია („სამოსელი პირველისგან“ განსხვავებით, რომლის მნიშვნელობაც, ვფიქრობ, გადაჭარბებულია), მაგრამ მის გვიანდელ „ლოდ ნასაყდრალსა“ და „ჰოლივუდელ გივიასა თუ ომარას“, ჩემი აზრით, ასი თავით სჯობია ბურჭულაძის „მინერალური ჯაზი“, ან, თუ გნებავთ, „ადიბასიც“. მაგრამ მორჩა, „ვინღაა აქ გადამმოწმებელი?“ – ბურჭულაძე ოთხი მილიონი ქართველისათვის (და არა სამი ათასი მკითხველისთვის!) ამიერიდან ერთი წინადადების მწერალია, მისი წიგნები აბსტრაქციაა, პროფესია კი მხოლოდ ტელერესპონდენტის სახელის ქვეშ მისაწერი ტერმინი...

განა მხოლოდ ამ ერთ მწერალზე ვწერ, – როგორც ჩანს, რაც უნდა შევთხზა, ჯამში, მაინც „*თამარ მეფის* შეურაცხმყოფელ ლაშა ბუღაძედ“ დავრჩები. ეს კი, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან სამწუხაროა. საქართველოში საშინლად რთული ყოფილა გარედან აწებებული კლიშეებისგან გათავისუფლება. ამ მხრივ, მეტად ჯიუტი ერი ვართ – სტერეოტიპების ერთგულება გვიყვარს. იცით, ძირითადად, რა შეკითხვას უსვამენ დათო ტურაშვილს, როცა ის მკითხველებს ხვდება? რა ბედი ეწია მის სცენარს, რომელიც მან დავით აღმაშენებელზე დაწერა... და ეს უკვე მეშვიდე წელი გრძელდება.

სწორედ ამ თემებზე დავფიქრდი სტუდენტებთან შეხვედრის დროს – თაობები იცვლება, შეკითხვები კი იგივე რჩება! თაობები იცვლება, მაგრამ „აქტიურად განსახილველი თემები“ ისევ ძალაშია! ეს რაღაც კოშმარია, მოჯადოებული წრეა. წინ *ახალი* ბრაზიანი გოგო გიზის, მაგრამ ზუსტად იმ შეკითხვებს სვამს, რა შეკითხვებსაც ათი წლისწინანდელი ბრაზიანი სტუდენტი გისვამდა: რატომ წერენ თანამედროვე მწერლები თავის წიგნებში ერთად მეც ვრეგრესირებ, ათი წელია (თუ უფრო მეტი არა) წარღვნამდელი ჭეშმარიტების დამტკიცებას ვცდილობ და ეს კი, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ნამდვილად არ უწყობს ხელს ჩემს ინტელექტუალურ განვითარებას... ნუთუ არ შეიძლება, რომ ერთი საფეხურით მაინც ავიწიოთ? სულ მცირე, ერთი ახალი შეკითხვა მაინც მოიტანოს ახალმა თაობამ (რა მოხდება, რომ უცენზურო სიტყვებზე მაინც აღარ დასვას შეკითხვა... ჰა, დავით აღმაშენებელზე ტუ-

უზრდელურ სიტყვებს? რატომ წერთ სკანდალურ თემებზე? რატომ იხუმრეთ ასე ქუთაისში? რატომ დაწერეთ თამარ მეფეზე? რატომ არ კითხულობენ ახალგაზრდები? როდის გადაიღებენ ფილმს დავით აღმაშენებელზე?

ჩემს თავზე გავბრაზდი, როცა გავაცნობიერე, რომ ახლაც, ამ რამდენიმე დღის წინაც იმავეს დამტკიცებას ვცდილობდი, რაზეც ათი წლის წინაც ენთუზიაზმით ვლაპარაკობდი: რომ კითხვა, ზოგადად, კარგია; რომ სანამ აზრს გამოვთქვამთ რაიმეზე, მაგალითად, მოთხრობაზე, მინიმუმ, წაკითხული მაინც უნდა გვქონდეს ეს ტექსტი... ხოდა, იცით, რას მივხვდი: ამ შეკითხვებთან

■ რატომ წერენ თამამედროვე მწერლები თავის წიგნებში უზრდელურ სიტყვებს? რატომ წერთ სკანდალურ თემებზე? რატომ იხუმრეთ ასე ქუთაისში? რატომ დაწერეთ თამარ მეფეზე? რატომ არ კითხულობენ ახალგაზრდები? როდის გადაიღებენ ფილმს დავით აღმაშენებელზე?

რაშვილსაც არ ეზარება ლაპარაკი), ან, თუ გნებავთ, შეკითხვა ნურც იქნება, უბრალოდ, ასე დაიწყოს წინადადება: „აი, თქვენი წიგნი რომ წავიკითხე, იქ...“ მეტი არა, მეტი არც მჭირდება...

ზოგჯერ, ვფიქრობ, დისკუსიზე ხომ არ ჩავწერო ჩემი და ჩემი კოლეგების ყველა შესაძლო (თუ ტრადიციული) პასუხი და ეს ჩანაწერი ვაგზავნო ხოლმე დისკუსიებზე: უცენზურო სიტყვები თემიდან გამომდინარე ხვდება ტექსტში... თამარ მეფისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია... „დავით აღმაშენებელის“ გადაღება ჩაიშალა... ქუთაისში მხოლოდ ათმა კაცმა ვერ გაიგო ჩემი ხუმრობა... წიგნის კითხვა კარგია... მშობელს თუ არ უყვარს კითხვა, არც მის შვილს ეყვარება... უკეთესია, განათლებული იყო, ვიდრე გაუნათლებელი... და სხვ.

ამ ტექსტს კი სპეციალურად შევურჩიე ისეთი სათაური, რომელიც ბევრ მკითხველს მოიზიდავდა. ბოდიშს გიხდით, მაგრამ სხვანაირად ვერაფრით დავაინტერესებდი ფართო აუდიტორიას მწერლების მსუბუქად ინტელექტუალური ჩივილებით. მზად ვარ, დაე, ამ სვეტის სათაურის განხილვას მივუძღვნა შემდეგი ათწლეულები...

ზიარება სიცარიელეში

ქორეოგრაფ კაროლინ კარლსონის შეუმჩნეველი ანარეკლები თბილისში.

დავით ბუხრიკიძე

სცენა სპექტაკლიდან „ლი“ და „მანდალა“

თუ პინა ბაუშის შემდეგ რომელიმე ქორეოგრაფი ქალბატონის შემოქმედებაზე შეიძლება ვისაუბროთ, ერთ-ერთი პირველი სახელოვანი კაროლინ კარლსონია – თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული ამერიკელი ხელოვანი, რომლის დევიზია „ფიქრი სხეულით“ და რომელმაც ვენეციაში, ცეკვის ბიენალეზე „ოქროს ლომი“, ხოლო მოსკოვში, „ბენუა დე ლა დანსის“ პრესტიჟული ქორეოგრაფიული პრიზი დაიმსახურა.

სკანდინავიური წარმოშობის ქორეოგრაფი თავის დროზე იუტას შტატში კლასიკურ ცეკვასა და ქორეოგრაფიას სწავლობდა. პარიზის ოპერის დირექტორმა როლფ ლიბერმანმა დიდი ძალისხმევის შემდეგ დაარწმუნა ევროპაში გადასულიყო და 1974 წლიდან კარლსონი „ოპერა დე პარის“ საბალეტო დასს ხელმძღვანელობს. 70-80-იანი წლების ევროპული მოდერნ-დანსი მან არა მარტო ქორეოგრაფიული და ჯაზური იმპროვიზაციით გაამდიდრა, არამედ განახლების შთამაგონებელი იმპულსიც შესძინა. 90-იან წლებში ქორეოგრაფმა პარიზი დატოვა და თანამედროვე ცეკვის სიახლეების ასათვისებლად იაპონიასა და ჩინეთში გაემგზავრა. უკვე 21-ე საუკუნეში საფრანგეში დაბრუნდა და პა-დე-კალეს დეპარტამენტში, რუბეს ცეკვის თეატრს ჩაუდგა სათავეში.

რუსთაველის თეატრში გამართული სპექტაკლით „პატარა ისტორიები“, ქართველ მაყურებელს პირველად მიეცა საშუალება, მისი შემოქმედება ენახა. „ლი“ (2007) და „მანდალა“ (2010) – ასე ეწოდება ორ შესანიშნავ, ღრმა და საინტერესო კამერულ ისტორიას. პირველი, დაახლოებით, ნახევარ საათს გრძელდება და მასში კინაცუ კოსაკატანი და იუტა ნატაკა მონაწილეობენ; მუსიკის ავტორია ფილიპ კარპინსკი. „მანდალა“ კი, დაახლოებით, 40-წუთიანი წარმოდგენაა, რომელიც საფრანგეთში 2010 წლის ერთ-ერთ საუკეთესო „მცირემეტრაჟიან“ ქორეოგრაფიულ სპექტაკლად აღიარეს. სოლოს კაროლინ კარლსონის ასისტენტი და მოსწავლე სარა ორსელი ცეკვავს, ხოლო მუსიკის ავტორია მაიკლ გორდონი.

კარლსონის ქორეოგრაფიის მნიშვნელობაზე თეატრში მისულმა მაყურებელმა ბევრი არაფერი იცოდა. ამას რუსთაველის თეატრის ნახევრად ცარიელი პარტერიც მოწმობდა, რომელსაც დამცინავ რითმად გასდევდა სატელევიზიო-სარეკლამო კამპანიის არარსებობა. მოცეკვავეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი ენერგია დარბაზის სიცარიელეს ენერგიულად უპირისპირდებოდა და ავსებდა. ქალური და მამაკაცური საწყისი, სინაზე და ენერგია, „ინისა“და „იანის“ დაპირისპირება საომარი ორთაბრძოლების ნატიფ ხელოვნებას უფრო მოგაგონებდათ. წითელი, აღმოსავლური ხმალი კი სპექტაკლში ერთდროულად მისტიკურ და საბრძოლო განწყობას ქმნიდა.

„მანდალაში“ სარა ორსელის კარგი ფეხგასმა და არცთუ ნატიფი ხელგაშლა სცენური სივრცის ათვისების პარალელურად ხდებოდა. სამწუხაროდ, მოცეკვავის მიერ მზარდ და გაშმაგებულ ტემპში შემოვლილი ორი კონცენტრული წრე – დიდი და პატარა, კარგი ქორეოგრაფიის ხილულ, მაგრამ შეუმჩნეველ ანარეკლებად გაიფანტა. პირველ რიგში იმიტომ, რომ ორსელი გაცილებით ხისტი მოცეკვავე-შეგირდია. მისი სხეულის პროპორციები თუ პლასტიკური მონაცემები 68 წლის მასწავლებლის, კაროლინ კარლსონის უნატიფეს და ფანტასტიკური გამომსახველობის ხელებს აშკარად ჩამოუვარდება.

რა სამწუხაროა, რომ ჩვენ მაყურებელს არასოდეს უნახავს თავად კარლსონი სცენაზე. თუნდაც მისი „ლედი ბლუ“ – თანამედროვე ქორეოგრაფიის შედევრი.

დაბადებულები საქართველოში, ხუთხეული "ამირანში"

დავით ბუხრიკიძე

ქართული კინო რომ მხოლოდ შუა ქალაქში ჭამა-სმასა და სეზონურ ბათუმურ სექსს არ გულისხმობს, კინოსტუდია „სანგუკოსა“ და „კონტროლსტუდიოს“ ახალი ფილმითაც შევიტყვეთ. დებიუტანტი რეჟისორის, თამარ შავგულიძის მიერ კინოპროექტ „5“-ის ფარგლებში გადაღებული ფილმის „დაბადებულები საქართველოში“ პრეს-პრემიერა კარგი მიზეზია არაკომერციული ქართული კინოს შესახებ სასაუბროდ.

პროექტი „5“, რომლის ბიუჯეტი საკმაოდ სოლიდურ 2 400 000 ლარს შეადგენს, ხუთ სრულმეტრაჟიან ფილმს გულისხმობს. სწორედ პირველი ფილმია „დაბადებულები საქართველოში“, რომლის ჩვენება ჟურნალისტებისა და კინოკრიტიკოსებისთვის კინოთეატრ „ამირანში“ გაიმართა.

პირველივე, ტკივილამდე ნაცნობი დოკუმენტური კადრები გასაგებ განწყობას ქმნის საიმისოდ, რომ დაგავიწყდეთ შემთხვევით მომარაგებული პოპ-კორნიც და ზოგადად, ფასტ-ფუდის კინემატოგრაფის სურნელიც. ომგადატანილი ქვეყნის კინომაყურებელს ვერ შველის ვერც სალაღობო-გასართობი ფილმები და ვერც ე.წ. სირაქლემის კომპლექსი. ფილმში 2008 წლის ომი პირველი წუთების შემდეგ თითქოს არც ჩანს და არც იგრძნობა, მაგარამ უხილავი, თანამდევი ბარომეტრია პერსონაჟების სულიერი მდგომარეობის გასაზომად.

ვინ არიან ისინი? 25-30 წლის სიტყვაძუნწი ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც ომის სიმძიმის მიუხედავად, თითქოს საგანგებოდ არ ახსენებენ სიტყვა „სამშობლოს“ და რომელთა სახეებზე აღბეჭდილი დრამატიზმი ხაზგასმულად თავშკავებულია... ყველაზე ემოციური და შინაგანად დამუხტული თამრი (თამარ ბზიავა), მისი მეუღლე, რიგითი უმუშევარი და რომანტიკულ-ინფანტილური ნიკა (ვანიკო თარხნიშვილი), უცხო ენების ლექტორი, მარტოსული და შინაგანად ყველაზე დაცლილი თინა (ნუცა კუხიანიძე) და მოწესრიგებული გიორგი (გიორგი გიორგანაშვილი), რომელიც თურმე ომის პირველსავე დღეებში ჩამოვიდა ამერიკიდან საქართველოში.

კრიზისის მიუხედავად, ოთხივე მეგობარი ცდილობს კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოს. და რაც მათ წარსულში შტამპადქცეულ სიტყვებად – „საქართველოში დაბადებულებად“ იწოდებოდა, ფინალში ტრაგიკულ შემთხვევითობაში გამთლიანდება: ნიკა გზის დაგებისას ნაღმზე ფეთქდება; მანამდე კონფლიქტური თამრი მას ურიგდება და ვიგებთ რომ ორსულადაა; მეგობრის სიკვდილით გაოგნებული გიორგი მანქანით პირდაპირ მიადგება საკონტროლო-გამშვებ პუნქტს, სადაც ავტომატით შეიარაღებული რუსები დგანან...

ფილმის არასრული 80 წუთი ღირსებასთან ერთად, ბევრ ნაკლსაც იტევს: გაუმართავია ზოგიერთი დიალოგი (სცენარი თავად რეჟისორმა, თამარ შავგულიძემ დაწერა); სიცარიელის შევსების მიზნით „დადგმულია“ მრავალმნიშვნელოვანი პაუზები და რატომღაც ოთხივე პერსონაჟი ბევრს ეწევა. და მაინც, ძალიან ზუსტი და გადამწყვეტია განწყობა, რომელიც ფილმში იკითხება და რომელიც განსაზღვრავს მის ზუსტ და მელანქოლიურ ტონალობას. ვიზუალური კულტურა მაღალი დონისაა და გარკვეულ ეპიზოდებში შეიძლება ალენ რენეს „მიურიელიც“ გაიხსენოთ.

ოპერატორ გიორგი შველიძის სტატიკურად „სავსე“ კამერას არ სჭირდება არანაირი ფოკუსები და ეფექტები. გიო ცინცაძის მუსიკა, როგორც ყოველთვის, მაღალი კლასისაა (თუმცა ჭარბად გამოყენებულიც). დახვეწილია მხატვარ სალომე სხირტლაძის ნამუშევარი და არ გაღიზიანებთ უპრეტენზიო, უბრალო მონტაჟი. რეჟისორის ღირსებად შეიძლება ჩავთვალოთ თხრობის მუსიკალური რიტმისა და კადრის კომპოზიციის გრძნობა.

მიუხედავად იმისა, რომ „დაბადებულებს საქართველოში“ აშკარად რთული პოლიტიკური ბექგრაუნდი აქვს (განსაკუთრებით რუსების რეაქციაა პროგნოზირებადი), რენი ჰარლინის გასაგებად პროპაგანდისტული ფილმისგან განსხვავებით, მას კარგი შანსი აქვს არტ-ჰაუზის ტრადიციებით მდიდარ ფესტივალებზე მოხვდეს.

კადრები ფილმიდან „დაბადებულები საქართველოში“

სუად მასი

მერსედეს სოსა

Gracias A La Vida

ვახო ხვიჩია

დღეს „ლიბერალის“ მუსიკალური ეთერი ორ ქალბატონს დაეთმობა. პირველი არგენტინელია, როგორც იტყვიან, ანდების მთების შვილი, ინდიელთა ტომის – აიმარების შთამომავალი, ხალხურ სიმღერებს ასრულებდა და სულ ახლახან გარდაიცვალა. მეორე კი ჩრდილოეთ აფრიკაში დაიბადა, ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ნაღდი ბერბერია, ახალგაზრდაა და ყველაფერი წინ აქვს. მოკლედ, ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ. თუმცა, საერთოს აღმოსაჩენად, მათი ამბავი მოკლედ მოვყვეთ და ორი გემრიელი სიმღერაც „გავუშვათ“ სრული სიამოვნებისათვის.

მერსედეს სოსა არგენტინამ სამოციანი წლების დასაწყისში გაიცნო, როცა 15 წლის გოგონამ არგენტინის ერთ-ერთ რადიოსადგურზე გამართულ მუსიკალურ კონკურსში გაიმარჯვა. მისი პირველი ალბომი მალევე გამოიცა და ფოლკლორში სოციალური მიმდინარეობის – „nueva canción“ (ახალი სიმღერა) ჩამოყალიბების მიზეზიც გახდა. სამოციანი წლების ლათინურ ამერიკაში ხალხური ინსტრუმენტებით შესრულებული ბალადები, მართლაც სიახლეს წარმოადგენდა. თუ-

მცა, მუსიკოსის წარმატების საიდუმლო მისი სიმღერების ტექსტებში უფრო იყო. გაუთავებელი ხუნტებით თუ დიქტატურებით, სისხლიანი რეპრესიებით, სოციალური უსამართლობით გაწამებული ხალხისათვის მაშინაც არავის ცხელოდა, მათი უფლებები და ღირსება დაუნდობლად ილახებოდა. მერსედეს სოსა კი, ფაქტობრივად, პირველი არტისტი აღმოჩნდა, რომელიც დაჩაგრულებს გამოესარჩლა, აჯანყება გაბედა და მომავლის დაკარგული იმედი დააბრუნა.

კონცერტებზე ტრადიციული სამოსი – შავი ან წითელი პონჩო ეცვა ხოლმე, თვალებს დახუჭავდა და ულამაზეს კონტრალტოს ამოუშვებდა, ნამდვილი ინდიელივით შამანურ ტრანსში აგდებდა მსმენელს. მღეროდა ამხანაგ ჩე გევარაზე, პინოჩეტის მიერ უმოწყალოდ ნაწამებ ვიქტორ ხარაზე, მექსიკელ რევოლუციონერ პანჩო ვილიაზე, სიმონ ბოლივარზე, ვიოლეტა პარაზე და რაც მთავარია, უბრალო ხალხის ყოფით ისტორიებზე. ამის გამო, ის მთელ ლათინურ ამერიკას უზომოდ უყვარდა.

1976 წელს სამხედრო გადატრიალების შედეგად, ქვეყნის პრეზიდენტი იზაბელ პერონი ჩამოაგდეს. ამის მოთავე ცნობილი გენერალი ხორხე ვიდელა იყო, რომლის სიკვდილის ესკადრონებმა 5 წლის მანძილზე 30 ათასამდე ადამიანი დახვრიტეს ან უბრალოდ, გააქრეს. „სხვაგვარად მოაზროვნე“ ხალხს ღამღამობით სახლებში უვარდებოდნენ და ოჯახიანად აპატიმრებდნენ, ზოგს აწამებდნენ, ზოგსაც ვერტმფრენებიდან ყრიდნენ, ქალებსა და ბავშვებს ცოცხლად მარხავდნენ.

არგენტინას იმ წლებში ნამდვილად არ ემღერებოდა, თუმცა მერსედეს სოსა კონცერტებს მაინც მართავდა, მამაცი ქალი იყო და სიცოცხლის რისკის ფასად სცენიდან ებრძოდა ძალადობას. 1979 წელს პატარა ქალაქ მარ-დე-პლატაში გამართულ კონცერტზე, სპეცსამსახურებმა სცენაზევე, სიმღერის დროს დააპატიმრეს. ისიც სხვებივით გააქრეს, რამდენიმე კვირა არავინ იცოდა, რა ბედი ეწია. მუდამ შეშფოთებულმა საერთაშორისო თანამეგობრობამ მაშინ ივარგა და მუსიკოსი დაიხსნეს ვიდელას ჯურღმულებიდან. თუმცა, ხუნტამ თითი დაუქნია „არასწორი“ რეპერტუარისათვის და სიმღერა სამუდამოდ აუკრძალეს. მერსედეს სოსა იძულებული გახდა, სამშობლოდან წასულიყო. ჯერ ესპანეთს შეაფარა თავი, შემდეგ კი დისიდენტი მომღერალი პარიზმა მიიღო, თავისი ჩვეული სტუმართმოყვარეობით.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში არავინ ეცილება არგენტინელებს ტანგოს ცეკვაში, ისინი ამაყად ფლობენ ჩე გევარას, კორტასარის, ბორხესის თუ თვით დიეგოს „არგენტინელობის“ ექსკლუზიურ უფლებას. მერსედეს სოსა კი გამონაკლისია, რადგან მისი მუსიკა თანაბრად მშობლიურია როგორც რიგითი არგენტინელისათვის, ისე ურუგვაელისა თუ ჩილელისათვის, პერუელისა თუ პარაგვაელისათვის. ამიტომაც შეარქვეს „ლათინური ამერიკის ხმა“. ხმა კი მართლაც საოცარი ჰქონდა. ამის გასაგებად, აქვე ერთ ცნობილ სიმღერასაც მია-youtube-ებდა კაცი: Mercedes Sosa – Gracias A La Vida (მადლობა ცხოვრებას).

ახლა ოკეანე გადავკვეთოთ და არგენტინიდან ალ-მაზიჰში გადავინაცვლოთ. „ალ-მაზიჰს“ ახლანდელ ალჟირში, მაროკოსა თუ მავრიტანიაში იმ მიწებს უწოდებენ, სადაც უხსოვარი დროიდან ჩრდილოეთ აფრიკის ძირძველი მოსახლეობა – ბერბერები ცხოვრობენ. VII საუკუნის ბოლოდან რეგიონი არაბებმა დაიპყრეს და ისლამიზაციის შედეგად, ბერბერული კულტურა განადგურების საფრთხის წინაშე დადგა. მაგალითად, ალჟირში ბერბერები დღესაც იბრძვიან კულტურული ავტონომიისათვის, ეროვნული თვითგამორკვევისა და მშობლიური ენის შენარჩუნებისათვის. ბრძოლის ერთ-ერთ ყველაზე მშვიდობიან ფორმას კი ბერბერული მუსიკა წარმოადგენს, რომელიც ქვეყნის არაბულ ნაწილს მაგრად უშლის ნერვებს. ასე, რომ ბერბერული სიმღერა – „ჰარამია“ (ცოდვა), მომღერალი ქალი – უარესი „ჰარამი“, ბერბერულ ენაზე მომღერალი გოგო კი საერთოდ „ქუფრა“ (ურჯულოება), რაც შარიათის კანონებით სიკვდილით ისჯება.

ჩვენი დღევანდელი გმირიც ერთი „ურჯულო“ მომღერალი გოგონაა. სუად მასი (Souad Massi) ალჟირში მეტად მუსიკალურ ოჯახში გაიზარდა, მამა ტრადიციული ბერბერული მუსიკის მოყვარული, დედა ჯეიმს ბრაუნის ფანი, ბიძა კი საერთოდ ავანგარდულ ჯაზზე შეშლილი ტიპი ჰყავდა. ასეთ მუსიკალურ ქვაბში იხარშებოდა ბავშვობიდან და როცა წამოიზარდა, საკუთარი როკ-ჯგუფიც შექმნა. 90-იანი წლების ალჟირში კი როკენროლი თვითმკვლელობის ტოლფასი იყო. სუადი ჩაქოლვას რამდენჯერმე გადაურჩა, რის გამოც ქვეყნიდან გაქცევა მოუხდა. რა თქმა უნდა, პარიზმა შეიფარა, მალევე შეიყვარა და მისი ნიჭი „გადაარჩინა“. სუად მასიც საფრანგეთიდან უმღერის თავის ხალხს, ბერბერებისათვის კი მისი მუსიკა გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ მელოდია.

ჩავდგათ ცოდვაში ფეხი და ერთ სიმღერას მოვუსმინოთ მაღრიბელი „ურჯულოს“ შესრულებით: Souad Massi _ Ghir Enta (მხოლოდ შენ მიყვარხარ) ალბომიდან „Deb“.

20 ახალი არხი YOUTUBE-ზე

ვიდეოჰოსტინგის საიტი YouTube მალე მომხმარებელს 20 ახალ არხს შესთავაზებს, რომელიც ვიდეოებს თემების მიხედვით დააჯგუფებს. ცალკე იქნება მასალები ხელოვნებაზე, სპორტზე, მუსიკასა და სხვა პოპულარულ თემებზე. YouTube ამ არხებზე მომხმარებელს მხოლოდ ექსკლუზიურ კონტენტს შესთავაზებს. ვიდეოებს პროფესიონალები გადაიღებენ და მათი ნახვა ფასიანი იქნება.

ამ დრომდე სერვისის მენეჯმენტი აქცენტს მხოლოდ არაპროფესიონალურ სამომხმარებლო ვიდეოზე აკეთებდა და საავტორო უფლებების მფლობელებთან კონტრაქტებს, პრაქტიკულად, არ აფორმებდა. ახლა YouTube თავის პარტნიორებს პროფესიონალური კონტენტის მწარმოებლებს შორის ეძებს. მენეჯმენტი მოლაპარაკებებს ჰოლივუდის საგენტოებთან, მათ შორის, Creative Artists Agency-სთან, William Morris Endeavor-თან და International Creative Management-თან აწარმოებს.

Google-თან და Facebook-თან ერთად, ვებგვერდი YouTube ყველაზე პოპულარული რესურსების სამეულში შედის. 2006 წლიდან რესურსი ინტერნეტ-გიგანტის Google-ის საკუთრებაა. Google სერვისის ფინანსურ მაჩვენებლებს არ აქვეყნებს, თუმცა კომპანია Citigroup-ის მონაცემებით, YouTube-ს შემოსავალმა გასულ წელს 1 მილიარდი დოლარი შეადგინა.

YouTube-ს განახლებისთვის კომპანია Google, დაახლოებით, 100 მილიონი დოლარის დახარჯვას აპირებს. მნიშვნელოვანი ცვლილებები პორტალზე უკვე მიმდინარე წლის ბოლოსაა მოსალოდნელი.

IPAD 2 > IPAD 1

iPad 2 წინამორბედზე გაცილებით მეტი წარმატებით იყიდება. DigiTimes-ის ცნობით, მარტში Apple-მა 2,5 მილიონი iPad 2 გაყიდა. პირველი თაობის iPad-ის შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი მხოლოდ მილიონი იყო.

DigiTimes-ის პროგნოზით, მიმდინარე წლის ივნისამდე Apple, დაახლოებით, 12 მილიონ iPad 2-ს გაყიდის. 2010 წელს კომპანიამ სულ 15 მილიონი პლანშეტი გაყიდა.

Apple-მა მეორე თაობის iPad 2 მარტს წარადგინა. მოწყობილობის გაყიდვები აშშ-ში 11 მარტს, 25 მარტს კი დამატებით 25 ქვეყანაში დაიწყო. გაყიდვების ოფიციალური სტატისტიკა Apple-ს ჯერ არ გამოუქვეყნებია.

ყველაზე ძვირადღირებული ბრენდები

ბრიტანულმა კომპანია Brand Finance-მა მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ბრენდების სია გამოაქვეყნა.

სიის ლიდერი Google-ია. ინტერნეტ-გიგანტის ღირებულება 44,3 მილიარდი დოლარია. რეიტინგში მეორე ადგილს, 42,8 მილიარდი დოლარით, Microsoft იკავებს. Apple მე-19 პოზიციიდან 29,5 მილიარდ დოლარიანი ღირებულებით მე-8 ადგილზე დაწინაურდა.

კომპანია Coca-Cola, რომელიც ამ დრომდე 500 წამყვან ბრენდს შორის მესამე ადგილს სტაბილურად იკავებდა, პირველად აღმოჩნდა ათეულს მიღმა. ბრენდის ღირებულების ყველაზე დიდი – 10-მილიარდიანი შემცირება Nokia-მ განიცადა. მობილური ტელეფონებისა და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობების მწარმოებლის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი Apple-თან კონკურენცია და სმარტფონების ბაზარზე შექმნილი სირთულეებია.

Brand Finance-ის რეიტინგის ათეულში ასევე მოხვდა ბრიტანული Vodafone, რომელიც ყველაზე ძვირადღირებული სატელეკომუნიკაციო ბრენდია მსოფლიოში, მისი ღირებულება 30 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

Twitter დიზაინს იცვლის და Facebook-ს ემსგავსება

Twitter-ის სასტარტო გვერდი დიზაინს იცვლის: ტრადიციულ ცისფერს ლურჯი ჩაენაცვლება, ახალი მომხმარებლების რეგისტრაციის ფანჯარა მარჯვნივ განთავსდება და დარეგისტრირების მსურველს მხოლოდ სამი გრაფის შევსება მოუწევს. ეკრანის ცენტრში გადაინაცვლებს მომხმარებლების ძიება ინტერესების მიხედვით.

ამ ცვლილებებით, Twitter სულ უფრო დაემსგავსება სოციალურ ქსელ Facebook-ს. რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა ისიც, რომ Twitter კომპანიებს სპეციალური, განსხვავებული გვერდების შექმნას შესთავაზებს, რომლებიც Facebook-ის კორპორატიული გვერდების მსგავსი იქნება. მათი დახმარებით კომპანიები საკუთარი სერვისების და პროდუქტების რეკლამირებას, კონკურსების



ჩატარებასა და სხვა ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას შეძლებენ.

ექსპერტები ამბობენ, რომ დიზაინის შეცვლით Twitter მომხმარებელზე უფრო მეტად ორიენტირებული გახდება. ვებგვერდმა დიზაინი და ინტერფეისი უკანასკნელად გასული წლის შემოდგომაზე შეცვალა. კომპანიის მონაცემებით, ყოველდღიური ჩანაწერების გამოქვეყნების რაოდენობა გასულ წელთან შედარებით 41%-ითაა გაზრდილი. ამჟამად მომხმარებლები დღეში საშუალოდ 155 მილიონ „ტვიტს“ აქვეყნებენ.

HTC–მ მოგება გაასამმაგა

ტაივანურმა კომპანია HTC-მ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 3,6 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო. ეს მაჩვენებელი თითქმის ორჯერ აღემატება შარშანდელი წლის ანალოგიური პერიოდის 1,3 მილიარდ დოლარს. HTC-ის კვარტალური მოგება კი თითქმის გასამმაგდა: თუკი შარშან კომპანიამ 172,8 მილიონი დოლარის მოგება მიიღო, წელს ეს მაჩვენებელი 512,6 მილიონამდე გაიზარდა.

კომპანიაში გაყიდული სმარტფონების რაოდენობას არ ასახელებენ, თუმცა იანვარში მენეჯმენტი აცხადებდა, რომ, დაახლოებით, 8,5 მილიონი მოწყობილობის რეალიზაცია იგეგმებოდა.

ამას გარდა, HTC-ს საბაზრო ფასი 33,8 მილიარდ დოლარს მიუახლოვდა. შედეგად, ტაივანურმა მწარმოებელმა ფინურ Nokia-ს და კანადურ RIM-ს გაუსწრო და მესამე პოზიცია დაიკავა. პირველ ორ ადგილს სმარტფონების მწარმოებლებს შორის Apple და Samsung იკავებენ. ექსპერტები HTC-ს წარმატებას Android-ის პლატფორმის მოწყობილობებზე არსებულ მაღალ მოთხოვნას უკავშირებენ.

Samsung Galaxy S II აპრილში გამოვა

გავრცელებული ინფორმაცია, რომ Samsung Galaxy S II-ის გაშვება ზაფხულამდე გადაიდო, Samsung-მა არ დაადასტურა. Twitter-ის ბლოგზე სამხრეთკორეულმა მწარმოებელმა განაცხადა, რომ სმარტფონი გეგმის შესაბამისად, აპრილში გამოვა. პირველი ქვეყანა, სადაც ტელეფონის გაყიდვა დაიწყება, სამხრეთ კორეა იქნება.

როგორც წესი, Samsung ახალი პროდუქტების რეალიზაციას ევროპიდან

იწყებს, თუმცა ამ შემთხვევაში კომპანიამ ტაქტიკის შეცვლა გადაწყვიტა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ Samsung-ს iPhone 4-ის პოპულარობისთვის კონკურენციის გაწევა სურს და ამ სტრატეგიის განხორციელებას, პირველ რიგში, ადგილობრივი ბაზრიდან იწყებს.

Samsung Galaxy S II პოპულარული მოდელის Galaxy S-ის მემკვიდრეა. მოწყობილობა კომპანიამ მიმდინარე წლის თებერვალში, გამოფენა Mobile World Congress 2011-ზე წარადგინა.

სტივ ჯობსზე კიდევ ერთ წიგნი დაიწერება

Apple-ის დირექტორი სტივ ჯობსი მასზე კიდევ ერთი წიგნის გამოცემას დათანხმდა. ბიოგრაფიული შინაარსის ნაწარმოები სახელწოდებით, „iSteve:



The Book of Jobs“ 2012 წელს გამოვა.

ჯობსის ბიოგრაფიაზე 2009 წლიდან მუშაობს ავტორი უოლტერ ისაააკსონი. ის უკვე ესაუბრა თავად ჯობსს, მისი ოჯახის წევრებსა და კოლეგებს. გავრცელებული ინფორმაციით, ნაწარმოებში მოხვდა ექსკლუზიური მასალებიც. ისაააკსონი ალბერტ აინშტაინის, ბენჯამენ ფრანკლინისა და ჰენრი კისინჯერის შესახებ წიგნების ავტორია. იგი სხვადასხვა დროს CNN-სა და Time-ში მუშაობდა.

„iSteve: The Book of Jobs“ პირველი ბიოგრაფიული წიგნია, რომელიც თავად სტივ ჯობსის პირადი თანხმობით გამოიცემა. მისი ბიოგრაფიები აქამდეც იბეჭდებოდა, თუმცა არაოფიციალურად. ამჯერად კი Apple-ს დირექტორმა ავტორს არამარტო ინტერვიუები მისცა, არამედ წიგნის კორექტირებაც განახორციელა.

მოამზადა ნინო ნატროშვილმა.

ჰომ იცოდეთ, ჰობოს მიყვარხართ ყველანი!

კახა თოლორდავა

– მოდი, მოდი, ჩემო სიყვარულო! მოდი, ჩემო ლამაზო! თამამად, თამამად გაიარე! თავი მაღლა გეჭიროს ჩემო სილამაზევ, ნახე, რა ლამაზი ხარ, ნახე, რა მშვენიერი ხარ! ბედნიერად გევლოს! შენ, რატომ მოიწყინე, ვაჟკაცო, ლამაზო კაცო? ბედნიერი იყავი, შემოგევლოს ჩემი თავი! არა, არა, გენაცვალე, ფული არ მინდა! მაგაზე თავი არ შეიწუხო. ვაჰ, ვაჰ, ნახე როგორი ლამაზები მოდიან! ბედნიერები იყავით, ხალხნო, ბედნიერები! ნურაფრის გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერი მშვენივრად იქნება; ოღონდ გიყვარდეთ, ოღონდ მშვიდად ისუნთქეთ. აი, ასე, ჩაისუნთქე, საყვარელო და ამოისუნთქე; ამოისუნთქე სიყვარული! როგორ ხარ, შენ შემოგევლოს ჩემი თავი? რაღაც კარგა ხანია, აქეთკენ არ ჩამოგივლია! ხომ მშვიდობაა? ხომ ყველანი კარგად ხართ? დალოცვილები იყავით! ფული არ გამაგონო! ვაი, ვაი, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ ყველანი! გულს უხარია თქვენი დანახვა ჩემო საყვარლებო! გული მღერის, თქვენ რომ გხედავთ ასეთ ლამაზებს, გაღიმებულებს, დახვეწილებს! ჰა, მოდი, კაცო, გამოიარე, რა შეშინებული მიყურებ, კი არ შეგჭამ! თუმცა არა, სიყვარულით შეგჭამ, ჩემო უსაყვარლესო! იფ, იფ, ნახე, ნახე, რა ლამაზი ხარ, ქალბატონო! ყოველ ჩამოვლაზე უკეთესი და უკეთესი ხდები, გენაცვალე. ყოველ შენს დანახვაზე სიხარულით ვივსები ხოლმე! რას შვრები, როგორ ხარ, ძია კაცო? ჰა, წელში გასწორდი, ცხოვრებამ არ შეგაშინოს! ცხოვრებამ სუსტები შეაშინოს, შენ კი ვერაფერი გაგიბედოს, ჩემო საყვარელო ბატონო! გაიარეთ, გაიარეთ უსაყვარლესებო, მოდით, მოდით, მე აქ ვარ, ნურაფრის შეგეშინდებათ, ლამაზებო! ვაჰ, ამას ვის ვხედავ! ამას ვის ხედავს ჩემი თვალები! რა ბედნიერი დღე გამითენდა, კაცო! ჰა, როგორ ხარ მშვენიერო? უჰ, შეხედეთ ერთი, რა ლამაზი კაცია; ან როგორ აცვია, ან როგორ ახურავს, ან თავი როგორ უჭირავს! რამდენჯერ უნდა გითხრა, ფული არ მინდა-მეთქი, უმშვენიერესო? მე რა მიჭირს, გენაცვალე?! მე ხომ თქვენით მიდგას სული?! დაგინახავთ და შიგნით ყველაფერი სიმღერას და ცეკვა-თამაშს იწყებს! ნახვამდის, ნახვამდის, გენაცვალე, მშვიდობით გევლოს, მშვიდობით გეცხოვროს, მშვიდობით...! თუმცა რა მშვიდობით! ხომ ჩამოივლი კიდე ამ დღეებში, მშვენიერო? აბა, რას იზამ! აუცილებლად ჩამოივლი და მეც აქ დაგხვდები გაღიმებული, შენი დანახვით გაბედნიერებული! ჰა, ხალხნო, რა ჩამოგიშვიათ ცხვირები?! რა მოწყენილები დადიხართ აქეთ-იქით? ნუ გეშინიათ, მე ხომ თქვენთან ვარ?! ფრთხილად, ფრთხილად გადადი, ძიაკაცო, ფრთხილად, გენაცვალე, მანქანები დადიან მაინც და... თუმცა შენს დანახვაზე ხომ იცი, რომ მოწიწებით შეჩერდებიან და გაგატარებენ, ბატონო! ჰა, ესეც მე ვარ? გაიხარე, ჯიგარო, გაიხარე! გაიარე, ბატონო, გაიარა! აბა, წამოვიდა, წამოვიდა! გაგიმარჯოს და გამარჯვებით გატაროს ღმერთმა ასი წელი უსაყვარლესო! უჰ, ცას ახედეთ ხალხნო, ნახეთ, რა მზეა, ნახეთ, რა ამინდი დაგვიდგა! მზე შეისუნთქეთ ღრმად, საყვარლებო! თუმცა თქვენ ეს რაში გჭირდებათ, ისედაც მზე ანათებს თქვენში! როგორ ხარ, როგორ ხარ? მომენატრე, ხომ იცი! არა, არა, არა, ფული არ მინდა! ფული რად მინდა, კაცო? ხომ ვამბობ, თქვენ რომ გიყურებთ, უკვე მდიდარი ვარ-მეთქი? წამოვიდა, წამოვიდა! მაგრა, მაგრა ვარ გენაცვალე, მიდი, გაიარე, გაიარე! წამოვიდა! ფრთხილად გადმობრძანდით, ქალბატონო, ჩემო სიყვარულო, ჩემო სილამაზევ, აი, ასე! აი, ასე! ეს პატარა სილამაზე ვინღაა? ღმერთო, რა ლამაზია ეს გოგო, რა მშვენიერია! ღმერთმა გაგიზარდოს! ღმერთმა ბედნიერად ატაროს ცხოვრებაში...

– დედი, ეს ქალი ვინაა?

– რა ვიცი, შვილო, გიჟია ვიღაც! წამო, წამო!

ფალიაშვილის და არაყიშვილის კუთხეში ერთი ქალი დგას ხოლმე. ყველას გიჟი ჰგონია.

თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი	FM 105.5
გორი, ქარელი, ხაშური	FM 103.0
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია	FM 104.5
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი	FM 101.0
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი	FM 101.9



WWW.LIBERALI.GE